გაზეთი ზღვრის, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№142 (749) 12 - 13 დეკემბერი, 2012 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## როგორ მოისყიდა კობა ნაყოფიამ ბოლნისელები 5 მილიონად

გვ. 5

დარეჯან ჩხეტიანი: „კონკრეტული სია მაქვს, თუ ვინ არიგებდა ფულს აზერბაი-ჯანულ ოჯახებში, როცა საჭირო იქნება, ამ ინფორმაციას ძალოვან სტრუქტურებს მივაწვდი!“

# კახა კალაძე დანაპირებს ასრულებს: ჯერ დენი გაიაფდება, შემდეგ — გაზი და საწვავი




გვ. 3

„ერთი ბიჭუნა, რომელიც ქუჩიდან მოვიდა, გვარად უგულავა, უცებ უშიშროების მინისტრის მოადგილე გახდა... მე აღმაშფოთა იმ ფაქტმა, რომ მოახტა და დანაშაულებრივ ფაქტზე ამოღებული „ჯიპით“ სეირნობისას, მანქანა დაამტვრია, ამაზე კი არავის ჰქონია რეაქცია.“

გვ. 6–7



## რა ინფორმაციას მიაწვდის პროკურატურას გენერალი ვალერი ჩხეიძე

„ვისოლის“ 4-5-წლიანი გეგმა — საქართველოს მასშტაბით 50 „ჩემი სუპერმარკეტი“ გაიხსნება

გვ. 8

## 26 მილიონი დოლარი „სმარტს“ EBRD-ისგან!

## „ახლა ოქრუაშვილს 11 წელი რომ „შეტენონ“, სილის გაწვნაა ფრანგული სასამართლოსთვის!“

გიორგი ფოფხაძის უპასუხო კითხვები ეკა ბესელიას კომისიას!

გვ. 9

## რაში სდებს ბრალს გია ხუხაშვილსა და მიხეილ მაჭავარიანს და რატომ უშუამდგომლებს ვლადიმერ ბედუკაძეს სასამართლოში ირმა ინაშვილი

გვ. 2



## დავით საყვარელიძე მზად არის, საგამოძიებო უწყების კითხვებს პასუხი საჯაროდ გასცეს



თბილისის მერიის ექსმაღალჩინოსანი, მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე და ამჟამად, საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით საყვარელიძე საგამოძიებო უწყებას მოუწოდებს, რომ მასთან რაიმე სახის კითხვების არსებობის შემთხვევაში, შეკითხვები საჯაროდ გადაუგზავნოს.

როგორც საყვარელიძემ „ნაცმოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იგი მზად არის, კითხვებს პასუხი საჯარო ფორმატშივე გასცეს.

**„დაბარებული ვარ დაკითხვაზე გაუგებარ გამოძიებასთან დაკავშირებით. მე, როგორც ყოფილი პროკურორი, პატივს ვცემ ყველა საგამოძიებო უწყებას და გამოძიებას, თუმცა ეს არ არის ჩვეულებრივი გამოძიება. ეს არის პოლიტიკურად მოტივირებული პროცესი და ბატონი ბიძინა ივანიშვილის დაკვეთა თავისი პარტიის პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. მე პოლიტიკურ დევნას ვპასუხობ საჯაროობით. ჩემს მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც მერიაში იყო, არის საჯარო. მათ ჩემზე უკეთ იციან ამ დოკუმენტების არსებობის შესახებ, ამიტომ ვაცხადებ მზადყოფნას, რომ ნებისმიერი შეკითხვა გამომიგზავნონ საჯაროდ და მზად ვარ, საჯაროდვე გავცე პასუხი. მე არ მინდა, მათ ხელი შევუწყო ამ პოლიტიკური დევნისა და სიბინძურის პროცესში ჩვენს გასვრაში“,** — განაცხადა მან.

საგამოძიებო სამსახური დავით საყვარელიძეს დაკითხვაზე დედაქალაქის მერიაში მისი მუშაობის პერიოდის ერთ-ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით იბარებს.

როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იუწყება, გრძელდება გამოძიება თბილისში რიყის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისებისა და გამოსყიდვის ფაქტების შესწავლის მიზნით. როგორც „მედიანიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, საგამოძიებო სამსახურში მოწმის სახით, დაკითხვაზე იმყოფებოდა თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული შპს „გარე განათების“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ლაშა მაქაცარია. იგი 2006 წელს იყო თბილისის მერიის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის წევრი.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე უნდა დაიკითხოს იმავე კომისიის ყოფილი წევრი, ამჟამად საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, მთავარი პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილე დავით საყვარელიძე.

*„მედიანიუსი“*



## ირმა ინაშვილი: „გამოძიებას ისეთი კადრებიც გადავეცით, რაც ეთერში არ გასულა“

რაში სდებს ბრალს გია ხუხაშვილსა და მიხეილ მაჭავარიანს და რატომ უშუამდგომლებს ვლადიმერ ბედუკაძეს სასამართლოში ირმა ინაშვილი



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**მედიაკავშირ „ობიექტივის“ დამფუძნებელი, ჟურნალისტი ირმა ინაშვილი პროკურატურაში ციხის სკანდალური კადრების თაობაზე 8 საათის განმავლობაში იკითხებოდა. როგორც თავად განაცხადა, მისი ჩვენება იმით იყო საინტერესო, რომ დეტალურად აღწერა ამ კადრების მოპოვებისა და გავრცელების ისტორია. თუმცა სიახლე, რაც აქამდე მედიისთვის საჯაროდ არ უთქვამს, მის ჩვენებაში არ ყოფილა. ინაშვილმა ამის შესახებ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, მოგვიანებით კი, „ვერსიისთვის“ დააკონკრეტა, რა ვითარებაში შეხვდა მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილსა და კონკრეტულად, საქმის რა დამატებითი მასალები გადასცა გამოძიებას:**

**„მინდა, ხაზი იმ ფაქტს გავუსვა, რომ არა, ჩემი ნდობა მთავარი პროკურორისა და გამოძიების პროცესისადმი, არ ვიცი, საერთოდ, მივუტანდით თუ არა ამ მასალებს პროკურატურას და მივცემდი თუ არა ჩვენებას. ნდობის ფაქტორი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს — ხელისუფლება შეიცვალა, დღევანდელი საგამოძიებო ორგანოების მუშაობისა კი, რატომღაც, მჯერა. დღეს არის იმის საშუალება, ითქვას სიმართლე და დანაშაულს დანაშაული დაერქვას. სწორედ ამიტომ მივმართეთ ჩვენი ინიციატივით მთავარ პროკურატურას და ჩვენივე ინიციატივით, ჩამოვიტანეთ ეს მასალები ბრიუსელიდან. პირადად შევხვდი მთავარ პროკურორს 7 დეკემბერს, მივაწოდე მასალები და ვუამბე ამ საქმეში ჩემი მონაწილეობის შესახებ. სხვათა შორის, არჩილ კბილაშვილმა ბევრი რამ უკვე იცოდა და ამის მერე ჩვენ თანამშრომლობაზეც შევთანხმდით. შესაბამისად, მუშაობა გამომძიებლებთანაც გავაგრძელე — მივეცი ჩვენება, ასევე, აღვნუსხეთ მასალები, რაც პროკურატურას გადავეცი და ეს ყველაფერი დაილუქა. შემიძლია გითხრათ, რომ მთავარ პროკურატურას გადავეცით დოკუმენტების პაკეტი, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა საბუთები. ეს პაკეტი გლდანის მერვე საპყრობილედან ვლადიმერ ბედუკაძემ გამოიტანა და ალექსანდრე ლომიას გადასცა. მაშინ ჩვენ მათი გასაჯაროებისგან თავი შევიკავეთ, რადგან იქ ბევრი პერსონალური მონაცემი იყო თავმოყრილი სხვადასხვა თანამშრომლების შესახებ და არ გვინდოდა, რომელიმე მათგანს პრობლემები შექმნოდა. ასევე, არის ისეთი კადრები, რაც ეთერში არ გასულა, დარწმუნებული ვარ, გამომძიებლებს მათი გაანალიზება არ გაუჭირდებოდათ. არც მათი ექსპერტიზა წაიღებს დიდ დროს, რადგან საქმე მაინც დედნებს ეხება და არა — ასლებს, რაც, ცხადია, ამ კადრების გაყალბების რისკს ამცირებს“.**

რაც შეეხება ვლადიმერ ბედუკაძეს, რომელმაც ირმა ინაშვილთან ლამის დაუსრულებელი კინკლაობა გააჩაღა, გამოძიება, ცხადია, მასაც დაკითხავს, ხოლო ინაშვილი მზადაა, ბედუკაძის ბრალეულობის გამოვლენის შემთხვევაში, პროკურატურასა და სასამართლოს შუამდგომლობით მიმართოს, „რათა კეთილ საქმეში მისი თანამონაწილეობის ფაქტორი გაითვალისწინონ“: **„მიუხედავად იმისა, რომ ბედუკაძის მხრიდან ჩემი მისამართით ბევრი ცილისწამება გაჟღერდა, მე მაინც მივესალმები იმ ფაქტს, რომ ლადო ბედუკაძე მზადაა, ჩვენება მისცეს. მზად ვარ, პროკურატურასა და სასამართლოსთან მას ვუშუამდგომლო“,** — განაცხადა ინაშვილმა და ლადო ბედუკაძეზე საუბრისას ბოლო ორი თვის განმავლობაში მედიაკავშირ „ობიქტივის“ წინააღმდეგ აგორებულ შავ პიარსაც შეეხო. მისი ინფორმაციით, შესაძლოა, ამ შავი პიარის უკან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილი და „ნაციონალური“ უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი იდგნენ: **„ძალიან ვწუხვარ, იმის გამო, რომ ვლადიმერ ბედუკაძე აღმოჩნდა იარაღი იმ ძალების ხელში, რომლებმაც ჩემი და „ობიექტივის“ წინააღმდეგ შავი პიარის აგორება გადაწყვიტეს. ბედუკაძემ არაერთი ტყუილი და ცილისწამება გაავრცელა პირადად ჩემი და მედიაკავშირის წინააღმდეგ, იგი ამ ცრუ პროპაგანდის მსხვერპლად იქცა. თუმცა არაერთმა წყარომ მომაწოდა ინფორმაცია, რომ ეს შავი პიარი, ერთი მხრივ, ერთ-ერთი მოქმედი მაღალჩინოსნის, მიხეილ მაჭავარიანის, ხოლო მეორე მხრივ, გია ხუხაშვილის მიერ იგეგმება და ეს ორივე გვარი ჩემთან პირად საუბარში სახელდება. ჩვენ მედიაორგანიზაცია ვართ და როცა ჩვენს წინააღმდეგ შავი პიარი გორდება, თითქოს, ამ კადრების გავრცელების გამო ვართ რუსეთის, ვანო მერაბიშვილის აგენტები, ავიღეთ 2 მილიონი და ა.შ. გულხელდაკრეფილნი ვერ ვისხდებით. შესაბამისად, მე დავიწყე გამოძიება, თუ ვინ შეიძლებოდა ამ ყველაფრის უკან მდგარიყო და ასე მივედი ამ კონკრეტულ გვარებამდე“.**

## შსს-მ „პრივატბანკზე“ თავდამსხმელი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს, რუსთავის საქალაქო სამმართველოს, საპატრულო პოლიციისა და დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე, გუშინ, რუსთავში, კოსტავას №24-ში მდებარე „პრივატბანკზე“ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე, 1991 წელს დაბადებული ლაშა ბ. დააკავეს.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებითა და ბანკის თანამშრომლების სიცოცხლის მოსპობის მუქარით, ლაშა ბ-მ, თანამზრახველთან ერთად, ბანკიდან დაახლოებით 25 ათასი ლარი, 4 ათასი დოლარი, 2 ათასი ევრო და 15 ათასი რუსული რუბლი გაიტაცა. ნიღბიანი ბოროტმოქმედების ბანკში შეჭრა და მათი ქმედება „პრივატბანკის“ შიდა სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირა.

სამართალდამცველებმა ყაჩაღობის თანამონაწილე პირის ვინაობაც დაადგინეს. ამ ეტაპზე, მისი ადგილსამყოფელის დადგენა-დაკავების მიზნით, მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით აღიძრა.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ლაშა ბ-ს 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## თბილისში პირველკლასელი მოსწავლე დაიღუპა

თბილისის 59-ე საჯარო სკოლის პირველკლასელი მოსწავლე დაიღუპა.

როგორც „მედიანიუსს“ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში განუცხადეს, მისი დაღუპვის მიზეზი სკოლაში ყოფნის პერიოდში კალმისტრის თავსახურის ყელში გადაცდომა გახდა. უბედური შემთხვევის შესახებ სასწრაფო დახმარების სამსახურში შეტყობინება 13.09 წუთზე შევიდა. სასწრაფო დახმარების ბრიგადა ადგილზე გამოძახებიდან 7 წუთში მივიდა, თუმცა 6 წლის ბიჭი უკვე გარდაცვლილი დახვდა. არსებული ინფორმაციით, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ პირველკლასელი მოსწავლე გახანგრძლივებულ ჯგუფში ჩავიდა და მასწავლებელს საპირფარეშოში გასვლა სთხოვა. საპირფარეშოდან დაბრუნებულმა მასწავლებელს უთხრა, რომ კალმის თავსახური გადასცდა და სუნთქვა გაუჭირდა. მას პირველადი დახმარება სკოლის ექიმმა აღმოუჩინა, რის შემდეგაც უკვე სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს.

მომხდართან დაკავშირებით, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

*„მედიანიუსი“*

## ვერსიანიუსი

## ქეთი ბექაური: „ბრალდების მხარის მოწმეების ჩვენებებში ცოტნე გამსახურდიას ბრალეულობა არ იკვეთება“



პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შვილის, ცოტნე გამსახურდიას ადვოკატის, ქეთი ბექაურის განცხადებით, „ბრალდების მხარის მოწმეების ჩვენებებში ცოტნე გამსახურდიას ბრალეულობა არ იკვეთება“.

როგორც ცნობილია, ცოტნე გამსახურდიასთვის ჯაშუშობის ბრალდების მოხსნის მიუხედავად, სხეულის განზრახ დაზიანების მცდელობის ნაწილში საქმის განხილვა გაგრძელდა და დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მორიგი პროცესი გაიმართა. როგორც „პირველს“ გამსახურდიას ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განუცხადა, სხდომაზე ბრალდების მხარის მოწმეები დაკითხნენ, რომელთა ჩვენებებშიც გამსახურდიას ბრალეულობა არსად იკვეთება.

**„დღეს სხდომაზე გამოცხადდა დაზარალებული ავთანდილ მაღლაკელიძე და ასევე, ბრალდების მხარის სხვა მოწმეებიც. მოხდა მათი დაკითხვა. გამსახურდიას საწინააღმდეგო ჩვენება არცერთმა მათგანმა არ მისცა. ისინი აცხადებენ, რომ გასროლა სულ სხვა პირის მიერ მოხდა, თუმცა ვის მიერ, არ აკონკრეტებენ, რადგან მათი განცხადებით, სიბნელე იყო და ვერ გაარჩიეს“,** — განაცხადა ბექაურმა და დასძინა, რომ აღნიშნულ საქმეზე მომდევნო სხდომა 14 დეკემბერს ჩაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი ცოტნე გამსახურდია საპატიმროდან 23 ოქტომბერს გაათავისუფლეს. იგი პატრიარქის შუამდგომლობის საფუძველზე, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შეიწყალა.

გამსახურდიას თავისუფლების 13 წლით აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

*„პირველი“*

## პედაგოგთა საინიციატივო ჯგუფი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ითხოვს



პედაგოგთა საინიციატივო ჯგუფი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვს.

ამის შესახებ საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის, დავით ფერაძის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც პედაგოგებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი მარგველაშვილს და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს მაია მიმინოშვილს გაუგზავნეს.

**„გაცნობებთ, რომ 11 ნოემბერს პედაგოგთა საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, გიორგი მარგველაშვილს 576-ე ბრძანების (რომლითაც საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები განისაზღვრება) შეცვლის ან გადახედვის თხოვნით. ამ და სხვა საკითხების გამო, პედაგოგები ვითხოვდით, მომხდარიყო მინისტრის შეხვედრა საქართველოს პედაგოგებთან. სამწუხაროდ, ამ ხნის განმავლობაში, საინიციატივო ჯგუფს არანაირი პასუხი არ მიუღია. ჩვენი საინციატივო ჯგუფი მზადაა, გაუწიოს ორგანიზება პედაგოგთა თქვენთვის მისაღები რაოდენობის შეკრებას. ვფიქრობთ, ეს პირველი შეხვედრა ნაყოფიერი იქნება ორივე მხარისთვის“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

ცნობისთვის, ჯგუფში ამ დროისთვის, 150-მდე პედაგოგია გაერთიანებული.

*„მედიანიუსი“*

# კახა კალაძე დანაპირებს ასრულებს: ჯერ დენი გაიაფდება, შემდეგ — გაზი და საწვავი



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**რამდენიმე დღეში, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე სპეციალურ ბრიფინგს გამართავს და საზოგადოებას ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებას ამცნობს. „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, მინისტრი კონკრეტულ ციფრებს არ ასახელებს, მაგრამ ამბობს, რომ დენის ტარიფი რამდენიმე თეთრით შემცირდება, რადგან „ინტერ რაოსთან“ მოლაპარაკება თითქმის დაასრულა. რის ხარჯზე შემცირდება ელექტროენერგიის ტარიფი, როგორ ხსნის პრემიერ-მინისტრისა და „სოკარის“ პრეზიდენტის შეხვედრას, რა იყო „კალა კაპიტალის“ კრიზისის მიზეზი, რატომ იყო ენერგეტიკის სამინისტრო მიუწვდომელი და როგორ „აბოლებდნენ“ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები საზოგადოებას? „ვერსიის“ კითხვებს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე პასუხობს:**

— ტარიფები მართლაც აქტუალური თემაა და საზოგადოება განსაკუთრებით ელოდება, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხელისუფლება. გაურკვევლობა, ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებით, ტექნიკური შეცდომის გამო წარმოიშვა, როდესაც ჟურნალისტმა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ტარიფების განახევრებაზე დაუსვა კითხვა. ბატონმა ბიძინამ სიტყვა — განახევრება გაიმეორა და დასძინა, რომ ტარიფების განახევრება წარმოუდგენელი იქნებოდა. ეს მართლაც ასეა, რადგან წინასაარჩევნოდ, მოსახლეობისთვის ტარიფების განახევრების პირობა არ მიგვიცია, ჩვენ ვამბობდით, რომ ტარიფები აუცილებლად შემცირდებოდა და ეს მართლაც ასე იქნება.

**ტარიფების შემცირება-არშემცირების თემით უმცირესობა, ანუ „ნაციონალური მოძრაობა“ მანიპულირებდა, ჩვენი დანიშვნის დღიდან გამუდმებით გვახსენებდნენ, სად არის თქვენი დანაპირები. სწორედ „ნაციონალურ მოძრაობას“ უნდოდა, ხალხში გაურკვევლობა შემოეტანა, მაგრამ მათ ეს არ გამოუვიდათ. ენერგეტიკის მინისტრად ჩემი დანიშვნის პირველივე დღიდან, აქტიურად ჩავერთე ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებულ სამუშაოში, რადგან ეს არის თემა, რომელიც ამ ქვეყნის მოსახლეობას აწუხებს. ფაქტობრივად, პროცესი უკვე დასრულებულია, დეტალებს ჯერ არ დავაკონკრეტებ, მაგრამ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ რამდენიმე დღეში, ბრიფინგს ჩავატარებთ და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა გაიგებს, რამდენით შემცირდება ელექტროენერგიის ტარიფი.**

უკვე დავასრულეთ მოლაპარაკება „ინტერ რაოსთან“, მაგრამ ახლა დეტალებს ვაზუსტებთ. კონკრეტულ ციფრებზე, თუ რამდენი თეთრით შემცირდება დენის ტარიფი, ახლა არ ვისაუბრებ, მაგრამ დეტალურ ინფორმაციას მხოლოდ მას შემდეგ მოგაწვდით, როდესაც მემორანდუმსა და კონტრაქტებს ხელს მოვაწერთ.

**— ბატონო კახა, ესე იგი, „ქართული ოცნება“ დანაპირებს შეასრულებს, ანუ დენისა და გაზის ტარიფს გააიაფებს?**

— დიახ, პირობას აუცილებლად შევასრულებთ. რაც შეეხება გაზის ტარიფს, მის შემცირებაზეც მუშაობს ჯგუფი, მაგრამ ჯერ ჩამოყალიბებულები არ ვართ. ამ ეტაპზე, მხოლოდ დენის ტარიფის შემცირების თემა დავასრულეთ, მაგრამ მომდევნო ეტაპზე, გაზისა და საწვავის გაიაფებაზეც ვიმუშავებთ. ეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა და ჩვენს ინტერესებში შედის, ამიტომ დენის შემდეგ, გაზი და საწვავი აუცილებლად გაიაფდება.

**— სამწუხაროდ, ტარიფის ფორმულა გამჭვირვალე არ არის, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ-ი) საიტზე დევს საკანონმდებლო აქტები, რის მიხედვითაც ტარიფის გაანგარიშება ხდება, მაგრამ საკმაოდ ბუნდოვანი მუხლებია, რაც ორმაგად იკითხება. თუ არის თქვენთვის ცნობილი ფორმულა, რის მიხედვითაც ტარიფი დგება და რა რესურსი არსებობს მის შესამცირებლად?**

— სამუშაო ჯგუფში, რომელიც ტარიფის შემცირების თემაზე მუშაობს, სემეკ-ის, „თელასის“, „ენერგო პრო ჯორჯიას“, ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე ენერგეტიკოსები შედიან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ, როგორც სამინისტროს, არ შეგვიძლია ერთპიროვნული გადაწყვეტილება მივიღოთ, ან მივუთითოთ კომპანიებს, რომ ტარიფი შეამცირონ. მეტიც, ეს ჩვენი კი არა, მარეგულირებელი კომისიის კომპეტენციაა. რაც შეეხება ტარიფს, ეს დგინდება გენერაციის, გადაცემისა და დისტრიბუციის ხარჯზე. ჩვენი მონაცემებით, ტარიფის შემცირება მხოლოდ და მხოლოდ დისტრიბუციის ხარჯზე იყო შესაძლებელი, რადგან დისტრიბუციის მოგების მარჟა საკმაოდ დიდია ტარიფში, დაახლოებით, 20%-დან 40%-მდე და მისი შემცირება შეგვეძლო. მეტიც, ეს აქამდეც უნდა გაკეთებულიყო, რადგან ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ 2006 წლის შემდეგ, ტარიფისთვის არც კი გადაუხედავთ. სხვათა შორის, წინა ხელისუფლებასაც შეეძლო იმის გაკეთება, რაც ახლა ჩვენ გავაკეთეთ.

**— სემეკ-ის ფუნქცია მხოლოდ ის ხომ არ არის, სადისტრიბუციო კომპანიის გადაწყვეტილება დააკმაყოფილოს ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით, ბოლო 15 წლის განმავლობაში, პირადად მე, სემეკ-ის არც ერთი გადაწყვეტილება არ მახსენდება, როდესაც მოსახლეობის ინტერესი გაითვალისწინეს და გაზის, ან დენის ტარიფი შეამცირეს.**

— თქვენ ხომ კარგად იცით, რა ქვეყანაში გვიწევდა ცხოვრება. სემეკ-ი ვითომ დამოუკიდებელი იყო, სინამდვილეში კი, იმ მითითებებს ასრულებდა, რასაც ზემოდან უბრძანებდნენ, სხვა არავითარი ფუნქცია სემეკ-ს არ ჰქონია. ჩვენ მართლა გვინდა, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია ნამდვილად დამოუკიდებელი იყოს და არ იღებდეს მითითებას ენერგეტიკის მინისტრის, ან პრემიერ-მინისტრისგან.

**— ბატონო კახა, გაუგებარია, რატომ ეახლა პრემიერ-მინისტრი აზერბაიჯანული კომპანია „სოკარის“ ხელმძღვანელობას, ამას პრესაში**

**პირველი, რაც სამინისტროში მოსვლის დღიდან გავაკეთეთ, ეს არის მეტი გამჭვირვალობა. ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროექტები, რომელსაც განვახორციელებთ და პირობას გაძლევთ, ენერგეტიკის სამინისტროში არავითარი დამალული და ტაბუდადებული თემა აღარ იქნება.**

რაც შეეხება ამ კონკრეტულ შეხვედრას, ეს იყო ბატონი ბიძინას გაცნობითი შეხვედრა „სოკარის“ ხელმძღვანელთან, როვნაგ აბდულაევთან, სადაც სამომავლო გეგმებზე არ გვისაუბრია. აზერბაიჯანი ჩვენი მეზობელი ქვეყანაა და ორ ქვეყანას შორის ნორმალურ, თბილ ურთიერთობებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— როდესაც ბიძინა ივანიშვილმა ენერგეტიკის მინისტრად წარგადგინათ, კითხვა გაჩნდა — რატომ, კალაძე? არ დაგიმალავთ, მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ შემდეგ თქვენი დაფუძნებული „კალა კაპიტალი“ გამახსენდა, რომლის ერთ-ერთი, მთავარი მიმართულება ენერგეტიკული პროექტები იყო, საბანკო სფეროსა და დეველოპმენტთან ერთად. „კალა კაპიტალზე“ ცალკე გკითხავთ, მაგრამ კონკრეტულად, რა ენერგეტიკული პროექტები განახორციელა ამ კომპანიის მფლობელობაში არსებულმა სააქციო საზოგადოება „საქჰიდრომშენმა“?**

— ენერგეტიკის დარგში, „კალა კაპიტალს“, პრაქტიკულად, არაფერი გაუკეთებია. სამწუხაროდ, 2008 წელს ომი დაიწყო, აგვისტოს ომს კი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა და ყველაფერი გაჩერდა. რაც შეეხება „საქჰიდრომშენს“, ჩემი წილი ამ კომპანიაში 45% იყო. სხვათა შორის, როგორც კი ენერგეტიკის მინისტრად წარმადგინეს, ჭორებიც კი მოიგონეს, თითქოს „საქჰიდრომშენი“ რამდენიმე ჰესს ფლობდა. ბევრი სისულელე ითქვა, მაგრამ სინამდვილეში, „საქჰიდრომშენი“ სამშენებლო კომპანია იყო, რომელიც ენერგეტიკულ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებდა. მას შემდეგ, რაც ამ თანამდებობაზე წარმადგინეს, ამ კომპანიაში და ზოგადად, ყველა კომპანიაში, ჩემი წილები გავყიდე.

**— ფინანსურმა კრიზისმა სამშენებლო და საბანკო სფეროს დაარტყა და ეს სრულიად საკმარისი მიზეზი იქნებოდა, 2008 წლის აგვისტოს ომზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაგრამ მაინც რა იყო „კალა კაპიტალის“ კრიზისის მიზეზი? იმიტომ გეკითხებით, რომ ამ ჰოლდინგის მენეჯმენტს ზურაბ ნოღაიდელი მართავდა, კომპანიას კი ჯარიმები დაუგროვდა, რის გამოც 1 000 000 ლარის საურავი დაარიცხეს.**

## როგორ „აბოლებდა“ წინა ხელისუფლება საზოგადოებას და რა დარღვევები აღმოჩნდა ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებულ პროექტებში?



**დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. მინიშნებები კეთდებოდა ენერგომაფიის გავლენაზე, იმაზეც, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, აბსოლუტურად ყველა ხელშეკრულება, რაც კი „ინტერ რაოსთან“, „იტერასთან“, ან თუნდაც „სოკართან“ გვაქვს გაფორმებული, გამჭვირვალე არ არის და არც კი ვიცით, რა პირობებია ჩადებული. თქვენ თუ იცით, რა წერია ამ ხელშეკრულებებში?**

— გრიფით საიდუმლო იყო ეს ხელშეკრულებები. კითხვები, რომელიც გაჩნდა საზოგადოებაში, ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში, იმან გამოიწვია, რომ ზოგადად, ენერგეტიკის სამინისტრო მიუწვდომელი იყო. არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა მემორანდუმებთან, ჰესების მშენებლობასა და სხვადასხვა კონტრაქტებთან დაკავშირებით. ტარიფების თემაც კი ტაბუდადებული იყო და არანაირი განმარტებები არ კეთდებოდა. საზოგადოების ამგვარი ინტერესი კი აბსოლუტურად ნორმალურად მიმაჩნია და მეც ზუსტად ასეთი რეაქცია მექნებოდა, რადგან როდესაც რაღაცას მიმალავენ, სრულიად ბუნებრივად მიჩნდება კითხვები.

*დასასრული მე-4 გვერდზე*

## სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ თენგიზ გუნავას ნარკომანობა არ დაადასტურა



### თენგიზ გუნავა: „მოვითხოვ, მთავარმა პროკურატურამ დაზარალებულად მცნოს“

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ დადო ექსპერტიზის პასუხი, რის საფუძველზეც, თენგიზ გუნავას უდანაშაულობა მტკიცდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი თენგიზ გუნავა, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2012 წლის 16 ნოემბერს, გამთენიისას, საკუთარი სახლის სადარბაზოსთან დააპატიმრა და ბრალი ნარკოტიკების მოხმარებასა და იარაღის უკანონო ტარებაში დასდო.

საპატიმროდან გამოსულმა გუნავამ განაცხადა, რომ მას პროკურატურაში წყლის დალევა აიძულეს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება იყო გარეული და ამის საფუძველზე სურდათ, მისთვის ნარკომანობა დაებრალებინათ. გათავისუფლებულმა გუნავამ, საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით მიმართა.

ორკვირიანი ლოდინის შემდეგ, ექსპერტიზის ბიურომ გუნავას გამამართლებელი დასკვნა გამოიტანა. როგორც ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის პასუხიდან ირკვევა, მინიმუმ, ბოლო 4 თვის განმავლობაში გუნავას თმის ნიმუშში არ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები.

ექსპერტიზის პასუხი თენგიზ გუნავას უდანაშაულობასა და პროკურატურის ბრალდების უსაფუძვლობას ამტკიცებს.

თენგიზ გუნავამ მთავარ პროკურატურას საქმის გამოძიებისა და აღნიშნულ საქმეში მისი დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით მიმართა.

**„გათავისუფლებისთანავე მივმართე მთავარ პროკურატურას საჩივრით, გამოძიებული იქნას დაკავების დროს დაფიქსირებული პროცედურული დარღვევები და პასუხი აგოს ყველა დამნაშავემ, ვინც ამ პროცესში მონაწილეობდა. ექსპერტიზის პასუხის შემდეგ ხელახალ საჩივარს აზრი არ აქვს. ამ ხნის განმავლობაში პროკურატურამ დამკითხა მხოლოდ მოწმის სახით, მაგრამ მოვითხოვ, მოხდეს ჩემი დაზარალებულად ცნობა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. ამ ხნის მანძილზე, ეს ვერ მოხერხდა. როგორც ვიცი, პროკურატურა ამ საქმეზე მუშაობს, მაგრამ რატომ აჭიანურებს პროცესს, ჩემთვის უცნობია“,** — განაცხადა თენგიზ გუნავამ.

*თამარ მელქაძე*

# თავდაცვის სამინისტრო დათხოვნილ ოფიცრებსა და ბატალიონის მეთაურებს მაღალ თანამდებობაზე აბრუნებს!



ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

**თავის დროზე, თავდაცვის უწყებაში არასწორად წარმართულმა პოლიტიკამ და კადრების მეგობრულ-ნათესაური და პარტიული ნიშნით დანიშვნამ ცუდი შედეგი გამოიღო და ასობით სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე შეიწირა. თუმცა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, სამინისტროში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შემდეგ, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შეიარაღებული ძალებიდან გათავისუფლებულ ოფიცრებსა და ბატალიონის მეთაურებს სისტემაში აბრუნებენ. „ვერსიას“ სამხედრო ექსპერტი გიორგი ლილუაშვილი ესაუბრება.**

— შეიარაღებულ ძალებში დღეს მიმდინარე ცვლილებები ერთი ოჯახური კლანის მეორეთი ჩანაცვლებაა. კადრების დანიშვნა არანაირი პროფესიონალიზმის ნიშნით არ მიმდინარეობს და ამის დამადასტურებლად უამრავი ფაქტი შემიძლია მოვიყვანო. თავდაცვის სამინისტროში დაბრუნებულთა უმეტესობა, სამსახურიდან სხვადასხვა მიზეზებითაა დათხოვნილი, ხოლო ვინც სასამართლო დავა მოიგო, მათი უფლებების აღდგენასა და დაცვაზე არავინ ზრუნავს. დამოკიდებულება ისევ ისეთია, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო. თავდაცვის სამინისტრო რომ სამოქალაქო საზოგადოების კონტროლქვეშ მოექცევა, მხოლოდ პიარია და შიდასამზარეულოში არავის ჩაახედებენ. თავდაცვის სამინისტროში არ არიან სპეციალისტები, ვინც შეაფასებს თუ განსაზღვრავს პროფესიონალიზმის ხარისხს.

ის განცხადებაც, რომ თავდაცვის სამინისტროში დააბრუნებენ და უპირატესობას მიანიჭებენ იმ კადრებს, ვინც ევროპასა და აშშ-ში მიიღო განათლება, ერთ კითხვას ბადებს — განა წინა ხელისუფლების დროს სასწავლებლად სწორედ იმათ არ უშვებდნენ, ვინც მათი ან მეგობარი, ან ნათესავი და ანდა, მეხოტბე იყო? ამგვარი პოლიტიკით, ვფიქრობ, ისედაც მიწასთან გასწორებულ ოფიცერთა შემადგენლობას კიდევ ახალ თავსატეხს გაუჩენენ.

მაგალითისთვის მოგიყვანთ 04.10.2004 წლის 1/810 თავდაცვის მინისტრის გიორგი ბარამიძის ბრძანებას, რის შედეგადაც 521 ოფიცერი დაითხოვეს სამსახურიდან და უმუშევარი დატოვეს. მსგავსი ბრძანებები არაერთია და სამიათას ხუთას ოფიცერზე მეტს მოიცავს. მიუხედავად ხანგრძლივი სასამართლო დავებისა, რომელთა უმეტესობა ოფიცერთა სასარგებლოდ გადაწყდა, თავდაცვის მინისტრები სხვადასხვა დროს, ხან სასამართლოს გადაწყვეტილებებს აზუსტებდნენ და ცვლიდნენ საკუთარი მოსაზრებებისამებრ, მაგალითად, როგორც ეს ირაკლი ოქრუაშვილმა გააკეთა, ხან საერთოდაც იგნორირებას უკეთებდნენ თავდაცვის სამინისტროს წესდებასა და დებულებას. დღევანდელი ხელისუფლების მესვეურნი რატომღაც, ამ საკითხებით ნაკლებად არიან დაინტერესებულები და სულაც არ ცდილობენ უფლებაშელახული ოფიცრების აღდგენას.

როდესაც განაცხადეს, თავიდან დაგვიწერეთ საჩივრები და განცხადებები, ჩვენ ახლებურად განვიხილავთ თქვენს საკითხს და გადავწყვეტთო, ნამდვილად გაოცებული დავრჩი. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ახალი ხელისუფლება ცდილობს, თავი აარიდოს იმ ვალდებულებებს, რომლებიც წინა ხელისუფლებამ დაუტოვა. წარმოიდგინეთ, იმ სამხედრო მოსამსახურეების მდგომარეობა, ვინც სასამართლოები მოიგეს და ახლა თავიდან უნდა დაიწყონ რაიმე სახით დავა? ეს ჯურღმული და შეურაცხყოფა თავიდან უნდა გაიარონ? თავდაცვის სამინისტრო და საერთოდ, ახალი ხელისუფლება ვალდებულია, ჯერ დააკმაყოფილოს ის ოფიცრები, ვისაც სასამართლო დავები მოგებული აქვთ, შემდგომ კი გადაიხედოს დანარჩენების უფლებების დარღვევის ფაქტებს. და არა ისე, ვინ პირველი დაწერს ირაკლი ალასანიას სახელზე განცხადებას ან მასთან დაახლოებულ პირს იპოვის რეკომენდაციის გასაწევად.

**— თავის დროზე, ეს ოფიცრები პარტიული ნიშნით გაათავისუფლეს?**

— არა, სამხედრო მოსამსახურე ვერ იქნება ვერცერთი პარტიის წევრი, ეს კანონით იკრძალება. თუმცა მასობრივი დათხოვნა წინა ხელისუფლების პოლიტიკური ნება იყო. განსაკუთრებული შემთხვევა 2008 წლის ომის შემდგომ გქონდა, როცა დათხოვნილთა უმეტესობას გარკვეული დარღვევები ჰქონდა. თუმცა თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის 2008 წლის 4 დეკემბრის 759 ბრძანებით, ყველა, ვინც სამსახურეობრივი შეუფერებლობისა და კონტრაქტის დარღვევის საფუძველზე დაითხოვეს, უკანვე დააბრუნეს ისე, რომ მათ სტატუსი არ შეუცვალეს. კანონიერი გზით, სასამართლოების მოგების მიუხედავად კი, არცერთი ოფიცერი არ აღუდგენიათ. შესაბამისად, შეიარაღებული ძალები თითქმის სრულად წარმოადგენს კანონდამრღვევთა და არაპროფესიონალთა დაჯგუფებას.

**— შეიარაღებულ ძალებში შექმნილი სიტუაცია და ასეთი კადრების სისტემაში დაბრუნება, რას მოგვცემს?**

— წინა და ახალი ხელისუფლების მხარდამჭერი ოფიცრების შიდადაპირისპირება გარდაუვალი იქნება. შეიარაღებულ ძალებში თუ არ მოხდება პროფესიონალიზმის ნიშნით ოფიცრების დაბრუნება, მოხდება შიდაგანხეთქილება და საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს წარმოქმნის. დაბალი ინტელექტის მქონე შეიარაღებული ადამიანი ყოველთვის საფრთხეს უქმნიდა ჯერ საკუთარ თავს და მერე — გარშემომყოფებს, ამით კი მოსახლეობა დაზარალდება. შესაძლოა, საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდეც კი მივიდეს. ამის საშიშროება ნამდვილად არსებობს.

**— რატომ აბრუნებენ მათ, მაინცდამაინც, ბატალიონის ან ბრიგადის მეთაურებად?**

— ჯერ ერთი, ამით ახალი ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალურად გააკონტროლოს შეიარაღებული ძალები, რის გამოც არ უყურებს მათ წარსულს. მთავარია, მათი მხარდამჭერი იყოს და წინა ხელისუფლებას ლანძღავდეს. აღდგენილთა უმეტესობა მანამდეც მსგავს თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ ახლა მთავარია, გავარკვიოთ მათი დათხოვნის რეალური საფუძველი. ასევე იბრძოდა თუ არა საკუთარი უფლებების დასაცავად კანონიერი საშუალებებით, აქვს თუ არა შესაბამისი სამხედრო განათლება, არსებობს თუ არა მათი გამამართლებელი სასამართლო გადაწყვეტილებები და ა.შ. თავდაცვის სამინისტროდან არაერთი ოფიცერი იქნა დათხოვნილი გარკვეული ფინანსური მაქინაციებისა თუ სხვა სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, ასე, ერთი ხელის აღებით მათი შეიარაღებულ ძალებში დაბრუნება, დაუშვებლად მიმაჩნია.

**— თავდაცვის სამინისტრომ დოკუმენტები გრიფით საიდუმლო, საჯარო გახადა, რა შედეგი შეიძლება მოგვიტანოს ამ გადაწყვეტილებამ?**

— არ ვეთანხმები არც იმ გარემოებას, რომ ახლახან, სრულიად კანონდარღვევით მოხდა გრიფით საიდუმლოს სტატუსის მოხსნა სამხედრო დანიშნულების დოკუმენტებზე. ეს ფაქტი მიმაჩნია მიკერძოებულ პოლიტიკურ აქციად, რაც დაუშვებელია.

თუ ეს ასე არ არის, მაშინ გრიფი „საიდუმლო“ მოხსნან მსგავს გარიგებებს უფრო ხანდაზმული თარიღით — 1990 წლიდან დღემდე. პროკურატურამ დაიწყოს მოძიება, თუ სად წავიდა საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი საბჭოთა საბრძოლო ტექნიკა — როგორც ამბობდნენ, თურმე სადამ ჰუსეინს ვაწვდიდით შეიარაღებას და ვამარაგებდით ქურთ სეპარატისტებს, ისიც გამოაქვეყნონ, ოქრუაშვილის მინისტრობის პერიოდში, როგორ შემოიტანეს ჟანგიანი საბრძოლო ტექნიკა და ძველი ტყვიაწამალი, 2004 წელს ცხინვალის მიდამოებში განვითარებული მოვლენების დროს როგორ მიაწოდეს რიყის ქვები ხელყუმბარების ნაცვლად წინა ხაზზე ჩვენს კომანდოს ბატალიონს. როგორ ასმევდნენ დაბინძურებულ წყალს და წამლავდნენ ქართველ მეომრებს და ა.შ. მოხდეს ყველა საიდუმლო დოკუმენტის გასაიდუმლოება და ყველა საიდუმლო სამსახურის აგენტის ლუსტრირება.

# კახა კალაძე დანაპირებს ასრულებს — ჯერ დენი გაიაფდება, შემდეგ — გაზი და საწვავი

*მე-3 გვერდიდან*

— დიახ, ზურაბ ნოლაიდელი ამ კომპანიას მართავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან პოლიტიკაში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო, ჩვენი ბიზნეს-ურთიერთობა შეწყდა. რაც შეეხება ჯარიმას, ეს აბსურდია, არავითარი ჯარიმა არ დაგვიგროვებია, ეს იყო შავი პიარი, რომელიც დაშინების მიზნით ააგორეს და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანეს. არსენალის მთაზე საკმაოდ დიდი, სამშენებლო პროექტი უნდა განგვეხორციელებინა, რომელიც დაახლოებით, 1 500 000 000 აშშ დოლარი ჯდებოდა, მაგრამ კომპანიის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ომი და ფინანსური კრიზისი იყო.

**თუმცა, ყველაზე საინტერესო ის იყო, რაც რამდენიმე ხნის შემდეგ, სრულიად შემთხვევით გავიგეთ: 80 ჰექტარი მიწა, რომელიც „კალა კაპიტალმა“ არსენალის მთაზე შეისყიდა და რაშიც წინასწარ დაახლოებით, 19 000 000 აშშ დოლარი გადავიხადეთ, აღმოჩნდა, რომ ამ მიწის 16 ჰექტარი საპატრიარქოს საკუთრებაში ყოფილა. ეს ყველაფერი ჩვენთვის დიდი სიურპრიზი და მოულოდნელობა იყო და დავიწყეთ მოლაპარაკებები ეკონომიკის სამინისტროსთან. სხვათა შორის, შეგვეძლო, ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში გაგვესაჩივრებინა და საქართველოს, როგორც ქვეყანას, ძალიან დიდი თანხის გადახდა მოუწევდა, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ.**

შემდეგ, როდესაც პოლიტიკაში ჩავერთე, ამ პროექტიდან და კომპანიიდანაც საერთოდ წამოვედი, ჩემი პარტნიორები, რომლებიც ახლა „კალა კაპიტალს“ მართავენ, ამ პროცესში ახლაც ჩართულები არიან, მაგრამ დეტალური ინფორმაცია არ მაქვს.

**— უკაცრავად, ეკონომიკის სამინისტრომ „კალა კაპიტალს“ საპატრიარქოს კუთვნილი მიწა მიყიდა და კომპენსაციაც კი არ გადაიხადა?**

— დიახ და, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ყველაფერი თვითონაც არ იცოდნენ. როგორც გითხარით, ჩვენც შემთხვევით გავიგეთ, საპატრიარქომ მოგვმართა წერილობით და გვთხოვა, ჰქონდათ თუ არა უფლება, ამ მიწაზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა დაეწყოთ. არ დაგიმალავთ, როდესაც წერილი მივიღეთ, გავგიჟდით, ვერ მივხვედით, არსენალის მთასთან საპატრიარქო რა შუაში იყო. რას ვიზამდით, ეკლესიის წინააღმდეგ ხომ არ დავიწყებდით ბრძოლას? რაც შეეხება კომპენსაციას, როგორც ვიცი, ახალ ხელისუფლებასთან ამ თემაზე საუბარი ჯერ არ ყოფილა, მაგრამ იმედი მაქვს, ეს პროცესი ნორმალურად დასრულდება.




**— თქვენი წინამორბედი ალეკო ხეთაგური „იტერას“ ხელმძღვანელია, როგორ ფიქრობთ, ეს პრობლემას არ შეგიქმნით?**

— არა, „იტერა“ უკვე აზერბაიჯანულმა „სოკარმა“ იყიდა...

**— და ეს ფაქტი გამშვიდებთ, ხომ?**

— დიახ (იცინის). „სოკარს“ რაც შეეხება, ეს კერძო კომპანიაა და მათი გადასაწყვეტია, ვის დანიშნავენ ამა თუ იმ თანამდებობაზე. ჩვენ ვერ მივუთითებთ და ვერც მათ საქმიანობაში ჩავერევით. ეს არ არის ენერგეტიკის სამინისტროს გადასაწყვეტი თემა, მაგრამ „იტერაში“ ალეკო ხეთაგურის დანიშვნის გამო, პრობლემას ვერ ვხედავ.

**— ბატონო კახა, ზურაბ ნოლაიდელზე არაფერს გკითხავთ, მაგრამ თქვენი და რატი სამყურაშვილის ურთიერთობა კი ძალიან მაინტერესებს, ის ხომ „ნაციონალური მოძრაობის“ საკმაოდ ცნობილი სახე იყო, თქვენ კი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, ეს ფაქტი უხერხულობას არ გიქმნიდათ ურთიერთობაში?**

— არა, ნამდვილად არ მიქმნიდა, რადგან როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით, პოლიტიკაზე არ ვსაუბრობდით. მართალია, მე და რატის განსხვავებული შეხედულებები გვქონდა, მაგრამ ბოლო დროს, არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, რატისაც სულ სხვა შეხედულება გაუჩნდა და ისე აღარ აქტიურობდა. მე და რატი ნათესავები ვართ, ძალიან დიდი ხანია ვმეგობრობთ, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც არცერთ ჩვენგანს პოლიტიკასთან კავშირი არ ჰქონდა. ზოგადად, თანამდებობის და პოლიტიკური შეხედულებების გამო, მეგობრებს არ ვირჩევ. რაც შეეხება ზურაბ ნოლაიდელს, მასთან ყოველთვის ნორმალური ურთიერთობა მქონდა. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით იქამდეც, ვიდრე პრემიერ-მინისტრი გახდებოდა და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

**— ბოლო დროს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ინვესტორები ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობას გაურბიან, არადა ინვესტიციები სწორედ ენერგეტიკულ და ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჭარბობდა. მართლა საგანგაშო სიტუაციაა?**

— არა, ნამდვილად არ არის საგანგაშო სიგნალი. ყველაფერი დამოკიდებულია იმ ცვლილებებზე, რაც ქვეყანაში მოხდა და ეს ნორმალურია. პირიქით, ძალიან დიდი ინვესტიციები განხორციელდება ქვეყანაში, მათ შორის ენერგეტიკის მიმართულებით. მართალია, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ საქართველოში უამრავი ინვესტორი შემოვიყვანეთ, რომლებიც ჰესებს აშენებენ, მაგრამ სინამდვილეში, ეს ყველაფერი ბო[illegible].

**„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები თავს იწონებდნენ, რომ 15 ჰესზე მშენებლობაა დაწყებული, 30 ჰესზე კი მემორანდუმი გაფორმდა, რაც დიდი ტყუილია. სულ 3-4 ჰესია, სადაც რეალურად, სამუშაოებია დაწყებული, დანარჩენ ჰესებზე კი მხოლოდ მემორანდუმებია გაფორმებული. ჯერ ტექნიკურ-ეკონომიკური ხედვები უნდა დადონ და ამის შემდეგ განხორციელდება ინვესტიციები. ცხადია, ყველა ეს პროექტი დასრულდება, მაგრამ ახლა ვსწავლობთ თითოეულ კონტრაქტს და მემორანდუმს, რომლებშიც სულ სხვადასხვა ხედვებია, რაც ჩემთვის გაურკვეველია.**

არის მემორანდუმი, რომელშიც ჯარიმებია ჩადებული, სხვა მემორანდუმში საერთოდ, არ არის ჯარიმა გათვალისწინებული, მითითებულიც კი არ არის ჰესის მშენებლობის დაწყების, დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების ვადები. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ამ პროექტებთან მიმართებაში, მეგობრულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ.

**— „თელასის“ გაფიცულ მუშებთან დაკავშირებით, რა ვითარებაა ახლა?**

— მართალია, ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედიოდა, მაგრამ ამ პროცესში მაინც ჩავერთეთ, რადგან ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქე ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კარგია, რომ „თელასის“ გაფიცული მუშები გაგახსენდათ, რადგან ისე დაივიწყეს ეს თემა, თითქოს არაფერი მომხდარა. ყველაფერი პოზიტიურად დასრულდა, ამიტომ ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რადგან ბევრი ადამიანი დაუბრუნდა თავის სამუშაო ადგილს, თუმცა პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ ეს ადამიანები სამუშაო ადგილებს დაბრუნებოდნენ, ხელმძღვანელობას გადაწყვეტილება მათი პროფესიონალიზმის გათვალისწინებით მიეღო და არა პოლიტიკური შეხედულებებით.



# დარეჯან ჩხეტიანი: „კონკრეტული სია მაქვს, თუ ვინ არიგებდა ფულს აზერბაიჯანულ ოჯახებში, როცა საჭირო იქნება, ამ ინფორმაციას ძალოვან სტრუქტურებს მივაწვდი!“

მერაბ ბერიძე

**პირველი ოქტომბრის არჩევნებში, ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატი კვლავ „ნაციონალი“ კობა ნაყოფია გახდა. მას „ქართული ოცნების“ კანდიდატი, სამშობიარო სახლის დირექტორი დარეჯან ჩხეტიანი, რაიონის მოსახლეობის ღია მოსყიდვაში ადანაშაულებს. მისი თქმით, ნაყოფიას მომხრეებისგანვე აქვს ინფორმაცია, რომ ბიზნესმენმა ხელახლა პარლამენტში შესვლისთვის, ხუთი მილიონი დახარჯა. კოალიციის ადგილობრივი აქტივისტები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებენ და სამართლიანობის აღდგენისთვის კონსტრუქციულ ბრძოლას განაგრძობენ. საპარლამენტო არჩევნების პერიპეტიებსა და შემდგომ განვითარებულ პროცესებზე დარეჯან ჩხეტიანს ვესაუბრებით.**

## როგორ მოისყიდა კობა ნაყოფიამ ბოლნისელები 5 მილიონად

— პირველ რიგში, საღმა აზრმა გაიმარჯვა და საზოგადოებამ სწორი არჩევანი გააკეთა. წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემები დროულ გადაწყვეტას საჭიროებს. პოლიტიკაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალე, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესში ჩემი წვლილი შემეტანა. მოქალაქეები არსებული რეჟიმის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი; იმის მიმართ, რაც საქართველოში ცხრა წლის განმავლობაში დაგროვდა. ისიც არასწორად მიმაჩნია, რომ არაფერი გაკეთდა. მაგრამ ჩვენ, ყველანი, უხეში შეცდომების მოწმენი ვიყავით. ამ ბუნებრივმა პროტესტმა პოლიტიკაში მომიყვანა. ამასთან, ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია და დღემდე ვაგრძელებ სამედიცინო სფეროში მუშაობას.

**— რამდენად დამაკმაყოფილებლად წარმართეთ წინასაარჩევნო ბრძოლა ბოლნისში?**

— კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში უმთავრესი როლი, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილმა შეასრულა. თუმცა კარგი არ არის, რომ სამომავლო იმედები ერთი ადამიანისკენაა მიმართული. ამასთან, ივანიშვილმა ქვეყნის გადარჩენის რეალური შანსი მოგვცა. არსებული ორხელისუფლებიანობის მიუხედავად, ღრმად მწამს, რომ დაპირებები შესრულდება. უამრავი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქვეყანა დასახული მიმართულებით განვითარდება. ევროპისა და ნატო-სკენ აღებული გეზი სწორია, მაგრამ სახელმწიფომ, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის ინტერესები უნდა გაითვალისწინოს. ახალი მთავრობის პოლიტიკა სწორედ ამისკენ არის მიმართული. იმედია, წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები აღარ გამეორდება.

**— თქვენ „ნაციონალ“ კობა ნაყოფიასთან დამარცხდით; როგორ შეაფასებთ არჩევნებზე მიღებულ შედეგს?**

— კოალიციამ და მაჟორიტარმა რაიონში რვა ათასი ხმის აღება მოვახერხეთ. ამით საერთო ყულაბაში, ძალიან დიდი წვლილი შევიტანეთ. ოპოზიციის წარმომადგენელს ამდენი ხმა არასოდეს მიუღია. სააკაშვილის ხელისუფლებამ ასეთი რამ აზერბაიჯანულ სოფლებშიც კი ვერ მოახერხა, მოსყიდვისა და დაშინების ათასგვარი მცდელობის მიუხედავად. ქართულ სოფლებში კი პირწმინდად მოვიგე. ასე მოხდა დაბა კაზრეთშიც კი, სადაც ჩემს ოპონენტს ამხელა ოქროს საწარმო აქვს.

**— კონკრეტულად, რა მოხდა აზერბაიჯანულ მოსახლეობაში?**

— სამწუხაროდ, მათში ცოცხლობს მენტალობა, როდესაც ყოველთვის მოქმედ მთავრობას უჭერენ მხარს. ამავე დროს, კობა ნაყოფიამ ამ საქმეში ხუთი მილიონი ჩადო და მოსახლეობა პირდაპირ მოისყიდა.

**პრაქტიკულად, ოქტომბრის არჩევნები კუდ-მა, სამართალდამცავებმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩაატარა. მოგეხსენებათ, წინასაარჩევნო პერიოდი ტერორის, დაშინების, დაპატიმრებების ფონზე მიმდინარეობდა. ხოლო არჩევნების დღეს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აზერბაიჯანულ სოფლებში, უკვე დღის პირველ საათზე ე.წ. შედეგები დადო. საარჩევნო უბანთან ასორმოცდაათ მეტრში, კუდ-ის მორიგე თანამშრომლები და ზონდერების ბრიგადა იდგა. ყველა შემომავალი ქუჩიდან ორასი მეტრის დაშორებით, ყალბი პასპორტებით და ფულით, წინასწარ მომზადებული „ნაციონალები“ იდგნენ. ისინი ხვდებოდნენ და ამისამართებდნენ ამომრჩევლებს. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს კი, პირადობის მოწმობები წინასწარ ჩამოართვეს. ასეთი ადამიანები კენჭისყრაზე, პრაქტიკულად, ვერ მოვიდნენ.**

ამას გარდა, ყველა უბანზე სამარშრუტო ტაქსებიც ჰყავდათ მიყვანილი. ჩასვამდნენ ამომრჩევლებს, მანქანაშივე ფულს ურიგებდნენ. ხოლო წინასწარ აშინებდნენ — თუ „ხუთიანს“ არ შემოხაზავთ, უბნიდან გამოსვლისთანავე სამართალდამცავები დაგიჭერენ და დაისჯებითო; და თუ შემოხაზავთ „ხუთიანს“, მობრძანდებით სამარშრუტო ტაქსში და ფულს გადაგიხდითო. აი ასეთ პირობებში მიმდინარეობდა პირველი ოქტომბრის არჩევნები.

**საარჩევნო უბნებიდან უამრავი დამადასტურებელი ვიდეომასალა გვაქვს; აქ ნათლად ჩანს, რომ „ნაციონალების“ მიერ მომზადებულ ე.წ. დამკვირვებელს კაბინაში სამ-სამი ამომრჩეველი შეჰყავს — ეუბნებიან „ხუთიანი“ შემოხაზეთო, ან ამას თვითონვე აკეთებენ. ამ ფონზე წამოღებული ხმები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.**

გაყალბების მცდელობები ქართულ მოსახლეობაშიც იყო, თუმცა — უშედეგოდ. ქართული მოსახლეობა იმდენად მოწადინებული იყო, ბიძინა ივანიშვილს გაემარჯვა, რომ აბსოლუტური შედეგი გვქონდა როგორც პარტიას, ასევე — მაჟორიტარს.

**— საიდან გაქვთ ინფორმაცია, რომ კობა ნაყოფიას რაიონის მოსახლეობის მოსყიდვა ხუთი მილიონი დაუჯდა?**

— სხვათა შორის, მათივე მომხრეებიდან და უახლესი გარემოცვიდან. ზოგიერთ სოფელში ნაყოფიას დაქირავებული ადამიანები ჰყავდა, რომლებიც პირადად ბიძინა ივანიშვილსა და ჩემზე ბინძურ ინფორმაციებს ავრცელებდნენ. ბოლნისის მოსახლეობა ძალიან კარგად მიცნობს, როგორც პროფესიონალ ექიმს და ასევე, როგორი მიდგომა მაქვს უმცირესობების მიმართ.

**გამარჯვების ძალიან დიდი იმედი მქონდა. სადაც კი ვხვდებოდი მოსახლეობას, დიდი მოწიწებით, სიყვარულითა და ოვაციებით მხვდებოდნენ. არჩევნებზე მხარდაჭერას გვპირდებოდნენ. მაგრამ შიშის ფაქტორმა და პირდაპირმა მოსყიდვამ თავისი გაიტანა. კონკრეტული სია მაქვს, თუ რომელი პიროვნების მიერ ხდებოდა ფულის დარიგება აზერბაიჯანულ ოჯახებში. როცა საჭირო იქნება, ამ ინფორმაციას ძალოვან სტრუქტურებს მივაწვდი.**

**— აქამდე რაიმე ფორმით თუ გააპროტესტეთ მსგავსი ფაქტები და ამ თვალსაზრისით, შედეგებზე რას გვეტყვით?**

— არჩევნების შემდგომ დღეებში ჯერ საოლქოში შევიტანეთ საჩივრები, მერე პროკურატურასა და სასამართლოში. საოლქომ ყველაფერს იგნორირება გაუკეთა და დოკუმენტები უკან დაგვიბრუნა; იმ მოტივით, თითქოს ვადებში ვერ ჩავეტიეთ. შემდეგ სასამართლომაც, ვადების მომიზეზებით, ჩვენი განცხადება არ დააკმაყოფილა. ჯერჯერობით, გავჩერდით. სისხლის სამართლებრივი უამრავი მასალა, ვიდეო გვაქვს და როცა საჭიროდ ჩავთლით, შესაბამის ორგანოებს გადავცემთ.

**— ადეკვატური რეაგირების იმედი რამდენად გაქვთ?**

— არ მინდა, ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ხელი შევუშალო. ხალხი მოლოდინით დაიღალა და სწრაფი ეფექტის მიღება უნდა. რეალური ორხელისუფლებიანობის პირობებში კი, ყველაფერი გაძნელებულია. სიტუაციის დალაგებას დრო სჭირდება. მითუმეტეს, წინა ხელისუფლება ყოველგვარ საშუალებას, მათ შორის მედიას, ზოგიერთი საერთაშორისო წრის მხარდაჭერას აქტიურად იყენებს, არჩევნებზე გამარჯვებული ძალის საწინააღმდეგოდ. იმედია, ყველაფერი დალაგდება და ახლანდელი ხელისუფლება რაიონებისთვისაც მოიცლის.

მთავარია, ქვეყანაში სამართლიანობის პრინციპი მყარად დამკვიდრდეს. როცა პოლიტიკაში მივდიოდი, სულ ვფიქრობდი, სწორად ვიქცეოდი თუ არა, მაგრამ არსებული ხელისუფლების მიმართ იმხელა პროტესტი გამაჩნდა, როგორც ექიმს, სხვაგვარად მოქცევის უფლება არ მქონდა. ყოველდღე ვხვდებოდი ავადმყოფს, რომელიც გადამხდელუნარიანი არ არის. სადაზღვევო კომპანიები დაკისრებულ ფუნქციებს არ ასრულებენ. როგორც ყველგან, ასევე, მონოპოლიაა სამედიცინო ბიზნესშიც. პრაქტიკულად, ყველაფერი თავდაყირა იდგა. უპირველესად, ხელისუფლების პოლიტიკური ნება უნდა იყოს, რომ სამართალმა პური ჭამოს, ბიზნესი განვითარდეს, ჯანდაცვა, განათლება ხელმისაწვდომი გახდეს და ა.შ.

**— დაპირებებთან, იმავე საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით, უკვე გარკვეული პრეტენზიები ისმის „ქართული ოცნების“ მიმართ; თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ავიღოთ ძალოვანი სტრუქტურები. ხელისუფლება ორ და სამ დღეში, მასობრივად ახალ კადრებს ვერ მოიყვანს. შერჩევის პროცესში კი შეცდომები დაშვებული იქნება. იგივე სასჯელაღსრულების სამინისტროში, სოზარ სუბარმა ერთ-ერთი კადრი, დანიშვნიდან რამდენიმე საათში მოხსნა. რთული პროცესია, მაგრამ თუ ახალი კადრს არასწორად უცხოვრია ან არაპროფესიონალია, შესაბამისი გადაწყვეტილებაც უნდა იყოს მიღებული. როგორც ქალი, ექიმი, ძალიან ვწუხვარ, როცა ვიღაცას სჯიან, მაგრამ ახალი სახელმწიფოს შენება სამართლიანობის აღდგენიდან თუ არ დავიწყეთ, არაფერი გამოვა. მაინც ვფიქრობ, რომ შედეგის საჩვენებლად ცოტა დრო გვჭირდება.

ცხრა წლის განმავლობაში, ყველა პროფესიის ადამიანი დაიღალა, მაგრამ ორ-სამ დღეში ვერაფერი მოხდება. ერთ, ცალკე აღებულ ოჯახსაც კი სჭირდება სწორი მენეჯმენტი. ივანიშვილის იმიტომ მჯერა, რომ ქართული მენტალობის ადამიანია. რა ინტერესი უნდა ჰქონდეს გარდა იმისა, რომ შთამომავლობამ ნორმალურ, განვითარებულ ქვეყანაში იცხოვროს? დაშვებულ შეცდომებზე რეაგირებასაც უსწრაფესად ახდენს. ოღონდ, არ ვიცი, რამდენად მაქვს საზოგადოებისთვის თხოვნის უფლება, ცოტა ხანს უნდა ვაცალოთ და ყველაფერი თავის ადგილას დადგება. თუ ამას ვერ შეძლებენ, ქართულმა საზოგადოებამ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის უფლება მყარად მოიპოვა და ამას ვერავინ წაგვართმევს.

**— ფაქტია, რომ ადგილობრივ მმართველობაში ისევ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, ამის გათვალისწინებით, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პოლიტიკური სახის შესანარჩუნებლად, ტონი უნდა შეიცვალოს; შეეგუოს, რომ ხელისუფალი აღარ არის და ამასთან, ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობა მიიღოს. პოლიტიკურ გვამებად რომ არ იქცნენ, სწორი გზა უნდა აირჩიონ და ღირსეულ ოპოზიციაში დარჩნენ. რა თქმა უნდა, ძალადობრივი სისტემის შემქმნელებმა, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ, მაგრამ ძველი მეთოდებით მუშაობისა და მასობრივი დაპატიმრებების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. თავისუფალმა სასამართლომ სწორი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, ხელისუფლება ამაში არ უნდა ჩაერიოს.

რაც შეეხება ადგილობრივ ხელისუფლებას, ვამაყობ, რომ ის, რაც სხვა რაიონებში ხდება, არ არის ბოლნისში. ვგულისხმობ გამგეობებში შესვლას, შიმშილობებს და ა.შ. ჩემთან ერთად მებრძოლ ადამიანებს ხშირად ვეუბნები, რომ დავიცადოთ, ძალადობრივად არ ვიმოქმედოთ და ყველაფერი მშვიდობიანად დავარეგულიროთ. სხვათაშორის, „ნაციონალების“ წარმომადგენელი გამგებელიც ცდილობს, თავისი შეცდომები გამოასწოროს და ნორმალურად მოიქცეს. ყოველ შემთხვევაში, აგრესიას არ იჩენს და ჩვენც სათანადოდ ვიქცევით, აქციებს არ ვაწყობთ.

## ვერსიანიუსი

### ლალი აფციაური არჩილ კბილაშვილს მიმართავს, ოქრუაშვილის საქმეს ის პროკურორები ჩამოაშოროს, რომლებმაც „ბრალდება თავად შეთითხნეს“



ამის შესახებ აფციაურმა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომაზე გამოცხადებული შესვენების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომლის დროსაც, მოსამართლის გადაწყვეტილებით, აფციაურს სხდომა დაატოვებინეს და 500 ლარით დააჯარიმეს.

სხდომას მოსამართლე ხათუნა ხარჩილავა უძღვება, პროცესს პროკურორები – ელიზბარ გოზალიშვილი და ჯაბა ებანოიძე ესწრებიან. აფციაურის შეფასებით, მოსამართლე არაობიექტური და მიკერძოებულია, რის გამოც, ადვოკატმა პირველივე სხდომაზე მისი აცილების შუამდგომლობა დააყენა. ამასთან, აფციაურის თქმით, საქმეს ის პროკურორები უძღვებიან, რომლებმაც ოქრუაშვილის წინააღმდეგ „ბრალდება თავად შეთითხნეს“.

**„დღევანდელ სხდომაზე ბრალდების მხარის ყველაზე მნიშვნელოვანი მოწმე იკითხებოდა. ჩვენ კარგად ვნახეთ, ის როგორ ცრუობდა, პროკურორები კი ყველანაირად ცდილობდნენ, მოწმის დაკითხვის დროს, დაცვის მხარისთვის ხელი შეეშალათ. ერთ-ერთი კითხვის დროს პროკურორმა მიმითითა, რომ წავიკითხო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რითაც მან ეთიკის კოდექსი და სასამართლოზე ელემენტარული ურთიერთობა დაცვისა და ბრალდების მხარეს შორის დაარღვია. შესვენების დამთავრების შემდეგ მოსამართლეს ვთხოვე, რომ ოქმში მკაცრი, მაგრამ დამსახურებული განცხადება შეეტანა, რომ თუ პროკურორი არაეთიკურ გამოხტომებს თავს არ დაანებებდა, მას იმ პროცესს თავზე დავახევდი“,** — განაცხადა აფციაურმა და მთავარ პროკურორს ამ საქმისთვის აღნიშნული პროკურორების ჩამოცილების თხოვნით მიმართა.

*„პირველი“*

# ექსკლუზიური ინტერვიუ გენერალ ვალერი ჩხეიძესთან

მარი შათირიშვილი

**საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, გენერალი ვალერი ჩხეიძე საქართველოში დაბრუნდა. როდესაც 8 წლის წინ, ყირიმის სანატორიუმში წასასვლელი და უკან დასაბრუნებელი ბილეთები აიღო, ალბათ, ვერ იფიქრებდა, რომ მისი შვებულება ამდენ ხანს გაგრძელდებოდა. ამ დროის განმავლობაში ორი შვილიშვილი შეეძინა, დედა გარდაეცვალა... დღეს დედის საფლავიც მოინახულა, ოჯახსაც მოეფერა, ახალი წლის შეხვედრასაც საქართველოში აპირებს. შემდეგ ისევ რუსეთში მიდის – ცნობილი ქირურგი ლეო ბოკერია მოსკოვში მას გულის ოპერაციას გაუკეთებს. სამომავლო გეგმებსაც სწორედ ამ ოპერაციის შემდეგ დაალაგებს. მანამდე გენერალი ვალერი ჩხეიძე „ვერსიას" ექსკლუზიურად უმხელს საქართველოდან წასვლის კონკრეტულ მოტივებს და „ნაციონალური" ხელისუფლების დამარცხების მიზეზზეც საუბრობს:**

**— ბატონო ვალერ, 8 წელია, საქართველოდან წასული ხართ, რას საქმიანობდით ამ დროის განმავლობაში?**

— წელიწადნახევარი უკრაინაში ვიცხოვრე, პრაქტიკულად, უმუშევარი ვიყავი, თუ რამე გამოჩნდებოდა, მეგობრები მეხმარებოდნენ. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ოჯახი ვერ წავიყვანე... მერე უფრო კონკრეტული საინტერესო სამსახურის შოვნა მოვახერხე. კიევში რომ გამიჭირდა, გადავწყვიტე, სტავროპოლის მხარეში გადავსულიყავი და იქ ჩემი მეგობრის ფირმაში დავიწყე მუშაობა დირექტორის მოადგილედ. ახლა შვებულებით ვარ წამოსული, ჩვენი ფირმა სამშენებლო მასალებსა და მშენებლობასთან დაკავშირებულ პროცედურებს აწარმოებს. მე ვარ მოადგილე უსაფრთხოების დარგში.

**— ვიდრე საქართველოს დატოვებდით, პრეზიდენტ სააკაშვილს ტელეკამერების წინ ცხვირთან უფრიალეთ კაგებე-ს ჯარში სამსახურის ფოტოალბომი. რა იყოს ეს — გააფრთხილეთ, რომ მასზე ბევრი რამ იცოდით, თუ „გააბრაზეთ"?**

— მაშინ რაიმე ქვეტექსტის ძიება ავადმყოფური აზროვნების შედეგი იყო. ეს იყო აბსოლუტურად გულწრფელი ნაბიჯი, რომლის გადადგმაც ჩემმა უკრაინელმა კოლეგებმა შემომთავაზეს, ჩემი მოგონილი კი არაა. მე მაშინ უკრაინაში ვიყავი ვიზიტით და მითხრეს, ხომ იცი, თქვენი პრეზიდენტი რომ აქ მსახურობდაო. კი-მეთქი, ჩვენ ალბომს გავუკეთებთ და წაუღეთო. დავთანხმდი. იქ იყო მისი, როგორც წარჩინებული ჯარისკაცის ფოტო, იმ შენობის, სადაც მსახურობდა, მისი უფროსების, მისი დახასიათება... არ ვიცი, რატომ მოჰყვა ასეთი რეაქცია... საკუთარ თავს გასცეს პასუხი.

**— დავუბრუნდეთ თქვენს წასვლას, ამბობთ, რომ გაიძულეს საქართველოდან წასვლა, თუმცა ამის შესახებ საზოგადოებამ მხოლოდ ჭორის დონეზე იცის, კონკრეტულად, რა მოხდა?**

— პირველ რიგში, მოხდა ის, რომ შენს აზრს არ ითვალისწინებს ხალხი, რომელიც რანგით შენზე მაღალია, მაგრამ გამოცდილება და პროფესიული დონე აქვს ნული! მეორე ის, რომ ჩემი იგნორირება დაიწყეს — კონტაქტების მიღებაზე რეკავ, ამზადებ საბუთებს და რეაქცია ნული, თითქოს არ ვარსებობდი! ამას მოჰყვა ის, რომ ერთ მშვენიერ დღეს, სადაზვერვო დეპარტამენტი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, უბრალოდ, დალუქეს. არავისთან შეთანხმებული არ იყო. ვფიქრობ, უფრო დაშინების მიზნით — ღამის პირველ საათზე მოდიხარ, ლუქავ, დილას იწყებ ჩხრეკას... მე ვარ უფროსი და შესაბამისად, პასუხისმგებელიც, ხომ? ცხადია, ვერაფერი იპოვეს. ეს ყველაფერი დაგროვდა. მის შემდეგ იყო ის, რომ ერთი ბიჭუნა, რომელიც ქუჩიდან მოვიდა, გვარად უგულავა, უცებ უშიშროების მინისტრის მოადგილე გახდა. არ შეიძლება ასე! ეს სუფთა ბოლშევიკური მეთოდია. ლენინი ამბობდა – „მზარეულს შეუძლია, ქვეყანა მართოს!" მაგრამ ეს საქმე ის კი არ არის, რომ მოიყვანის და დასვეს, ამას კიდევ არა უშავს,

> **მე ალმაშფოთა იმ ფაქტმა, რომ მოახტა და დანაშაულებრივ ფაქტზე ამოღებული „ჯიპით" სეირნობისას, მანქანა დაამტვრია, ამაზე კი არავის ჰქონია რეაქცია. თქვე დალოცვილებო, თქვენ მოდიხართ ლოზუნგით, ვებრძოლოთ უსამართლობას, კორუფციას და თქვენვე, ერთი კვირის მოსულები, ამ უსამართლობას სჩადიხართ?!**

ეს მანქანა კონფისკირებულია, ე.ი. ნივთმტკიცებაა, თითქოსდა კონტრაბანდული გზით შემოტანილი — რა გამოდის, ორმაგ დანაშაულს ჩადიხარ?!

**— გამოდის, რომ პრინციპული უთანხმოების გამო წახვედით სამსახურიდან და არა ზეწოლის, თუ ორივე ერთად იყო?**

— მერე დაემატა ზეწოლა. ვიდრე ზურაბ ჟვანიასთან იყო კონტაქტები, კიდევ არა უშავდა. ჭკვიანი კაცი იყო, ადეკვატურად მოაზროვნე, მოსმენის კულტურა ჰქონდა — შეიძლება ბოლომდე არ გეთანხმებოდა, მაგრამ მაინც. ერთ მაგალითს გეტყვით — ვსხედვართ კაბინეტში და ვმსჯელობთ დაზვერვის განვითარების საკითხებზე. ამ დროს საუბარში ერევა და შესწორებები შეაქვს ვინმე ამირან მესხელს! მერე გავიგე, რომ არავითარი სპეცგანათლება არა აქვს — ვალუტის პუნქტი ჰქონდა გახსნილი და იქ შრომობდა, რა უნდა ვილაპარაკო?! საქმე ისაა, რომ ეს არაა ნაწყენი კაცის პოზიცია — მე კი არ მეხებოდა ეს ყველაფერი, ეხებოდა ქვეყნის უსაფრთხოების სისტემას! შემდგომმა წლებმა გვიჩვენა, რომ შეიქნა არა ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა, არამედ დამსჯელი ორგანო, რომელსაც მისცეს ლეგიტიმური ხასიათი და იცავდა კლანურ, ჯიბის და არა სახელმწიფო ინტერესებს!

**— ამდენი წელია, სულ მაინტერესებდა, მეკითხა – მართალია, რომ თქვენი მეგობარი ბორის სალარიძე, რომელსაც დაჭერას უპირებდნენ, თქვენ გაიყვანეთ ჩუმად ქვეყნიდან და ამის გამო გადაგეკიდნენ „ნაციონალები", ეს ვერსია კულუარებში აქტიურად განიხილებოდა...**

— არა, არავითარ შემთხვევაში, ხატზე დავიფიცებ, რომ არაფერი საერთო ამასთან არ მაქვს, ყურით მოთრეული ჭორია!

**— პირადად სააკაშვილთან არ გიცდიათ შეხვედრა და საუბარი?**

— არ გამოდიოდა კონტაქტზე, არ პასუხობდნენ არც ადეიშვილი, არც მერაბიშვილი... მერე გამომიგზავნეს ვილაც რიგითი თანამშრომელი და შემომითვალეს, პატაკი დამეწერა. მე არანაირი პრობლემა არ მქონდა — უფრო ადრე დავსვი ეგ საკითხი — როცა ჯერ კიდევ საზღვრის დაცვის თავმჯდომარე ვიყავი, დამიძახა უშიშროების საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარე ვანო მერაბიშვილმა და მითხრა – გადავწყვიტეთ, სხვა მიმართულებით გადაგიყვანოთ – დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელად, მინისტრის მოადგილედო. მე ვუთხარი, რომ არ არის პრობლემა, საერთოდ დავწერ პატაკს და წავალ, უკვე გადავიღალე და სურვილიც აღარ მაქვს-მეთქი, როგორ გეკარებათ, ჩვენ დიდად ვაფასებთ, რაც სასაზღვრო უწყებაში გაკეთდა, არც ვაპირებდით გადაყვანას, მაგრამ ტვინი წაგვიღეს – ეს ადგილი სხვისთვის უნდათო! ვისთვის უნდოდათ, ამას, გამოძიება თუ დამკითხავს, სიამოვნებით ვეტყვი.

**— პროკურატურას ბევრი სთხოვს დაკითხვას, მაგრამ, ეტყობა, ვერ იცლიან, ჯერ ჩვენ გვითხარით და ვთხოვოთ პროკურატურას, ოფიციალურ ჩვენებად მიიღოს.**



— (იცინის) ეს მათი პრობლემაა, მერაბიშვილი ცოცხალია და დამიდასტურებს, ალბათ. მერე, როცა რაიონებში დავდიოდი, ვატყობდი, ხალხი ეიფორიაში იყო, რაიმეს თქმას აზრი არ ჰქონდა, ვიწრო წრეში რომ დავიწყებდი ლაპარაკს, მაშინვე მეტყოდნენ — კარგი, ვაცალოთ, შენ კაგებე-ს ძველი თანამშრომელი ხარ... მაშინ ვერავის დაარწმუნებდი, მიშას ნდობის დიდი ლიმიტი ჰქონდათ...

**— გარდა ჩამოთვლილი მიზეზებისა, თქვენი დაკავების საფრთხეც ხომ არ იგრძენით?**

— ეს იგრძნობოდა... გახსოვთ, ალბათ, პრესაში დაიბეჭდა ყოფილი მესაზღვრეების ინტერვიუები. ეს ზუსტად ის მესაზღვრეები იყვნენ, ვინც სამსახურიდან გაუშვეს. სტატიები იბეჭდებოდა ზუსტად 3 თებერვლიდან. მე ყველაფერს ვუძლებ, გარდა შიშველი ტყუილისა — სრულიად უძლური ვხდები! ავლაბრისა და აფხაზეთში ბევრად ადვილი იყო ჩემთვის... როცა მქონდა საუბარი თქვენს კოლეგასთან, გაეცინა და მითხრა – თქვენც გადაგვიხადეთ 500 დოლარი და საწინააღმდეგოს დავწერდითო. გამოდის, ეს დაკვეთილი სტატიები იყო!

**— ამის ხმამაღლა თქმა ახლა ცოტა დელიკატურია — ჩემმა კოლეგამ პატივისა და ღირსების შელახვისთვის რომ გიჩივლოთ?**

— მე ხომ გვარს არ ვასახელებ და ეს მის სინდისზე იყოს. მე ყველასთვის მიპატიებია. ეს სტატია რომ დაიბეჭდა, უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა ვანო მერაბიშვილმა მითხრა – ჩვენ ვიცით ამ სტატიების შესახებ და ყურადღება არ მიაქციოთ, ვიცით, რომ შეთითხნილიაო. მიუხედავად ამისა, მე დავწერე პატაკი და მივმართე გენერალურ პროკურორს, ბატონ ირაკლი ოქრუაშვილს – გამოეძიებინათ ეს ყველაფერი. გამოძიება დაიწყო და ყველა აღწერილი ეპიზოდი აღმოჩნდა სიცრუე და გაყალბებული.

> **ერთადერთი ეპიზოდი, რომელიც მე დავადასტურე, იყო ის, რომ დაბადების დღეზე, როცა 55 წლის გავხდი, იცოდა რა ჩემი სიყვარული იარაღის მიმართ, ყოფილმა თანამშრომელმა მაჩუქა კარგი, უცხო იარაღი. ჭკუისკოლოფებმა დათვალეს და აღმოაჩინეს, რომ 500 ლარზე მეტი ღირდა და ქრთამად შეაფასეს! სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ნემსა მოშლილი იყო, ანუ იარაღი მოცემულ მომენტში სასროლად არ იყო ვარგისი და ფასი – 500 დოლარი ღირდა თუ 482, ეჭვქვეშ დადგა. ამას დაერთო ბერეზოვსკის შემოსვლა საქართველოში.**

გახსოვთ, ალბათ, მაშინ ყველაფერი გაირკვა, მაგრამ მე მაშინაც დავწერე პატაკი და შევუტანე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, მაგრამ ბურჯანაძემ ხელი არ მოაწერა. შემდეგ დააკავეს ანალიტიკური სამსახურის უფროსი ირაკლი პაპავა, 3 დღე-ღამე იყო იზოლატორში, სამხედრო პროკურატურა კითხავდა და ვინმე გამომძიებელი ჭანუყვაძე ეუბნებოდა:

> **ჩვენ ოპერატიული მონაცემები გვაქვს, რომ თქვენ, მესაზღვრეებს, 75 000 დოლარი გაქვთ აღებული ბერეზოვსკის შემოსვლაშიო! მეორე დღეს უთხრეს — 25 შენ გაქვს აღებული და 50 000 დოლარი შენს გენერალსო, თან უჩვენებს დაკითხვის ბლეფ ოქმს, თითქოს მე ვაღიარე 50 000 დოლარის აღება! როცა ყველა ვადა გაუვიდათ, მესამე დღეს გამოუშვეს. ის ვაჟკაცურად მოიქცა – გამოვიდა, პირდაპირ ჩემთან მოვიდა ღამის 11 საათზე და მითხრა — ბატონო გენერალო, თქვენს წინააღმდეგ მუშაობს სამხედრო პროკურატურა, რაღაცების დაბრალებას აპირებენ და კერძოდ – ამას და ამას მოითხოვენო.**

ამის შემდეგ იარაღის თაობაზე დაკითხვის დროს, რომელსაც ისევ ეს ჭანუყვაძე აწარმოებდა, მე ვუთხარი, თქვენი ნება რომ იყოს, ალბათ ეს იარაღი 50 000 დოლარის ღირებულების იქნებოდა-მეთქი – ღია ტექსტით ვაჯახე.

*დასასრული მე-7 გვერდზე*

## ვერსიანიუსი

### ირაკლი ოქრუაშვილის პროცესზე ბრალდების მხარის მოწმე დაიკითხა



თბილისის საქალაქო სასამართლოში თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის პროცესზე ბრალდების მხარის მოწმე – შსს-ს კონტრდაზვერვის სამსახურის შიდა ქართლის განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი დაიკითხა.

ზურაბ ბრეგვაძემ 2011 წლის 23-25 მაისს მომხდარი საქმის დეტალები გაიხსენა. მისი თქმით, მან და **„კიდევ ორმა თანამშრომელმა – გიორგი დავითაშვილმა და ვახტანგ სარაულმა სამმართველოს უფროსისგან მიიღეს დავალება, რომ ოკუპირებული ტერიტორიიდან ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე პროვოკაციის მოწყობისა და პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით, რამდენიმე პირი აპირებდა გადმოსვლას".** ისინი გაემგზავრნენ სოფელში, ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს და 23 მაისს დაინახეს, რომ ოკუპირებული ტერიტორიიდან 6 პიროვნება გადმოვიდა: **„ეს პიროვნებები ერთსართულიან სახლში შევიდნენ, რომელსაც ვუთვალთვალებდით. 25 მაისის საღამოს, აღნიშნული სახლი 4-მა პიროვნებამ დატოვა, ამის შემდეგ 8 პირი მოვიდა და სახლიდან სამი ყუთი და სამი ტომარა გამოიტანეს და სახლის სიახლოვეს, მიწაში დამარხეს".** მოწმეს დაცვის მხარის ადვოკატებმა კითხვები დაუსვეს, ადვოკატ ზვიად კორძაძის თხოვნით, მოწმეს წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული მისივე ჩვენება წაუკითხეს და ჰკითხეს — იყო თუ არა ეს მის მიერ წინასწარ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება, რაზეც მოწმე დათანხმდა. შემდეგ ადვოკატმა განაცხადა, რომ ეს არა ზურაბ ბრეგვაძის, არამედ მისი ერთ-ერთი ოპერატიული თანამშრომლის, გიორგი დავითაშვილის ჩვენება იყო.

ამ ყველაფერმა დარბაზში ხმაური გამოიწვია, რის გამოც მოსამართლემ ორ დამსწრეს სხდომა დაატოვებინა. ადვოკატი ასევე დაინტერესდა, სასამართლოში მოსვლამდე მოწმემ თუ ნახა პროკურორები და ხომ არ გაიარა მან იქ ტრენინგი. შეგახსენებთ, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნას ან ხელმძღვანელობას გულისხმობს და თავისუფლების 6-დან 9 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ბრალდებულია 8 პირი, ოქრუაშვილთან ერთად, დაკავებულები არიან იოსებ გიგუაშვილი, გიორგი გაბროშვილი და ხვიჩა საბაშვილი. ასევე, გაბრიელ პავლიაშვილი, თამაზ ბეგიაშვილი და ზაზა ბეთლემიძე.

*„პირველი"*

*მე-6 გვერდიდან*

არ ვიცი, კარგად გახდა თუ ცუდად, მაგრამ ამ საკითხს თავი აარიდა. ეს იყო და ეს. როცა დაზვერვის დეპარტამენტში გადავედი და დავინახე, რომ ხელისუფლებამ ყოველგვარი კონტაქტი გაწყვიტა ჩემთან, მერე პირდაპირ მითხრეს, დამეწერა პატაკი და წავსულიყავი. ცხადია, მე პრობლემა არ მქონდა, მაგრამ 3 კვირის მერე დარეკეს და მკითხეს — „ბატონო გენერალო, თქვენ სახლში იარაღი გაქვთ?" მე ვუთხარი — თუ ჭკუა გაქვს, მე კი არ უნდა მირეკავდე, უნდა რეკავდე პოლიციის განყოფილებაში, სადაც იარაღი, რომელიც მე მართლა მაქვს, ყოველ წელს მოწმდება. უკვე მივხვდი, რომ რაღაც სიბინძურეზე მაიძულებდნენ ხელის მოწერას, რაც უნდა მეთქვა, ხალხი არ მომისმენდა, ჩუმად სამზარეულოში ჩურჩულიც არაა ჩემი სტილი, ამიტომ დავრეკე პროკურატურაში და ვიკითხე — გაქვთ ჩემთან შეკითხვები? — მეგობრებმა გამიკეთეს სანატორიუმი ყირიმში და მაქვს თუ არა უფლება, წავიდე-მეთქი? — კი, ბატონო, წაბრძანდითო. წავედი და 10 დღეში ისევ დაიწყეს სიბინძურეების ტრიალი... მე უკან დასაბრუნებელი ბილეთიც მქონდა, მაგრამ...

**— ალბათ, რაღაცას მაიძულებდნენო, მითხარით, რაღაცის გაკეთება გთხოვეს და არ გააკეთეთ?**

— ალბათ! კი არ მთხოვეს, უნდოდათ... მაგრამ არ გამოვიდა... იყო, კი! ერთ შემთხვევაში იყო სრული სისულელე, როცა ჩემი ოფიცრები მოცვივდნენ და მითხრეს, რომ ვერტმფრენებით ასლან აბაშიძის რეზიდენციის დაბომბვას გეგმავდნენ, მაშინვე დავეკონტაქტე ზურაბ ჟვანიას, რომელიც, აღმოჩნდა, რომ ამ იდეის აზრზე არ იყო!

**— ვითომ? მეორე კაცი ხელისუფლებაში!**

— კი, მეორე იყო, მაგრამ მას უკვე უსმენდნენ! ამანაც მიბიძგა მე წასვლისკენ!

**— პრემიერს უსმენდნენ? ეს რაღაც ახალია!**

— დიახ, პრემიერს უსმენდნენ! მე სომხეთიდან დამირეკეს მეგობრებმა და მითხრეს, რომ იყო მსხვილი ბიზნესმენი, რომელსაც უნდოდა ინვესტიციების ჩადება ქართულ ენერგეტიკაში. ენერგეტიკის მინისტრს ხომ იცნობო? მე ვუთხარი, მას არა, მაგრამ პრემიერს ვიცნობ-მეთქი, დავურეკე ბატონ ზურაბს და ძალიან გაუხარდა – რას ამბობ, ოღონდ ვინმე შემოვიდეს ინვესტორიო! ისინი ჩამოვიდნენ, მივიყვანე ზურაბთან, ისაუბრეს და რომ მიდიოდნენ, პრემიერმა მთხოვა, ცოტა ხანს დავრჩენილიყავი სალაპარაკოდ. არ დავმალავ — ქაღალდზე დავუწერე — „წებია პრასლუშივაიუტ!" დამიწერა კითხვის ნიშანი — ვინო? რა ფაქტები გაქვსო? მე დავუწერე — „მოძებნე დრო და სხვაგან დავილაპარაკოთ".

**— თქვენ გქონდათ ფაქტები, თუნდაც ინფორმაცია დავარქვათ...**

— როცა ისმენ ფრაზას, რომელიც მოსმენილი გაქვს ერთ ადგილზე, თქვენ ორის გარდა, ამ საუბარს არავინ ესწრებოდა და მესამე, რომელსაც თავისი რანგით არანაირი შეხება ამ ინფორმაციასთან არა აქვს, იგივე ფრაზას გეუბნება, საიდან? ე.ი. იქ აპარატურაა დამონტაჟებული!

**— 11 წელი საზღვრის დაცვის ხელმძღვანელი იყავით და უნდა გკითხოთ ლოპოტის სპეცოპერაციის შესახებ, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი დარტყმა იყო თვითონ სააკაშვილის ხელისუფლებაზე. ცნობილია, რომ ჩეჩენ მეომრებთან ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან არსებობდა დაუწერელი ხელშეკრულება და ურთიერთხელშეუხებლობის გარანტიები. ეს ხელშეკრულება მოულოდნელად და საბედისწეროდ დაირღვა, რატომ, რა იყო მიზანი?**

— როცა ლტოლვილების პირველი ნაკადი წამოვიდა, ჩვენ მათი გადმოყვანა დავიწყეთ, რადგან დიდი ნაკადი შატილსა და ყაზბეგში დაგროვდა. ძირითადად, იქ მოხუცები, ქალები და ბავშვები იყვნენ, „ბოევიკები" არ ყოფილან, მაგრამ მათ მერე ნელ-ნელა დაიწყეს შემოსვლა, მოგეხსენებათ, რა რთული მონაკვეთია, მე მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვამბობ — იქ 2-5 კაციანი ჯგუფი საზღვარზე ისე შეიძლება გადმოვიდეს, ვერ დააფიქსირო. ნელ-ნელა მათი ოდენობა პანკისის ხეობაში გაიზარდა. მე უშიშროების საბჭოს სხდომაზე დავსვი ეს საკითხი და დღესაც ვადასტურებ — ქალბატონმა ბურჯანაძემ თქვა, რომ ეს არ დაიმალებოდა და სჯობდა, თავიდანვე გვეღიარებინა ეს პრობლემა, რადგან მერე შეიძლებოდა, უფრო დიდ პრობლემად ქცეულიყო. ეს სრულიად სწორი პოზიცია გახლდათ. ეს ჩვენ გვაძლევდა შანსს, რუსებისთვის გვეთქვა – თქვენგან შემოდიან „ბოევიკები", თქვენ არ იცავთ საზღვარს! მე ბურჯანაძეს მაშინ მხარი დავუჭირე, მაგრამ რატომღაც, ამას ყურადღება არ მიექცა და წავიდა ფარულ ინფორმაციაში. ამის შემდეგ გადიოდა დრო და ყველა, მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც, ვიძახდით, რომ პანკისში „ბოევიკები" არ არიან! ეს იყო საგარეო პოლიტიკის მიმართულება. მერე რამოდენიმე ოპერაცია ჩატარდა, რამოდენიმე პიროვნება დაკავებული იყო, რამოდენიმე გაძევებული... რაც შეეხება ლოპოტას, სიღრმისეულად არ ვიცი, რა იყო, მაგრამ გეუბნებით, ეს იყო წმინდა წყლის პროვოკაცია და ბლეფი!

**— მიზანი?**

— „საზღვარზე არსებობს საფრთხე, ამიტომ რა დროს არჩევნებია, საგანგებო ვითარებაა" და არჩევნები გაჩერდებოდა... ჩემი აზრით, ესაა, მაგრამ ეტყობა, ბოლომდე რაღაცამ არ იმუშავა, რაც დაგეგმილი იყო! მე სხვა განმარტებას ვერ ვხედავ, თუმცა ვიმეორებ — სიღრმისეული ინფორმაცია არ მაქვს.

**— ახალი ხელისუფლებისგან რაიმე შემოთავაზება ხომ არ გქონიათ?**

— არ მქონია. საბჭოთა პერიოდში ცენტრალურ პრესაში იყო ასეთი რუბრიკა — „მე რომ დირექტორი ვიყო". ეს ჩაითვალოს ჩემს წინადადებად, ანდა — მოსაზრებად: უპირველესად, თითოეულ უწყებაში უნდა შეიქმნას არა საუწყებო, არამედ დამოუკიდებელი სააუდიტო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ყველაფერს. ეს ჯგუფები რომ დაამთავრებენ მუშაობას,

> **მერე დაიბადება კითხვები — რატომ მოხდა ეს, ვისი ბრალია, ვისი მითითებითაა, აი, მაგალითად: რა მდგომარეობაშია სახელმწიფო საზღვარი, მამისონის უღელტეხილის, დავით გარეჯის, ბუბუტის საგუშაგოს საკითხები... დავით გარეჯზე იყო დაუწერელი შეთანხმება — ვიდრე გამიჯვნის ოქმზე ხელი არ მოეწერებოდა, სასაზღვრო ხაზი ხელშეუხებელი იყო, ასე იყო სომხეთთანაც და რუსეთთანაც. სააკაშვილის დროს კი რა ხდებოდა? — ჩვენი უშიშროების სისტემა არა სახელმწიფო, არამედ კერძო ინტერესებს ემსახურებოდა.**

ის იცავდა კერძო ბიზნესს, აპატიმრებდა იმას, ვინც მიშაზე რაღაცას იტყოდა.. რა გგონიათ, დღეს თურქეთის დაზვერვა საქართველოში არ მუშაობს?! არა მარტო რუსეთი, თითქმის ყველა ჩვენი მეზობელი ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს. ძირგამომთხრელ საქმიანობას კი არ ეწევა, ინფორმაციას აგროვებს! შედეგი? — ნულია. რასაც ჰქვია ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა, ამაზე არ უმუშავიათ!

**— ოპონენტები გეტყვიან, რატომ? ძველმა ხელისუფლებამ მოახერხა სერიოზული საფრთხეების აღკვეთა...**

— განსაკუთრებით, ის საცოდავი ბიჭი, ბუშის აფეთქება რომ უნდოდა, ხომ?! ძალიან სერიოზული ოპერაციაა... ირონიით გეუბნებით, იცით, რატომ? — როდესაც ხელისუფლებას ერთ ტყუილზე დაიჭერ, მერე იმისი უკვე აღარ გჯერა!

**— ბოლო დროს აქტუალური გახდა ყალბი ე.წ. სპეცპასპორტების და მათი საშუალებით საზღვრის გადაკვეთის მცდელობის თემა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს კრიმინალია, ნაწილი კი ამ თემის გასაჯაროებას სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ მიიჩნევს. თქვენ რას ფიქრობთ?**

— ყალბი პასპორტები ყოველთვის იყო სპეცსამსახურების პრაქტიკაში, მთელ მსოფლიოში. რა, გგონიათ, ამერიკელები არ სარგებლობენ? მეორე, მესამე და მეოთხე პასპორტიც ოპერატიული საქმიანობისთვის იყო, არის და იქნება, მაგრამ მინისტრის რანგის პიროვნებისთვის ეს აუცილებელი არ არის.

**— თქვენ არ გქონიათ?**

— როცა ოპერატიული მუშაკი ვიყავი, მქონდა, მერე — აღარ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწმობაც მქონდა, კულტურის სამინისტროსიც და ა.შ. საზღვარგარეთაც ხშირად გავსულვარ, ოღონდ იქ ჩემი სახელი და გვარი ეწერა... სპეცსამსახურების მუშაობის ყველა ნიუანსის გამომზეურება და გაშუქება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება! მაგრამ ზედმეტად, ყველაფერზე გრიფი „საიდუმლოს" დადებაც არაა სწორი! ახლა რომ ერთი აურზაურია ატეხილი იარაღის შესყიდვებზე, აქ არაფერია საიდუმლო, ავტომატ „კალაშნიკოვის" საბაზრო ფასები ოფიციალურად დევს ინტერნეტში. ახლა თუ ზედმეტი თანხა წავიდა სპეცაპარატურის ან რაიმე მსგავსის შესაძენად, ეგ სხვა საქმეა, მაგრამ თუ ჯიბეში წავიდა, აქ უკვე საიდუმლო გრიფი არ უნდა არსებობდეს.

**— დღეს საქართველოში დაბრუნების ბუმია – ბრუნდებიან წლების განმავლობაში წასული ჩინოსნები და მათი უმეტესობა პოლიტდევნილის სტატუსის მინიჭებას ითხოვს. ამაზე უკვე გენერალმა იგორ გიორგაძემაც განაცხადა პრეტენზია. ამ ერთი ციდა ქვეყანაში თითქმის 200 პოლიტპატიმარი და 20-ოდე პოლიტდევნილი აღმოგვაჩნდა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველო რუსეთის ორბიტაზე დაბრუნდა, მეორე ნაწილი ამას სამართლიანობის აღდგენას უწოდებს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ციფრები მიანიშნებს, რომ საქართველოში იყო ერთი კაცის ნება-სურვილზე აწყობილი დიქტატორული რეჟიმი. როცა ერთი ჩემი ნაცნობი დააკავეს და მეორე დღეს სასამართლო უნდა ყოფილიყო, წინა დღეს ტელევიზიით გამოდის პრეზიდენტი და ამბობს: მართალია, გამოძიებამ ამ პიროვნების მიმართ ბევრი რამ ვერ დაადგინა, მაგრამ მე ვიცი, რომ ის დამნაშავეა და უნდა იჯდეს ციხეში! ვინა ხარ შენ? ალექსანდრე მაკედონელი თუ ფარაონი, ვინ მოგცა ამის უფლება?! ჩემმა მეორე ნაცნობმა, როგორც კი ოპოზიციური პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო, ერთი კვირის თავზე, სრულიად უდანაშაულოდ, დაუჭირეს მამა. ეს პოლიტიკური დევნა არ არის? რაც შეეხება დასავლეთის რეაქციებს, ახლა რომ აყვირდნენ რასმუსენები და სხვები – ბატონებო, სად იყავით მაშინ, ციხეებში წამება რომ მიმდინარეობდა? ამ წლების განმავლობაში 600-მდე პატიმარია დაღუპული. მათ ჯერ თავის თავში ჩაიხედონ! დროა, ჩვენ, ქართველებმა დავანებოთ სხვების თვალებში ყურებას თავი — რას იტყვის ჩვენზე ამერიკა და ევროპა. ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს, ჩვენა ვართ ჩვენი თავის პატრონები, ჩვენი სიამაყე უნდა გვქონდეს. რაც შეეხება იგორ გიორგაძეს, დარწმუნებული ვარ, შეთითხნილი საქმეა...

**— ანუ, მას არ მოუწყვია ედუარდ შევარდნაძეზე ტერაქტი?**

— ერთხელ მან თქვა ინტერვიუში, ეს რომ მდომებოდა, ასე უტვინოდ არ გავაკეთებდიო! უნდა ჩამოვიდეს და მისი პოტენციალი გამოყენებულ უნდა იქნას ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, მე ჩემი აზრი მაქვს რუსეთზე – რა დადებითიც გვაკავშირებს და იმაზეც, რაც უარყოფითია, დაუფარავად ვლაპარაკობ. არ არსებობს სიტუაცია, საიდანაც არ არსებობს გამოსავალი! არ არსებობს ადამიანი, რომელთანაც საერთო ენის გამონახვა არ შეიძლება! არ შეიძლება, ბნელ ოთახში დაიჭირო კატა, როცა ის იქ არ არის!!!

## ვალერი ჩხეიძე მინი-დოსიე



1972 წელს დაამთავრა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი.

1975 წლიდან მუშაობას იწყებს სსრკ უშიშროების კომიტეტში. ამ პერიოდიდან 1982 წლამდე ეკავა სხვადასხვა თანამდებობები ოპერატიული რწმუნებულიდან – ქვეგანყოფილების უფროსამდე.

1982-1984 წლებში სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლეს სკოლაში.

1987 წლიდან მუშაობა განაგრძო საქართველოს უშიშროების კომიტეტში.

1991 წლის ივლისიდან 1991 წლის ოქტომბრამდე მუშაობდა საქართველოს შსს-ს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

1991 წლის ოქტომბრიდან მუშაობა განაგრძო საქართველოს უშიშროების სამინისტროში, განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

1992 წლის იანვრიდან დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოადგილედ.

1992 წლის ივნისიდან გადაყვანილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ.

1993 წელს დაინიშნა საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდლად, თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

1994 წელს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

2004 წლის 19 თებერვალს დაინიშნა დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

2004 წლის 3 აპრილიდან 4 ივნისამდე მუშაობდა საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილედ – საგარეო დაზვერვის დეპატრამენტის დირექტორად.

# ვერსიანიუსი

## მაია ფანჯიკიძე: „კონკრეტული პირები, ვის გათავისუფლებასაც პრეზიდენტი ითხოვს, არ დასახელებულა"



საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, კონკრეტული პირები, ვის გათავისუფლებასაც პრეზიდენტი და მისი გუნდი ელჩების შეცვლის სანაცვლოდ ითხოვს, არ დასახელებულა. ამის შესახებ ფანჯიკიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა. **„კონკრეტულად, არაფერზე ყოფილა საუბარი, მხოლოდ იმაზე, რომ კოჰაბიტაცია გულისხმობს დათმობებს ორივე მხრიდან და ამ კონტექსტში იყო ნახსენები ეს საკითხი",** — განაცხადა ფანჯიკიძემ და დასძინა, რომ გიგა ბოკერიას გადასცა იმ ქვეყნების სია, საიდანაც ელჩების გამოწვევა ახალ მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოგვიანებით კი, წერილით მიმართა პრეზიდენტსაც, თუმცა ამაზე რეაქცია არ ყოფილა. ფანჯიკიძის თქმით, ერთადერთი ელჩი, რომელიც გამოწვეულია, კონსტანტინე გაბაშვილია. ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრი თავს იკავებს იმ ელჩების დასახელებისგან, რომელთა შეცვლასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, „ნაციონალებმა", ელჩების გამოწვევის სანაცვლოდ, მათი გუნდის რამდენიმე წევრის ციხიდან გათავისუფლება მოითხოვეს: „საგარეო საქმეთა მინისტრმა პრეზიდენტს ელჩების გამოწვევის თაობაზე ერთი თვის წინ მიმართა და თუ გააანალიზეთ მეორე წერილი, იქ აღნიშნულია მიმართვის თარიღი. ერთი თვე გავიდა და რეაგირება ერთი თვის წინ უნდა მოეხდინა. ამ კაცმა განაცხადა, რომ ხელს არ შეუშლიდა მთავრობის მუშაობას. არ მინდა, ჭორებით ვისარგებლო, ეს გაართულებს ურთიერთობას, მაგრამ როგორც ვიცი, მათ მოითხოვეს რამდენიმე ადამიანის გათავისუფლება. კიდევ ერთხელ შევახსენებდი მოსახლეობას, ოპონენტებს, პრეზიდენტს, თუ გნებავთ ევროპელებს და ამერიკელებს, რომ არჩევნების პროცესში, 190 ჩვენი თანაგუნდელი იყო დაკავებული და აბსოლუტურად ყველა — პოლიტიკური ნიშნით. ახლა ისინი ცდილობენ, რასაც თვითონ აკეთებდნენ, ჩვენ მოგვაკერონ, მაგრამ არ გამოვა. პოლიტიკური ნიშნით არავინ იდევნება. საქართველოში შერჩევითი სამართალი არ არის. ვინც დააშავა, მას მოეკითხება. ასე იქნება მომავალშიც და მოვუწოდებ ელჩებს, მთავრობის ნორმალურ ფუნქციონირებას კრიმინალთან ნუ გააიგივებენ. ელჩები უნდა დაინიშნონ და გამოიცვალონ, რამდენადაც ახალი მთავრობა მოვიდა.

*„პირველი"*

# 26 მილიონი დოლარი „სმარტს“ EBRD-ისგან!




## „ვისოლის“ 4-5-წლიანი გეგმა — საქართველოს მასშტაბით 50 „ჩემი სუპერმარკეტი“ გაიხსნება

„სმარტში“ ერთხელ მაინც თუ შეგივლიათ, მეორედ მისვლის სურვილი აუცილებლად გაგიჩნდებოდათ. თუ ასეა, მაშინ სიახლე, რომლის შესახებაც ამჯერად გიამბობთ, გაგახარებთ — მალე, „სმარტის“ ნარინჯისფერი „ციყვები“ საქართველოს ჭორფლივით გამოაყრის და „ჩემ სუპერმარკეტამდე“ მისასვლელად, შეიძლება ტრანსპორტიც კი აღარ დაგჭირდეთ. მიუხედავად იმისა, სად ცხოვრობთ — თბილისის რომელიმე უბანში თუ საქართველოს რომელიმე რეგიონში. ეს იმ 26 მილიონი ამერიკული დოლარის საშუალებით მოხდება, რომელსაც, სესხის სახით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) სუპერმარკეტების ქსელს გამოუყოფს.

თანამშრომლობის მემორანდუმს მხარეებმა ხელი, სიმბოლურად, „ვისოლის“ ლოგოიანი კალმებით, 11 დეკემბერს მოაწერეს „თბილისი მარიოტში“ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე. აღნიშნული თანხით, „სმარტი“, 2015 წლამდე, 28-მდე სავაჭრო ცენტს განავითარებს მთელი საქართველოს მასშტაბით. 4-5 წლის განმავლობაში კი, „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტის, სოსო ფხაკაძის განმარტებით, ქვეყნის მასშტაბით 50 „ჩემი სუპერმარკეტი“ გაიხსნება. სესხის ნაწილი თანამედროვე მდგრად ენერგოტექნოლოგიებში ინვესტირებასაც მოიცავს მეტად ეფექტური ენერგომოხმარების მისაღწევად.

**სოსო ფხაკაძე: „წლების წინ დავიწყეთ სუპერმარკეტების ქსელის შექმნა. ბუნებრივი პროცესია, რომ რამდენიმე სუპერმარკეტის ჩვენი რესურსით გახსნის შემდეგ, ქსელის გაფართოებისთვის საჭირო ფინანსების მისაღებად, ამ შემთხვევაში, EBRD-ს მივმართეთ. „სმარტმა“ გრძელვადიანი სესხი მიიღო 26 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. ეს თანხა მოხმარდება „სმარტის“ ბრენდის ქვეშ მომუშავე სუპერმარკეტების ქსელის შექმნას საქართველოს მასშტაბით. პროექტის ფარგლებში გაიხსნება 50 სუპერმარკეტი. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „სმარტში“ ახალი ტექნოლოგიების დანერგვასაც ვაპირებთ. გვინდა, ჩვენი სუპერმარკეტები, ბაზარზე ამ მხრივაც გამორჩეული იყოს. ვგულისხმობ, ძირითადად, ენერგოეფექტურობასთან, გარემოს დაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებს. „ვისოლი“ EBRD-თან ჯერ კიდევ 2005 წლიდან თანამშრომლობს. მადლობა ამ ბანკს ნდობისთვის, მით უმეტეს, იმ ეტაპზე, როცა საქართველოში ფულის მოზიდვა არ არის მარტივი. „სმარტის“ სუპერმარკეტების ქსელის განვითარება აქტიურ ფაზაში შედის. მოხარულები ვართ, რომ EBRD-მა „სმარტის“ მდგრადი განვითარების სტრატეგია მნიშვნელოვნად მიიჩნია საქართველოში საცალო ვაჭრობის განვითარების კუთხით. ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ ჩვენ ქვეყანაში მომსახურების ევროპული სტანდარტები დავნერგოთ და მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის პროდუქტების ფართო არჩევანი შევთავაზოთ“.**

თავის მხრივ, ვისოლს, „წარმატებული თანამშრომლობისთვის“ მადლობა გადაუხადა EBRD-ის დირექტორმა კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში პოლ-ჰენრი ფორესტიერმა. მისი თქმით, „ვისოლთან“ წლების წინ დაწყებული პარტნიორობა სწორედ ისეთია, როგორი ურთიერთობაც ბანკს სურს კომპანიებთან. **„კარგი წელი გვქონდა და ვიმედოვნებთ, რომ „სმარტთან“ თანამშრომლობის შედეგად, უფრო უკეთესი წელი გვექნება. EBRD საცალო ვაჭრობას წარმატებული საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან განვითარებული სავაჭრო ქსელი სთავაზობს მომხმარებელს უფრო მომგებიან პირობებს: ხარისხისა და ფასის უკეთეს თანაფარდობას. EBRD-ის დაფინანსება „სმარტის“ სუპერმარკეტების ქსელს საშუალებას მისცემს, განავითაროს თანამედროვე საცალო ვაჭრობის ფორმატები თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. „სმარტი“ საქართველოს მოსახლეობას შესთავაზებს ხარისხიან, მრავალფეროვან, ადგილობრივი და უცხოური წარმოების პროდუქციას, კონკურენტულ ფასებს და ხელს შეუწყობს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლების განვითარებას“,** — ასეთია იმ ბანკის წარმომადგენლის პოზიცია, რომელმაც ზოგადად, საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა, რადგან ჩვენ ქვეყანაში, 157 პროექტის განხორციელებისთვის, 1 მილიარდ 700 მილიონი ევრო გამოყო. ეს ფაქტი სიამოვნებით გაიხსენა პრესკონფერენციაზე სოსო ფხაკაძემ და EBRD-ის წარმომადგენლებს, არაერთი მადლობაც გადაუხადა. ფხაკაძის მადლიერების ადრესატი „სმარტის“ კოლექტივიც იყო სრული შემადგენლობით და ასევე, „ვისოლის“ ჯგუფში შემავალი, უძრავი ქონებისა და სამშენებლო კომპანია „ველაჯიოს“ გენერალური დირექტორი ლევან კალმახელიძეც. დაგეგმილი სუპერმარკეტების მშენებლობას, სწორედ ეს კომპანია უზრუნველყოფს. თანაც, როგორც თავად კალმახელიძემ აგვიხსნა, უცხოეთში გაზიარებული თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიაში არსებული უახლესი ტექნოლოგიებით, რაც „სმარტის“ განვითარების პროცესს უფრო ეფექტურს, ხარისხიანსა და სწრაფს გახდის.

ასე რომ, მალე, რუსთაველის გამზირზე (ფოსტის ყოფილი შენობა), აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, გუდაურში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე მდებარე „სმარტებს“ კიდევ არაერთი „ჩემი სუპერმარკეტი“ შეემატება. ეს კი, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტის გამოა მისასალმებელი — სოსო ფხაკაძის განმარტებით, გეგმის მიხედვით, „სმარტის“ ქსელის განვითარება ნიშნავს, არანაკლებ დამატებით 3 000 სამუშაო ადგილის შექმნას ქვეყანაში. ამას, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა. **„ზოგადად, „ვისოლ ჯგუფში“, ამ პროექტის რეალიზაციის შემდეგ, დასაქმებული იქნება, არანაკლებ 8 ათასი ადამიანისა. ყველაზე მეტად ის გვახარებს, რომ „სმარტის“ ქსელის განვითარება ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ასობით ოჯახში შემოსავლის წყაროს გაჩენას ნიშნავს“,** — განაცხადა სოსო ფხაკაძემ და ისიც გაგვიმხილა, რომ უახლოეს თვეებში, „სმარტის“ სუპერმარკეტები, თბილისის სხვადასხვა უბნებში, ბათუმში, ქუთაისსა და ფოთში გაიხსნება.

*ნინო ლურსმანაშვილი*




# საქართველოს საგარეო პოლიტიკის პოზიტიური კურსის პირველი ნიშნები

## ახალი მთავრობა შეინარჩუნებს კავშირებს დასავლეთთან, მაგრამ ამავე დროს განამტკიცებს კავშირებს მოსკოვთანაც

მაიკლ ჩეჩირე
ლაურა ლიბერმანი

globalpost

ვაშინგტონი – საეტაპო არჩევნების შემდეგ საქართველოში მთავრობას იმის შესაძლებლობა მიეცა, რომ ხელისუფლების პირველი, წარმატებული კონსტიტუციური გადაცემა შემდგომი განვითარებისთვის გამოიყენოს. ქვეყანას წინ უამრავი გამოწვევა ელის, ამიტომ შეერთებულ შტატებს შეუძლია და უნდა გამოიყენოს კიდეც თავისი სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსთან, რათა დაეხმაროს ქვეყნის ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, მისი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და დემოკრატიული პრაქტიკის განმტკიცებას და მხარი დაუჭიროს ინკლუზიური ეკონომიკის განვითარების სტრატეგიას.

1 ოქტომბერს მმართველი პარტია ნაციონალური მოძრაობა დაამარცხა ოპოზიციურმა კოალიცია ქართულმა ოცნებამ, რომელსაც სათავეში მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი უდგას. მას შემდეგ, რაც საქართველომ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, ეს ძალაუფლების კონსტიტუციური გადაცემის პირველი პრეცედენტია. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები არც იდეალური იყო და არც კარგი, ახლადგაერთიანებული ოპოზიციის მიერ ძლევამოსილი და ფესვგადგმული ნაციონალური მოძრაობის დამარცხება კონკურენტულ პოლიტიკურ ასპარეზობაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან საჯაროდ აღიარა მარცხი და ძალაუფლება გამარჯვებულს გადასცა, რაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ძირეულ გარდატეხას წარმოადგენს კავკასიის რეგიონისთვის.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მთავრობას რთული მემკვიდრეობა დაუტოვა. თავისი მმართველობის დროს მოდერნიზაციის რეფორმების სერია გაატარა, თუმცა რეფორმები ხანდახან სათანადო სამართლებრივ პროცედურებთან სრულ შესაბამისობაში არ მოდიოდა. იმ დროისთვის, როდესაც არჩევნები მოახლოვდა, ნაციონალური მოძრაობა სულ უფრო კარგავდა კავშირს რეალობასთან და სულ უფრო მეტად ამჟღავნებდა უხეში საჯარო დისკურსით გატაცების ტენდენციას. წინასაარჩევნო კამპანიაში ნაციონალური მოძრაობა ქართულ ოცნებას რუსეთის მარიონეტად წარმოაჩენდა, რასაც სასტიკად უარყოფდა ქართული ოცნება. შედეგად, ახალ მთავრობას სერიოზულად აკვირდებიან: მან უნდა დაამტკიცოს არა მხოლოდ ის, რომ შეუძლია, დაეყრდნოს ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის პირველ პრეცედენტს, არამედ ისიც, რომ ნამდვილად სანდო პარტნიორია დასავლეთისთვის. ჯერჯერობით, სიგნალები, რომლებიც თბილისიდან საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით მოდის, პოზიტიურია. თბილისი არა მარტო შეინარჩუნებს თავის ისედაც მნიშვნელოვან წვლილს ნატო-ს საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების სამხედრო ძალებში, არამედ ახალი მთავრობა გეგმავს თავისი 1500-იანი კონტინგენტის გაორმაგებას ჰელმანდის ურჩ პროვინციაში, იქ, სადაც ქართველი სამხედროები ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად იბრძვიან.

პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი პირველი უცხოური ვიზიტით ბრიუსელს ეწვია, მან დაადასტურა საქართველოს ერთგულება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი. მან გამოხატა სურვილი იმისა, რომ დაჩქარდეს საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობასა და ვიზების ლიბერალიზაციაზე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ივანიშვილმა მოსკოვთან ურთიერთობების გაუმჯობესების პირობა დადო. მართალია, რუსულ-ქართულ დაძაბულობაში ძირეულად ვერაფერი შეიცვლება, მაგრამ ორ ყოფილ მებრძოლ მხარეს შორის შესაძლებელია ურთიერთობათა ინტონაციის გამოსწორება მაინც. ის, რომ ახალი მთავრობა საგარეო პოლიტიკაში უფრო თავშეკავებულ მიდგომას ამჟღავნებს, ალბათ, რეზონანსს იქონიებს ევროპაშიც, რადგან ბევრ ევროპელ პოლიტიკოსს აშფოთებდა წინა მთავრობის კონფრონტაციული პოზიცია. ახალი მთავრობის გეგმასთან დაკავშირებით კიდევ ბევრი კითხვაა დარჩენილი, თუმცა ჯერჯერობით, ის ასრულებს თავის პირობას პროდასავლური ორიენტაციის შესახებ. როგორ და რამდენად ინტენსიური იქნება პროცესი, ბევრად არის დამოკიდებული აშშ-ს როლზე, იმაზე, თუ რამდენად დაეხმარება ის საქართველოს სანდო თავდაცვის სისტემის შექმნაში და რამდენად უხელმძღვანელებს საქართველოს ისეთ დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში, როგორიცაა ნატო. ამდენად, აშშ-ს დახმარება და კონტროლი იმაზე, თუ როგორ ვითარდება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, გახდება რეალური ტესტი აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობისთვის.

არჩევნებიდან ექვსი კვირა გავიდა, ახალმა მთავრობამ შინ და გარეთ მოქმედება იწყო და თბილისიდან ურთიერთგამომრიცხავი და დამაბნეველი სიგნალები მოდის, მაგრამ მეგობრის პოზიციიდან დასავლეთის უწყვეტმა ჩართულობამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ჭეშმარიტ სვლას დემოკრატიზაციისკენ. ახალმა მთავრობამ მანდატი, ძირითადად, იმისთვის მიიღო, რომ გა-



ნავითაროს ეკონომიკა და შეამციროს სიღარიბე, ამიტომ მისთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა აშშ-ს დახმარება სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესის შესაძლებლობათა განახლებაში. აშშ-მ ხელი უნდა შეუწყოს არა მხოლოდ ევროკავშირისა და საქართველოს მოლაპარაკებებს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ, არამედ ხელშეკრულება აშშ-საქართველოს შორის მოკლევადიან პერსპექტივაში უნდა განიხილოს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების განახლება ძალიან სასარგებლოა, ეს არ უნდა მოხდეს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების ხარჯზე. ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი – ახალმა მთავრობამ პრიორიტეტად უნდა გამოაცხადოს კანონის უზენაესობა და შექმნას პროგნოზირებადი სტრუქტურული გარემო, რათა წაახალისოს უცხოელი ინვესტორები. ახალ ქართულ მთავრობას ბევრი პრობლემა აქვს და აშშ-ს შეუძლია, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს, დაეხმაროს ისეთი დიდი პრობლემების გადაწყვეტაში, როგორებიცაა ეკონომიკური განვითარება, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაცია და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია. ამავე დროს, შეერთებულმა შტატებმა უნდა იმუშაოს ახალ მთავრობასთან თბილისში, რათა წაახალისოს კონსტრუქციული დამოკიდებულება წარსულის სავარაუდო დანაშაულებებისადმი.

*http://foreignpress.ge/*



## ყოფილი პატიმრები პოლიტიკური პატიმრების სტატუსის მინიჭებას ითხოვენ

ნორა კვიციანი, ჟურნალისტი ზაზა დავითაია, მაია თოფურია, ვახტანგ დარსია, ტარიელ კამკამიძე და სხვა რამდენიმე ადამიანი, ვინც ციხეში სასჯელი მოიხადა, პოლიტიკური პატიმრების სტატუსის მინიჭებას მოითხოვენ და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს, ასევე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიმართავენ. ამ მოთხოვნას უერთდებიან ასევე ყოფილი პატიმრები ირაკლი ბათიაშვილი და ცოტნე გამსახურდია.

აღნიშნული პატიმრები საპყრობილეებიდან მანამ გათავისუფლდნენ, სანამ პარლამენტი ამნისტიის კანონპროექტს მიიღებდა.

როგორც დავითაიამ, კვიციანმა, თოფურიამ და დარსიამ „პრაიმ ტაიმის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, პარლამენტის მიერ მსგავსი დადგენილების მიღება მისასალმებელია, თუმცა არიან ადამიანები, ვისაც ამ სტატუსის მინიჭება ეკუთვნის, მაგრამ არ აქვთ. მათი თქმით, ეს ხდება იმიტომ, რომ პარლამენტმა დადგენილებიდან ამოიღო მეოთხე მუხლი, რის შედეგადაც. წინა ხელისუფლების მიერ რეპრესირებული ის პირები, ვინც საპყრობილეებიდან აღნიშნული კანონის ამოქმედებამდე გათავისუფლდნენ, პოლიტპატიმრის სტატუსის გარეშე დარჩნენ. ყოფილი პატიმრები მათ მიმართ წაყენებული ბრალის მოხსნასაც ითხოვენ.

**„ჩვენ უსამართლოდ ვიყავით განსჯილნი, ეს იყო ერთი უსამართლობა ჩვენს მიმართ, მაგრამ უსამართლობა კვლავ გაგრძელდება, თუკი ის შემაფერხებელი გარემოებები, რომლებიც ნასამართლეობას ახლავს თან, კვლავ ჩვენი თანმხლები იქნება და ხელს შეგვიშლის",** — განაცხადა ზაზა დავითაიამ.

**„ჩვენ, ყოფილი პატიმრები, აღშფოთებას გამოვხატავთ მეოთხე მუხლის ამოღების გამო, იმედს ვიტოვებთ, რომ გამოიჩენთ გულისხმიერებას და მიიღებთ დადგენილებას ჩვენს მოთხოვნასთან დაკავშირებით",** — აღნიშნა კვიციანმა.

*„მედიანიუსი"*

მეოთხე



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

# „ახლა ოქრუაშვილს 11 წელი რომ „შეტენონ", სილის გაწვნაა ფრანგული სასამართლოსთვის!"

## გიორგი ფოფხაძის უპასუხო კითხვები ეკა ბესელიას კომისიას!

**ახალ ხელისუფლებაში „ნაჯახებივით" მოქმედებენ, საქართველომ ირაკლი ოქრუაშვილისთვის 11 წლის „შეტენვით" საფრანგეთს სილა გააწნა, უპასუხოდ რჩება კითხვები პოლიტდევნილთა სიაში შესულ გვარებთან დაკავშირებით და გაუგებარია, რატომ არაა ამ სიაში ვახო კომახიძე — ეს შეფასებები ტელეკომპანია „მაესტროს" კორესპონდენტს ბრიუსელში, რადიო „ფრანს-ინტერნაციონალის" ჟურნალისტს ევროსტრუქტურებში და ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარს, გიორგი ფოფხაძეს ეკუთვნის, რომელიც „ვერსიას" ამჯერად, გერმანიიდან ესაუბრება:**



— **„ოქროს მოწმე" წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ კვლავ ციხეში რჩება, იმის მიუხედავად, რომ ამბობდნენ, ახალ მთავრობასთან შეკრულია და 2 დღეში გამოუშვებენო. მის გარშემო უკვე დღეს მიმდინარე პროცესებს როგორ აფასებთ?**

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ირაკლი ოქრუაშვილმა საქართველოში დაბრუნებით სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა. ირაკლი თავისებური კაცია და ყოველთვის თვითონ წყვეტს, რა გააკეთოს, მაგრამ მისთვის 5 წლით ემიგრაციაში ყოფნა ძალიან ძნელი იყო. აი, ხომ აქ იყო 5 წელი, მაგრამ ქართული ცხოვრებით ცხოვრობდა და როცა ამის შესაძლებლობა ნახა, მაშინ დაბრუნდა. ვიღაცების გარანტიები ნამდვილად არ ჰქონია, ტყუილია ეგ ამბავი! რაც შეეხება იმ ჭორებს, ჩამოვიდა ირაკლი და მიშა სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილზე რაღაცებს მოყვებაო, ეგეც ტყუილია — რაც უკვე ნათქვამია ინტერვიუებსა და სატელევიზიო ეთერში, ამაზე მეტს ვეღარაფერს იტყვის. დანარჩენი პროკურატურამ და გამოძიებამ უნდა დააზუსტოს!

— **სხვათა შორის, მისი დაბრუნების მოტივებს რაც შეეხება, იმასაც ამბობენ, ცრუ პათეტიკას შეეშვას, სინამდვილეში, კარგად გამოთვრა, დაკრა ფეხი და წამოვიდაო.**

— რა სისულელეა! მე გამოვაცილე ირაკლი ოქრუაშვილი ბოლომდე და ეს მტკნარი სიცრუეა. „მაგრად გამოთვრაო", ძალიან აღმაშფოთებელია — კაცი ამხელა გზაზე წამოვიდა და როგორ გამოთვრებოდა და გამოპრუტუნდებოდა! ოღონდ მიშა არ ყოფილიყო და ეს კაცი თანახმა იყო, წამოსულიყო. მისი გასამართლებაც სასამართლოს გადასაწყვეტია, მაგრამ, როგორც ჩანს, ირაკლი ოქრუაშვილის ასე ადვილად გამომშვები არავინაა! ნახეთ, რა ხდებოდა მის სასამართლო პროცესზე — ლალი აფციაური დარბაზიდან გამოაძევეს, მოწმეებმაც რაღაც საოცარი ჩვენებები მისცეს, ადვოკატის მიერ გაწვდილ ფურცელს კაცმა დახედა და დაადასტურა, კი, ჩემი ჩვენებააო და მერე აღმოჩნდა, რომ მისი ჩვენება არ ყოფილა. მოკლედ — სასამართლო არ იცვლება! არც ოქრუაშვილი — ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიტყვი, ირაკლი ის კაცი არაა, მე დამიჯეროს. მე კი ის კაცი არ ვარ, ოქრუაშვილს აზრი შევაცვლევინო.

— **აბა, ვის უჯერებს?**

— ოქრუაშვილს ძალიან კარგი გონება აქვს საიმისოდ, თვითონ გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს. შეიძლება, არასწორ ნაბიჯებსაც დგამდეს, მაგრამ ყველაფერს თვითონ წყვეტს. თუმცა ისე მარტივადაც არაა საქმე, როგორც ბევრს წარმოუდგენია — მისი 11-წლიანი სასჯელი ასე ვერ დარჩება. საფრანგეთში რომ ჩატარდა ირაკლის სასამართლო პროცესი, მათ ამ 11-წლიან განაჩენს ანულირება გაუკეთეს, რადგან წარმოდგენილი ფაქტები ოქრუაშვილის დანაშაულის დასამტკიცებლად არასაკმარისი იყო. ამ კაცმა პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. თავად ეკა ბესელია ესწრებოდა იმ სასამართლოებს და ეს ყველაფერი მშვენივრად იცის! ის ფაქტი, რომ ახლა ოქრუაშვილს 11 წელი „შეტენონ", სილის გაწვნაა ფრანგული სასამართლოსთვის! საფრანგეთის სასამართლო კი სილას ასე იოლად არავის გააწვნევინებს, რა! მე მაინც მჯერა, რომ ოქრუაშვილი ამ სიტუაციიდან გამოვა, მით უმეტეს, სოზარი მისი პარტიის მდივანი იყო იმ „ზილების რევოლუციის" დროს და შესანიშნავად იცის, რომ ეს საქმე „შეთითხნილია". სხვა ამბავია, თუ ვიღაცას უნდა, ეს საქმე უკუღმა შემოატრიალოს.

— **ჰო, მაგრამ ახალ მთავრობაში ეკა ბესელია და სოზარ სუბარი არიან და ვინ „ვიღაცებზე" საუბრობთ? თავად არ ამოიღო ბესელიამ ოქრუაშვილი პოლიდტევნილების სიიდან?**

— მე ეს ძალიან გამიკვირდა და მინდა ვთქვა, ესეც სილის გარტყმაა ფრანგული მხარისთვის. ნებისმიერ ადამიანზე გაცემული პოლიტიკური თავშესაფარი ავტომატურადაა ცნობილი გაერო-ს ლტოლვილთა კომიტეტის მიერ — ამ გადაწყვეტილებით, ისევ პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიხარ გაერო-სთან და ეუბნები, ეს კაცი საფრანგეთმა დევნილად არასწორად ცნოო. გარდა ამისა, ადამიანს პოლიტიკური დევნილის სტატუსი არ უწყდება — ერთადერთი, ვინც მას თავშესაფარს აძლევს, აფრთხილებს, სხვა ქვეყანაში თუ შეხვალ, შეიძლება, ვერ დაგიცვაო, თორემ სხვა ქვეყანაში ჩასვლით დევნილის სტატუსი ავტომატურად არავის უჩერდება! ეს არის აბსოლუტური ტყუილი!

— **ზოგადად, პოლიტდევნილებისა და პოლიტპატიმრების სიაზე რა აზრის ხართ, რომლის დამტკიცებამ პარლამენტში ამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია?**

— ამ სიაზე ბევრი კითხვა მიჩნდება —

**რატომ არაა პოლიტდევნილების სიაში ვახტანგ კომახიძე?! ნორა კვიციანი, ვახტანგ ტალახაძე რატომ ვერ გახდნენ პოლიტიკური დევნილები? მამუკა ნიკოლეიშვილი, კაცი, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული, რატომ არ შევიდა ამ სიაში? მართლა და მართლა, კინაღამ „კოჭოიას" მიანიჭეს ეს სტატუსი, ქარქუსოვები ისევ იმ სიაში არიან და ვიღაცამ არ უნდა ამიხსნას ეს ყველაფერი?!**

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, თუ ვინმეს მისცა შვეიცარიამ პოლიტიკური თავშესაფარი, ეს პირველი ვახო კომახიძე იყო, მერე რუსუდან შარაძეს და ძმები ბეგიაშვილები და საერთოდ, შვეიცარია ძალიან ძნელად იძლევა პოლიტიკურ თავშესაფარს. მიშას მთავრობა რომ იყოს, ყველაფერი გასაგები იქნებოდა, ახლა კი, არც ვიცი, რა ვიფიქრო.

**არ მინდა, ვინმეს რამე დავაბრალო, მით უმეტეს, როცა ამ ადამიანებთან ერთად წლები ვიბრძოდი, მაგრამ მიჩნდება კითხვა — რატომ არ გამოუშვეს მერაბ რატიშვილი ციხიდან?! ელემენტარულად, მისი გამოშვება არის ჩემი პრესტიჟი — თავს არ ვიქებ, მაგრამ მე, გიორგი ფოფხაძემ ნიკოლა სარკოზის ვთხოვე, მის დოსიეს გადახედე-მეთქი.**

ეს იმიტომ გავაკეთე, რომ დაპატიმრებულებისთვის რაღაც შეღავათები ყოფილიყო.

— **ნებისმიერ შემთხვევაში, ევროპის გულში ტრიალებთ — საფრანგეთში ცხოვრობთ, ახლა გერმანიაში ხართ და თქვენ უფრო გეცოდინებათ — გავაოცეთ ევროპა ქართული დემოკრატიით?**

— დემოკრატიით ნამდვილად არავინ გაგვიოცებია. ახლა ძალიან რთულ პერიოდს გავდივართ, რომელიც ევროპამ 60-იანი წლების დასაწყისში გაიარა, მაგრამ მაინც ოპტიმისტად მინდა დავრჩე და გეტყვით, რომ დიდი პოზიტივია პარლამენტში რამდენიმე ძალის შესვლა. რაც უნდა ვლანძღოთ „ნაციონალური მოძრაობა", ის ნამდვილად დიდი შემაკავებელი ფაქტორია. ეტყობა, ქართველებს ეს ბელადომანია გვჭირს და ყველა ლიდერისგან ბელადს ვქმნით. ძალიან ცუდი წარმოდგენა მაქვს აკო მინაშვილსა და ნუგზარ წიკლაურზე, მაგრამ ეს ხალხი რომ მუშაობს და არ ნებდება, სწორედ ესაა კარგი!

— **ანუ, „ნაციონალური მოძრაობა" ივანიშვილის „გაბელადებას" უშლის ხელს?**

— ამას ხელს ორი ფაქტორი უშლის — „ნაციონალური მოძრაობა" და არასამთავრობო ორგანიზაციები.

**ეტყობა, ეს სენი გვჭირს: ზვიად გამსახურდია რომ მოვიდა, ვუგალობდით, მიშა რომ მოვიდა, ვიღაც ტიპებმა საერთოდ, მესიად და მხსნელად გამოიყვანეს, ახლა ბიძინას უგალობენ — ეს რა საშინელებაა! ისევ ჟურნალისტებისა და საზოგადოების ბრალია ყველაფერი — ჩაიგდებენ ხოლმე ენას პირში და ხმას არ იღებენ!**

— **ამოიღეთ მერე ხმა და თქვით, რა არ მოგწონთ!**

— რატომღაც, ძალიან ცუდ ტონად ითვლება საქართველოში მთავრობის კრიტიკა. აბა, რა ვქნათ, როდემდე ვაცალოთ? კაი, ბატონო, ვაცალოთ 100 დღე, მაგრამ პირველივე კანონი პრეზერვატივების აკრძალვაზე რომ მიიღეს, მეტი არაფერი უჭირს სახელმწიფოს, პრეზერვატივები რომ არ აკრძალო, კაცო?! ხალხი შიმშილით იხოცება საქართველოში და ამ დროს რაღაც სისულელეებს ვაკეთებთ, უკვე სასაცილო გახდა ეს ყველაფერი! როდემდე უნდა ვისმინოთ, ეს ხდებოდა, ის ხდებოდა და ახლა სიტუაციის გამოსწორება მიმდინარეობსო — ლადო ბედუკაძემ რა კადრებიც გვანახა, ამის მერე კიდევ რამე უნდა გაგვიკვირდეს საქართველოში?

— **გეტყვით, ბევრს რა გაუკვირდა — საქართველოს პოზიცია ისრაელის კონფლიქტთან მიმართებაში. თქვენ ამ საკითხს კარგად იცნობთ და გააკეთეთ შეფასება!**

— არ მინდა, ისე გამოვიდეს, რომ ჩემი აზრი „ნაციონალებისას" დაემთხვეს, მაგრამ, პრინციპში, რატომ არ უნდა დაემთხვეს, როცა სიმართლეა?! ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი დანის პირზე გასავლელი გზაა. თავს არ ვიქებ, მაგრამ 2 საკითხია, რაც არავინ იცის ჩემზე უკეთ საქართველოში: ევროკავშირი, სადაც 15 წელია ვმუშაობ და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, რაზეც 2 წელი ვიმუშავე. ჩემი აზრით, ასე აშკარად და ხელაღებით პალესტინის მხარდაჭერა არ შეიძლებოდა. რაში გვაწყობდა, ეს ვერ გავიგე.

— **სამაგიეროდ, ცხადია ის, რაში არ გვაწყობდა!**

— რა თქმა უნდა, ცხადია — აბა, ხვალ და ზეგ გაერო-ს წევრმა რომელიმე მძიმეწონოსანმა ქვეყანამ აფხაზეთი ან სამხრეთ ოსეთი აღიაროს და ჩვენ ხმა ამოვიღოთ — აი, ამ ხმის მიცემას აგვიფრიალებენ ცხვირწინ! სხვათა შორის, არც ის ვიცოდი, რომ 1993 წელს პალესტინა, როგორც ქვეყანა, გვიცნია, ესეც სიურპრიზი იყო ჩემთვის. ერთი სისულელე უკვე გაკეთებული გვქონია, რის შედეგებსაც ახლა ვიმკით... ძალიან ცუდი სიტყვაა კოჰაბიტაცია, მაგრამ თუ თანაცხოვრებაა, იყოს თანაცხოვრება — ჯიბრში არ უნდა ჩაუდგნენ ერთმანეთს! თუ ვინმეა დასასჯელი, უნდა დაისაჯოს, მაგრამ არა — სახელმწიფოს ჩავარდნის ხარჯზე! ახალი მთავრობა განსაკუთრებით პიარში მოიკოჭლებს, „ტაპორებივით" მუშაობენ — მიშამ ყველაფრის შეფუთვა კარგად იცოდა, ესენი კი მართლა ნაჯახებივით არიან!



# „ვიზრუნებ, მივმართო სტრასბურგს, გასაჩივრების მუხლის არარსებობასთან დაკავშირებით და აღვადგინო ჩემი დარღვეული უფლებები!“

## რას აპირებს ოქრუაშვილის სასამართლო პროცესიდან გაძევებული ლალი აფციაური

ნელი თორდია

**ირაკლი ოქრუაშვილისა და 7 პირის სასამართლო პროცესზე სკანდალი სხდომათა დარბაზიდან ადვოკატი ლალი აფციაურის გაძევებით დაიწყო და დამსწრე საზოგადოების უკან მიყოლებით დამთავრდა. ხათუნა ხარჩილავამ პირველი გადაწყვეტილება ადვოკატსა და პროკურორ ჯაბა გურგენიძეს შორის სიტყვიერი შელაპარაკების შემდეგ მიიღო, ხოლო მეორე, მას შემდეგ, რაც დაცვის მხარის მიერ ბრალდებული მოწმის დაკითხვის დასასრულს, დამსწრე საზოგადოებამ ტაში დაუკრა. სკანდალური პროცესის დეტალებზე „ვერსიას“ ადვოკატი ლალი აფციაური ესაუბრება:**

— ბუნებრივია, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ იმ უკანონობას, რასაც მოსამართლეები და პროკურორები ადეიშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში ჩადიოდნენ, ვეღარ გაბედავდნენ, თუმცა, როგორი გასაოცარიც უნდა იყოს, უკან დახევის ნაცვლად, შეტევაზე გადმოვიდნენ. როგორც იცით, სხდომათა დარბაზიდან ჩემი გაძევების შემდეგ მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ მთელი დარბაზი გააძევა და სასამართლო პროცესი დახურა. როგორც წინა პროცესებზე, ამჯერადაც, თვალშისაცემი იყო მოსამართლის მიკერძოებულობა და არაობიექტურობა, რის გამოც, ვითხოვდი მის აცილებას. რა თქმა უნდა, ის საკუთარ თავს აცილებას არ მისცემდა და უარი გვითხრა, ამიტომ პროცესის მიმდინარეობას ეჭვის თვალით ვუყურებდი ისევე, როგორც იმ პროკურორების მონაწილეობას, რომლებმაც ეს საქმე წლების წინ შეთითხნეს და მოახდინეს მისი ფალსიფიკაცია. ორივე პროკურორი და განსაკუთრებით, ჯაბა გურგენიძე ცდილობდა, ხელი შეეშალა დაცვის მხარისთვის მოწმეების დაკითხვის პროცესში.

**— ხელისშეშლა რაში გამოიხატებოდა?**

— ხომ არ შეიძლება, ყოველ 5 წუთში ერთხელ იძახო, პროტესტი მაქვს, პროტესტი მაქვსო? ეს იყო მოწმისთვის მოსაფიქრებელი დროის მიცემა და გამიზნული ქმედება იმ პასუხების ჩასაგდებად, რასაც ჩვენ მოვითხოვდით მოწმისგან. რაც შეეხება ინციდენტს, როცა პროკურორი ადვოკატს 100 და 150 ადამიანის თანდასწრებით უმეორებს, რომ უნდა წაიკითხოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ეს ნიშნავს, რომ უვიცსა და რეგვენს უწოდებს. პროკურორების მხრიდან ადვოკატების შეურაცხყოფას მოჰყვა უკვე მოსამართლის შეურაცხყოფა, როცა ზვიად კორძაძეს მიუთითა, საცირკო სანახაობას ნუ აწყობო. მოსამართლისთვის საცირკო სანახაობა აღმოჩნდა ექსპერიმენტი, თუ რამდენად შეძლებდა 40-50 მეტრის დაშორებით მდებარე მოწმე გადაბმული წარბებისა თუ კეხიანი ცხვირის დანახვას. ჩემთან დამოკიდებულებაში კი ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბეს, როცა პროკურორმა ჩემი ერთ-ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა გააპროტესტა და გადატენილი დარბაზის პირობებში მიმითითა, რომ მე ხშირ-ხშირად უნდა წავიკითხო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ამის შემდეგ მოსამართლეს ვუთხარი, მოეწოდებინა პროკურორისთვის, შეეწყვიტა არაეთიკური ქმედებები და მალევე გამოცხადდა შესვენება. თავს ვგრძნობდი უკიდურესად შეურაცხყოფილად, რადგან მათსავით საქმეების თითხვნა რომ არ ვიცი და კრიმინალი არ ჩამიდენია, არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის პროცესი არ მესმის.

**— პროკურორების კრიმინალურ ქმედებებში რას გულისხმობთ?**

— ეს ადამიანები, შეთითხნილი საქმის მეშვეობით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ პირს და ამას სისხლის სამართლის კოდექსისა და საქართველოს სახელით აკეთებენ. იცით, რა დევს ოქრუაშვილის საქმეში? თითქოს, 21 მაისს მიიღეს ინფორმაცია, შეიარაღებული პირების მხრიდან, საქართველოს საზღვრის გადაკვეთისა და დესტაბილიზაციის მოწყობის დაგეგმვის შესახებ. 21-დან 25 მაისამდე სახლს, სადაც თითქოსდა, იმალებოდნენ ოქრუაშვილის მეგობრები, დარაჯობს კონტრდაზვერვის სამი თანამშრომელი. ამ ადამიანებმა 25 მაისის დილას დაინახეს, როგორ გამოვიდნენ სახლიდან, გამოიტანეს რაღაც ხელჩანთები, გაურკვეველი ყუთები და მიაყარეს მიწა. ვკითხე კიდეც, „ვენოკი“ თუ დაადეს-თქო და ამის შემდეგ, 20 ივნისამდე, ანუ მიწათხრილიდან იარაღის ამოღებამდე წყდება ყველა საგამოძიებო მოქმედება. იქნებ, იმ ყუთებში ოქროს ზოდები იყო? ამ ერთი თვის განმავლობაში, ვინ რა ამოთხარა და ვინ რა დამარხა, არ უნდა დაინტერესებულიყვნენ, ეს ლოგიკურია? მხოლოდ ეს მომენტიც საკმარისია, ეჭვი შეიტანო პროკურორების ქმედებაში, რომლებმაც გამოძიების შემდეგ, საბრალდებო დასკვნით წარმართეს საქმე სასამართლოში და ასეთი მომენტი უამრავია.

**— მოსამართლეს აშკარად არ მოეწონა საპროცესო კოდექსის პროკურორის თავზე გადახევის სურვილი...**

— შესვენებიდან დაბრუნების შემდეგ მოსამართლეს ვუთხარი, ვიდრე გავაგრძელებთ მოწმის დაკითხვას, განცხადება მაქვს გასაკეთებელი და გთხოვთ, შეიტანოთ სხდომის ოქმში-თქო. მე სრულიად შეგნებულად გავაკეთე ეს განცხადება, რადგან მაინტერესებდა, რას მოიმოქმედებდა მოსამართლე და იყო თუ არა, სუბიექტური. პროკურორმა სრულიად შეგნებულად მომაყენა შეურაცხყოფა და ახლა მე ვაპირებდი... ავდექი და მოსამართლეს ვუთხარი, გთხოვთ, მოუწოდოთ პროკურორს თავი შეიკავოს არაეთიკური გამოხტომებისგან, რომელიც უკვე არაერთხელ დაფიქსირდა სასამართლოს სხდომაზე, თორემ იმ წიგნს, რომლის წაკითხვისკენაც მიმითითებს, თავზე დავახევ-თქო. სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, რომ მოსამართლემ ჩემი დარბაზიდან გაძევების გადაწყვეტილება მიიღო და შეპასუხებაზე 500-ლარიანი ჯარიმითაც „დამაჯილდოვა“.

საქმე ის გახლავთ, რომ სააკაშვილსა და ადეიშვილს ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სერიოზული ინტერესი აქვთ და ბოლომა ვერ მოუნელებიათ. სწორედ ამიტომ, მათი დაკვეთების შემსრულებელმა მოსამართლე ხარჩილავამ და ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, პროკურორების მხრიდან ადვოკატების მისამართით არაერთგზის ეთიკური ნორმების დარღვევა „ჩაყლაპა“ და მე დამაჯარიმა.

**— მიუხედავად ყველაფრისა, ალბათ, ჯარიმის გადახდა მაინც მოგიწევთ.**

— მე, პირველ რიგში, ბრალდებულების ინტერესების დამცველი ვარ და ამიტომ, შუამდგომლობით სასამართლოს მივმართავ პროცესზე დაბრუნების თაობაზე, თუმცა, კიდევაც რომ დამაბრუნონ, კბილაშვილთან მაინც შევიტან საჩივარს ჯაბა გურგენიძესა და ელიზბარ გოზალიშვილზე, ასევე, მოსამართლეზე იუსტიციის საბჭოში. მართალია, იქ ისევ კუბლაშვილების კლანია, მაგრამ ხვალ და ზეგ რა იქნება, ეს სხვა თემაა.

### იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ლაშა მაქაცარია დაიკითხა



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ლაშა მაქაცარია დაკითხეს. დაკითხვიდან გამოსულმა მაქაცარიამ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის თბილისში რიყის ტერიტორიის გასხვისების საკითხთან დაკავშირებით დაკითხეს.

**„გიდასტურებთ, რომ ეს შეეხება რიყის ტერიტორიის გასხვისებასთან დაკავშირებულ საკითხებს. უფრო მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. დანარჩენს გამოძიება დაადგენს“,** — განაცხადა მაქაცარიამ.

შეგახსენებთ, რომ ლაშა მაქაცარია 2006 წელს, თბილისის მერიის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის წევრი იყო.

გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ რიყის ტერიტორიის დიდი ნაწილი, ფართით 43350 მ.კვ. 2006 წლის 6 ივნისს თბილისის მერიის მიერ პირობადადებული ხელშეკრულებით, 7 000 000 აშშ დოლარად გასხვისდა ერთ-ერთ შპს-ზე. აღნიშნულ საწარმოს საფასურის გადახდის გარდა, ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, საკუთარი ხარჯებით განეხორციელებინა ავტომაგისტრალის გადატანა, საფეხმავლო ხიდის აგება და რიყის ტერიტორიის სარეკრეაციო ზონის განაშენიანება. 2008 წლის 30 დეკემბერს, ისე, რომ აღნიშნულ შპს-ს არ ჰქონდა დაწყებული სამშენებლო სამუშაოების შესრულება, ზემოთ ხსენებული მიწის ფართები თბილისის მერიის მიერ გამოსყიდულ იქნა 17 000 000 აშშ დოლარად.

გამოძიების თანახმად, ამოღებულია შესაბამისი დოკუმენტები სხვადასხვა უწყებიდან. მოწმის სახით დაკითხულები არიან თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის იმჟამინდელი წევრები. მერიის სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლები, რომლებსაც შეხება ჰქონდათ ხსენებულ საკითხთან.

***„მედიანიუსი“***



# ადა მარშანია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს და 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების გაუქმებას ითხოვს

თამარ მელქაძე

**19 დეკემბერს „წინააღმდეგობის მოძრაობა“ ახალ პოლიტიკურ პარტიად — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსად“ გარდაიქმნება, რომლის ლიდერიც დავით თარხან-მოურავი იქნება. მანამდე კი, მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ადა მარშანია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას მოითხოვს და მომავალი პარტიის გეგმებზეც გვესაუბრება:**

— ეს არ იქნება შოვინისტური პარტია. არავითარი პროამერიკელობა და პრორუსულობა. ეს იქნება პროქართული ძალა. შესანიშნავად გვესმის, რომ საჭიროა ზესახელმწიფოებთან თანამშრომლობა, მაგრამ მხოლოდ იმ დოზით, რა დოზითაც ეს არ ავნებს ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. გვინდა, ვაკეთოთ ჩვენი სამშობლოს საქმე. პირველ რიგში, ყველა პოლიტიკური პარტია იქმნება იმისთვის, რომ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, იბრძოლოს გამარჯვებისთვის და მოვიდეს ხელისუფლებაში. მთავარია, მას მოსახლეობის ნდობა გააჩნდეს, ჰქონდეს რეალობის მკაფიო ხედვა. ესმოდეს, როგორ უნდა მოუტანოს სიკეთე საკუთარ ხალხსა და სახელმწიფოს, გააცნოს მოსახლეობას თავისი მიზნები. მესმის, რომ ახალ ხელისუფლებას მრავალი პრობლემა დახვდა, მაგრამ არის საკითხები, რომლის გადადებაც არ შეიძლება. ერთ-ერთი ასეთია ამომრჩეველთა სიების მოწესრიგება. ერთხელ და სამუდამოდ, უნდა მოხდეს სიის დაზუსტება. აუცილებლად მოვითხოვთ, რიგგარეშე ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. 1 ოქტომბრის არჩევნები იყო ბრძოლა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ — ყველა მიშას წინააღმდეგ. ამ ეპოქალური ცვლილების შემდეგ, აუცილებელია ხელახალი არჩევნების ჩატარება. დასამალი არ არის, რომ მოსახლეობა მხარს უჭერდა, კონკრეტულად,



ბიძინა ივანიშვილს, მის გარემოცვასთან კი პრეტენზიები ჰქონდა. ამიტომაც, თუ გვინდა, ჭეშმარიტად დემოკრატიული, ნდობით აღსავსე პარლამენტი მივიღოთ, უნდა ჩატარდეს შემოდგომაზე ხელახალი არჩევნები. ჩვენ ყრილობაზევე დავაყენებთ ამ საკითხს და ვაპირებთ, ამ წინადადებით მივმართოთ საქართველოს პარლამენტს.

**— სურვილი ერთია, შესაძლებლობა — მეორე. როგორ ფიქრობთ, შედეგს მიაღწევთ?**

— ეს უკვე ჩვენს აქტიურობაზეა დამოკიდებული. მოსახლეობას უნდა ავუხსნათ ამ საკითხის აუცილებლობა. მოქმედი კონსტიტუცია სრულიად უკანონოა. 2004 წლის 6 თებერვალს, ყველანაირი პროცედურის დარღვევით, უკანონოდ მოხდა მისი შეცვლა, რის შემდეგაც მივიღეთ კონსტიტუციური გადატრიალება. უკვე გავუგზავნეთ პარლამენტს მოთხოვნა, მოხდეს 2004 წელს შეტანილი უკანონო ცვლილებების გაუქმება. თუ პარლამენტი ამას გააკეთებს, სააკაშვილს პრეზიდენტობის ვადა ეწურება 2013 წლის 5 იანვარს და არა — ოქტომბერში. მან თვითნებურად, კონსტიტუციის დარღვევით გაიგრძელა საპრეზიდენტო ვადა.

იმედი მაქვს, ჩვენ მოსახლეობა მეტ-ნაკლებად გვიცნობს წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიურობიდან გამომდინარე და იმედი მაქვს, მხარს დაგვიჭერს.

**— თქვენ რამდენიმე მოწვევის პარლამენტის წევრი ბრძანდებით, თავადაც აფხაზეთიდან დევნილი, მათი უფლებების დამცველი იყავით წლების განმავლობაში. რა სტრატეგია აქვს თქვენს პარტიას ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხში?**

— ჩვენთვის პრიორიტეტული იქნება ოკუპირებული ტერიტორიების მიმართულებით მუშაობა, თუმცა ძალიან რთული მდგომარეობაა ამ საკითხთან მიმართებაში, განსაკუთრებით, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ. საჭიროა თანამშრომლობა ყველასთან. ეს ისეთი საკითხია, არ შეიძლება ამაზე ვიწრო თანამშრომლობა, ან რაღაც პრიორიტეტებზე საუბარი. ლამის მთელმა მსოფლიომ მოგვიწოდა, მოვაწესრიგოთ ურთიერთობა რუსეთთან. მართალია, ძალიან გართულებულია საქმე, მაგრამ უმთავრესია, გავიგოთ, რაში მდგომარეობს რუსეთის ფუნდამენტური პრიორიტეტი და ინტერესი. ეს ჯერ ვერ გაარკვია საქართველომ, ვერ ჩამოაყალიბა თანმიმდევრული, სისტემატური პოლიტიკის გატარება რუსეთის მიმართ. ამისთვის ბევრი სუბიექტური მიზეზი არსებობდა, ჩვენი პოლიტიკური სპექტრის შინაარსიდან გამომდინარე. სამუშაო მძიმეა და ხანგრძლივი. მთავარია, გავარკვიოთ რუსეთის ინტერესები კონკრეტულად, საქართველოს მიმართ. ჩვენ, იცით, როდის დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს? — როცა სახელმწიფო იმაზე ფიქრით გაიღვიძებს, დღეს რა ხდება იქით, რას ვაკეთებთ, რომ მივუახლოვდეთ სანუკვარ ტერიტორიებს.

**— უკვე გამოთქვა რუსულმა მხარემ ახალ ხელისუფლებასთან დიალოგისთვის მზადყოფნა.**

— რუსეთის სახელმწიფო იქცევა, როგორც სახელმწიფო, ჩვენ ცოტა მოვიკოჭლებთ. კარგი იქნებოდა, აბაშიძეს ლავროვთან გაემართა შეხვედრა.

# რუსეთს ისევ „ნავთობდოლარები“ ეიმედება — ველოდოთ აგრესიას



ზურაბ გამრეკელი

**ა/წლის 29 ნოემბერს, რფ-ს საბჭომ 2013 წლისა და 2014-2015 წლების ფედერალური ბიუჯეტი დაამტკიცა, რომელიც რფ-ს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2020 წლამდე რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმისა და ა/წლის 7 მაისს გამოცემული რფ-ს პრეზიდენტ პუტინის ე.წ. თორმეტი დეკრეტის რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავდა.**

თავის საბიუჯეტო „შემოქმედებაში“ რუსეთის ფინანსთა სამინისტრო შეეცადა, დაერეგულირებინა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ურთიერთგამომრიცხავი რეკომენდაციები ეკონომიკურ განვითარებაზე:

– ერთი მხრივ, ეკონომიკის პრო-სოციალურ მოდელზე (როგორც ხელფასებისა და სოციალური ხარჯების ზრდის თაობაზე მის წინასაარჩევნო განცხადებებში იყო ასახული);

– მეორე მხრივ, კონკურენციისა და სტიმულირების ხელშეწყობაზე.

სოციალურმა საკითხებმა და იმავდროულად, თავდაცვის სექტორის მოდერნიზებამ, პუტინის მხრივ, რუსეთის ბიუჯეტის დეფიციტის მინიმიზაციის მოთხოვნის პირობებში, გააძნელა საჭირო სახსრების მოძიება ერთდროულად ორივე საბიუჯეტო ამოცანის შესასრულებლად. შედეგად, რუსეთის მომავალი სამი წლის ბიუჯეტი თავისი ბუნებით უფრო სტაგნაციურია, ვიდრე უმნიშვნელო შემოსავლებით გრანდიოზული ხარჯების დასაფარად მობილიზებული ქვეყნის საფინანსო გეგმა.

## ზედმეტად ოპტიმისტური მაკროეკონომიკური ინდიკატორები

რუსეთის ბიუჯეტის მომავალი, 2013 წლის მაკროეკონომიკური ინდიკატორები (მშპ-ს 3.7%-იანი ზრდა და მისი 0.8%-იანი დეფიციტი) ზედმეტად ოპტიმისტურ შთაბეჭდილებას ტოვებს იმ პირობებში, როდესაც, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ეკონომიკის სტაგნაცია. ქვეყანაში შემცირდა წარმოების ზრდა და შიდამოთხოვნა როგორც ინვესტიციების, ისე მოხმარების თვალსაზრისით, რამაც ინფლაციის მატება და იმპორტის ზრდა გამოიწვია.

გრძელდება რუსეთიდან კაპიტალის გადინება: რფ-ს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, წლის ბოლოსთვის მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის 67 მლრდ დოლარამდე ზრდა. ქვეყნის საგარეო ვალმა 597.6 მლრდ დოლარს მიაღწია, რაც რუსეთის ოქრო-სავალუტო რეზერვებს 67.8 მლრდ დოლარით სჭარბობს. ასევე, მეტად ოპტიმისტურად ჩანს 2013 წელს ინფლაციის დონის 5.5%-ის ფარგლებში შენარჩუნების ამოცანა, იმ პირობებში, როცა იმავე ბიუჯეტით დაგეგმილია, მაგალითად, ელექტროენერგიის ტარიფების 9.1-10.6%-ით ზრდა (შედარებისთვის, ასეთმა ზრდამ 2012 წელს სულ 3% შეადგინა). ასევე, 10.5-12.2%-ის ფარგლებში გაიზრდება გათბობისა და მუნიციპალურ-საბინაო — კომუნალური ხარჯები. მოიმატებს ასევე მგზავრობისა (10%-ით) და ტვირთზიდვის (7%-ით) ტარიფები.

## შემოსავალი: ნედლეულზე დამოკიდებულების მხარდაჭერა

რუსეთის წარმოდგენილი ბიუჯეტით, 2013 წელს, რფ-ს მშპ-ში საბიუჯეტო შემოსავლების ხვედრითი წილი შემცირდება ახლანდელი 20.7%-დან, 19.3%-მდე. ბიუჯეტის ფაქტობრივი შემოსავლები მხოლოდ 1.4%-ით მოიმატებს, რაც 429 მლნ დოლარის ტოლფასია. მიუხედავად რფ-ს მმართველი ელიტის გახშირებული განცხადებებისა იმის შესახებ, რომ თითქოსდა, მიმდინარეობს ეკონომიკის სტრუქტურის დივერსიფიკაცია, 2013 წლის საბიუჯეტო შემოსავლებში ნავთობისა და გაზის სექტორი კვლავ ყველაზე დიდი ხვედრითი წილით იქნება წარმოდგენილი (შემოსავლების 46%, ანუ 197 მლრდ დოლარი). მსოფლიო ნავთობის ფასების რყევის ნეგატიური ზეგავლენისგან თავის დასაცავად, ნედლი ნავთობის საბაზისო ფასად მიჩნეულია ბარელზე 91 დოლარი (საპროგნოზო ფასი 97 დოლარია). 2013 წელს ენერგეტიკული სექტორის შემოსავლების მეორე სავარაუდო საფრთხე შესაძლოა იყოს, ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე კონიუნქტურის ცვლილების გამო, ბუნებრივი აირის ფასის დაცემა (ნედლეულის ჭარბმომარაგება და მზარდი კონკურენცია გაზმომარაგების ახალი წყაროების, მაგალითად, ყატარის თხევადი აირის ან „ფიქლების გაზის“ იმპორტით). ეს ნეგატიურ ზემოქმედებას იქონიებს ევროპაში „გაზპრომის“ მონოპოლიურ მდგომარეობაზე.

**რუსეთის ახალი ბიუჯეტი კვლავ ნახშირწყალბადების ექსპორტიდან მისაღებ შემოსავლებზეა ორიენტირებული, რაც მოდერნიზაციას არანაირ შანსს აღარ უტოვებს**

ზემოაღნიშნულის გარდა, რუსულ გაზზე მოთხოვნა შეამცირა ევროკავშირში არსებულმა სტაგნაციამ და ევროკავშირის შიდა ბაზრის ლიბერალიზაციის (ე.წ. ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტი) ღონისძიებებმა. რუსეთში ამჟამად არსებული ეკონომიკური სიტუაცია არ იძლევა, ნახშირწყალბადებიდან საბიუჯეტო შემოსავლების წილის შემცირების, მათი სხვა წყაროებით (როგორებიცაა, დღგ, საიმპორტო შემოსავლები, აქციზი ან საშემოსავლო გადასახადები) კომპენსაციის საშუალებას.

## პრიორიტეტები: სოციალური და თავდაცვის ხარჯები, შიდა უსაფრთხოება

ახალი ბიუჯეტით, 2013 წელს გათვალისწინებულია საბიუჯეტის ხარჯების 4.5%–ით გაზრდა, რაც აბსოლუტური გამოხატულებით 446 მლრდ დოლარია. მომავალი წლის ხარჯების თითქმის 30% სოციალური პრობლემების გადაჭრას უკავშირდება (132 მლრდ დოლარი, რაც ოდნავ სჭარბობს 2012 წლის მაჩვენებელს). თუმცა, მთავრობის დაპირებების საწინააღმდეგოდ, თითქოს 2013–2015 წლებში სოციალური საკითხები პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო, ამ მიმართულებით დაგეგმილი ხარჯები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ადრინდელ პროგნოზებს. ამ ასიგნებების თითქმის 79% საპენსიო ფონდიდან გამოიყოფა, რომელიც უკვე იწურება.

რუსეთის ახალი ბიუჯეტით მხოლოდ თავდაცვის ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდაა გათვალისწინებული – 2013 წლის 71 მლრდ დოლარიდან, 2015 წლის 103 მლრდ დოლარამდე. 2013 წელს მთლიანი ხარჯი თავდაცვაზე, შიდა უსაფრთხოებასა და საზ.წესრიგზე, მთელი ბიუჯეტის 31% (139 მლრდ დოლარი) იქნება, რაც აღემატება ქვეყნის მომავალ სოციალურ ხარჯებს. ეს იმ თანმიმდევრული თავდაცვითი პრიორიტეტის გაგრძელებაა, რაც ბოლო წლებში პუტინის ხელისუფლებამ უმთავრეს მიზნად დაისახა. პირველ რიგში, ამ ხარჯებით განხორციელდება შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია. ერთი შეხედვით, რუსეთში თავდაცვაზე გაწეული სამთავრობო ხარჯების ამგვარი პრიორიტეტულობა შეიძლება მიჩნეული იქნას რუსული ეკონომიკისთვის სტიმულისმიმცემ ინვესტიციად. მაგრამ, რთულია, დავეთანხმოთ ასეთ იმედებს, რადგან ბოლო წლების ნეგატიური გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთის არმიის მოდერნიზაციაზე გამოყოფილი ასიგნებები ხშირად, არაეფექტიანად ნაწილდებოდა და არ არსებობდა ქმედითი, კორუფციის საწინააღმდეგო მექანიზმები.

რუსეთის 2013 წლის ბიუჯეტიდან ირკვევა, რომ მთელ ხარჯებში მცირდება განათლების (4.8%-დან 4.7%-მდე) და ჯანდაცვის (4.8%-დან 3.8%-მდე) ხარჯების წილი. ასევე აღმოჩნდა, რომ საჯარო სექტორის მუშაკთა საშუალო ხელფასის ზრდის პუტინისეული დაპირება, შესასრულებლად რეგიონულ ხელისუფლებებს გადაეცა. ფედერალური ბიუჯეტის ხარჯების პრობლემის ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე ამგვარი „გადაჭრა“ რუსეთის რეგიონების „ტვირთს“ გაზრდის, რომლებიც ისედაც დიდ ხანია იბრძვიან დავალიანებების ზრდის წინააღმდეგ. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ 2008 წლიდან მოყოლებული, მათი ვალები, რომელთა 84%-ს ფედერალური ბიუჯეტის დავალიანება შეადგენს, თითქმის გაორმაგდა.

## დასკვნები

ამრიგად, რუსეთის მთავრობამ ვერ გამოიყენა 2011–2012 წწ. ეკონომიკის პოსტკრიზისული გამოცოცხლება იმ აუცილებელი სტრუქტურული რეფორმებისათვის, რომლებიც შეამცირებდა ქვეყნის ეკონომიკის ნახშირწყალბადების სექტორის (ნავთობი, გაზი) შემოსავლებზე – „ნავთობდოლარებზე“ დამოკიდებულებას. ასევე, ახალი 2013–2015 წწ. ბიუჯეტიდან არ ჩანს, რა ჩაანაცვლებს მომავალში ამ სექტორიდან ამონაგებს – მის ჩასანაცვლებლად ერთადერთი არაპოპულარული გამოსავალი, გარკვეული გადასახადების განაკვეთების ზრდაა (მაგალითად, დღგ).

რუსეთის ეკონომიკაში მზარდი სახელმწიფო სექტორის არსებობის პირობებში (სახელმწიფო აქტივების პრივატიზების დაპირებების მიუხედავად), ყოვლისმომცველი კორუფციისა და ბიუროკრატიის პარპაშის დროს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ განხორციელდეს რუსეთის ეკონომიკის ინტენსიურ ნიადაგზე განვითარების ხელშეწყობა და მისი ინოვაციური გაძლიერება.

ასევე, სავარაუდოდ, ვერ გადაჭრის რუსეთის ეკონომიკის პრობლემებს მისი მსო-ში გაწევრიანებაც. ერთი მხრივ, მსო-ს წევრობა მას საშუალებას აძლევს, მოხდეს რუსეთის ეკონომიკის მოდერნიზება უცხოური ინვესტიციებით; მაგრამ მეორე მხრივ, ამ წევრობამ, შესაძლოა, მოსკოვს პრობლემებიც შეუქმნას, ქვეყანაში ინდუსტრიის მრავალი არაკონკურენტული დარგის არსებობის გამო.

ამრიგად, რუსეთის 2013–2015 წწ. ფედერალური ბიუჯეტი მიღებულია ქვეყნის ეკონომიკაში სერიოზული პრობლემების არსებობის ფონზე, რაც ამ დოკუმენტის ბევრ წინააღმდეგობრივ ფორმულირებაში აისახა, ამიტომ სავარაუდოდ, ის არ იქნება რუსეთის მოდერნიზების დაფინანსების ეფექტური წყარო და კვლავ სამხედრო–სამრეწველო კომპლექსის აგრესიული პოლიტიკის რეალიზებას უზრუნველყოფს.

## საგარეო უწყება, ელჩების გამოწვევასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ელოდება




საქართველოს საგარეო უწყება, ელჩების გამოწვევასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ელოდება. როგორც ჟურნალისტებთან მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, შესაბამისი სია ელჩების გამოწვევასთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭოს მდივანს გიგა ბოკერიას, ნოემბრის ბოლოს გადაეგზავნა.

**„გაგზავნილ სიაში რამდენიმე ქვეყანა იყო მოხსენიებული, რომელშიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ახალ მთავრობას მიაჩნია, რომ ელჩი უნდა გამოიცვალოს. მათ შორის იყვნენ ის ელჩები, რომელთაც თვითონ განაცხადეს, რომ არ აპირებენ თანამშრომლობას ახალ ხელისუფლებასთან. მათ პოლიტიკური შეხედულების განსხვავების გამო, მიზანშეწონილად მიაჩნიათ თანამდებობის დატოვება. გაგზავნილ სიასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის მხრიდან რეაქცია არ ყოფილა. ვაშინგტონში გამგზავრებამდე, პრეზიდენტს წერილითაც მივმართე და ვუთხარი, რომ ელჩების გამოწვევის სია ბატონ გიგა ბოკერიასთვისაა გადაცემული და კონკრეტულ ქმედებებს ველოდებით. ეს კონკრეტული ქმედებები, ჯერჯერობით, არ განხორციელებულა“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ.

შეგახსენებთ, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ოფიციალურად ელჩის თანამდებობა იტალიაში საქართველოს ელჩმა კოტე გაბაშვილმა დატოვა.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას ითხოვენ



საქართველოში პრეზიდენტის თანამდებობის გასაუქმებლად სარეფერენდუმო საკონსტიტუციო-დემოკრატიული საინიციატივო ჯგუფი იქმნება.

იდეის ავტორები ამ პროცესში მონაწილეობისკენ ყველა იმ ადამიანს მოუწოდებენ, ვინც მიიჩნევს, რომ ეს თანამდებობა ზედმეტია.

**„მოგიწოდებთ, ვისაც სურვილი გაქვთ, შემოგვიერთდით და ერთად შევქმნათ სარეფერენდუმო საკონსტიტუციო-დემოკრატიული საინიციატივო ჯგუფი, რომელიც დაიწყებს სარეფერენდუმო მოსამზადებელ საქმიანობას. სარეფერენდუმოდ დაისმევა კითხვა: გსურთ თუ არა, რომ საქართველოში გაუქმდეს პრეზიდენტის ინსტიტუტი და მმართველობის ფორმად საკონსტიტუციო-საპარლამენტო მმართველობა გამოცხადდეს?**

**საკონსტიტუციო-საპარლამენტო ფორმაში ვგულისხმობთ ძლიერ სახალხო პარლამენტს და ძლიერ აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომლის ხელმძღვანელს, ანუ პრემიერ-მინისტრსაც ირჩევს ხალხის პარლამენტი.**

**ამ ფორმაში პრეზიდენტისა და მისი ინსტიტუტის ხსენება საერთოდ არ იქნება. დავემშვიდობებით ერთხელ და სამუდამოდ პრეზიდენტს, მის აპარატს, გუბერნატორებს თავისი ამალებით და ა.შ. მის თვითმფრინავს და უამრავ უაზრო ხარჯს“,** — ნათქვამია ზემოხსენებული იდეის ავტორის, „საკონსტიტუციო-დემოკრატიული ჯგუფის“ განცხადებაში.

*„მედიანიუსი“*




არტოზანი - „წმინდა შიო“: აგურისა და ქვის ეკლესიები

ქვათა მატიანე

# ასურელ მამათა ნალვანი

## თურდოს ხეობა

**ჩვენი რუბრიკის ერთგულ მკითხველს ემახსოვრება, რომ თურდოს ხეობაში მოგზაურობისას სახელგანთქმულ შუამთის მონასტერში დიდხანს არ გავჩერებულვართ და რუისპირისკენ გავწიეთ. ჩვენი მიზანი იყო იყალთო-რუისპირის არეალში ორი ასურელი მამის — შიოსა და ანტონის ადრეული განდეგილი ცხოვრების ადგილსამყოფელის დადგენა.**



ქვის ეკლესიის შიდა სივრცე

გელა ქოქიაშვილი

**მკითხველის ფართო წრისთვის VI საუკუნის ამ ორი ნეტარი მამის მოღვაწეობა შიომღვიმესთან და მარტყოფთან არის დაკავშირებული, მაგრამ პლატონ იოსელიანს XIX საუკუნეში მათ შესახებ სხვა ისტორიული საბუთებიც ჰქონია.** ანტონ მარტყოფელის მოკლე ცხოვრებაში მეცნიერი ამბობს, რომ ზედაზენზე დაფუძნებული მასწავლებლისგან — იოანესგან წამოსული ეს ორი მოწაფე ერთხანს კახეთის სიღრმეში გადასულა. ანტონს, რომელიც მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს დაატარებდა, იალნოს მთა გადაულახავს — **„და შთავიდა კახეთად, სადა იყოფოდა არსენი (ზენონი — გ.ქ.) იყალთოდ და წმინდა და ნეტარი შიო არტოზნად, სად აწ ეკლესიაცა მისი შენი არს და ქვაბნი არიან მრავლად გამოკვეთილნი“.** ამის შემდეგ ანტონი ჯერ ალავერდში დამკვიდრებულა ალავერდელთან, მერე — ლოპოტას ხეობაში, სულ ბოლოს კი ახმეტის შემოგარენში. მარტყოფში მხოლოდ ამ ხანგრძლივი მოგზაურობის მერე დაფუძნებულა.

...რუისპირში შევედით. სოფლის ჩრდილო-დასავლეთ უბანში, ზედ გზის პირას, შემონახულია მოუვლელი **ციხე-დარბაზი,** რომელიც XVIII საუკუნეს განეკუთვნება და თავად მაყაშვილებისა უნდა ყოფილიყო. ამ ციხე-დარბაზიდან ყველაზე უკეთ შემონახულია სამსართულიანი მრგვალი კოშკი. აქედან ჩრდილოეთით, ძამუკაანთ უბანში, არის ამავე ეპოქის გაცილებით მცირე კომპლექსი, რომელსაც **ადამაანთ ციხე** ჰქვია. ძამუკაანთ უბანში ამჟამად ადამაშვილების მხოლოდ 5 კომლი ცხოვრობს და ძეგლი ერთ-ერთი მათგანის — ზაქრო ადამაშვილის კარმიდამოშია. ციხე-დარბაზი ორი ნაგებობისგან შედგება — 3-სართულიანი განიერი თავდაცვითი კოშკი, რომელსაც მე-4 სართულად ქონგურებიანი ბანი აქვს, პირველ სართულს გახსნილი თაღებით უკავშირდება ასევე 3-სართულიან საცხოვრებელს, რომელიც ახლა თავლიაა და შიდა ეზოს ჰგავს. როგორც თავდაცვითი კოშკის, ისე საცხოვრებლის პირველი სართული, მთლიანად მარანს წარმოადგენს. შემორჩენილია ქვევრები, ხოლო უშუალოდ კოშკში — საწნახლის ძირი.

რუისპირში ყველაზე **დიდი ციხე-დარბაზი** ცენტრალური გზიდან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა, თურდოსხევს დასცქერს და ისიც XVIII საუკუნის ნაგებობაა. გალავნის კედლებში 2-სართულიანი და საბრძოლო ბანიანი კოშკებია ჩადგმული. ვრცელ ეზოში შემორჩენილია სასახლისა და დამხმარე ნაგებობის ნაშთები. აღდგენილია აგურით აშენებული კარის დარბაზული სამლოცველო. **კომპლექსი, სავარაუდოდ, იმ სიმონ მაყაშვილის მიერ უნდა იყოს აგებული, რომელიც 1752-1754 წლებში, ათანასე თბილელთან ერთად, გაგზავნა თეიმურაზ II-მ რუსეთში ელჩად.** ცნობისათვის: როგორც იოანე ბატონიშვილი წერს, მაყაშვილებმა, ჩოლოყაშვილებთან ერთად, კახეთის უძველესი



არტოზანი - „წმინდა თევდორე“

ფეოდალების — ირუბაქიძეების მამულები დაინაწილეს გიორგი ბრწყინვალის მეფობაში.

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ წერილის დასაწყისში გაცხადებულ მოგზაურობის მიზანს ავცდით, მაგრამ ასე არაა. ციხე-დარბაზების აღწერის შემდეგ ზაქრო ადამაშვილს ვეკითხები — ხომ არ გაუგია მას ნასოფლარი არტოზანი. და ჰოი, საოცრებავ და სირცხვილო — რა ვიცოდი, რომ ახლა სწორედ არტოზანში ვიდექი. 1500 წლის სოფელი რუისპირის ერთ-ერთი უბანი გამხდარა!.. **მისი სახელი „შუშანიკის წამებაში“ ნახსენები მაზდეანური ათროშანის თუ ატროშანის იდენტური უნდა იყოს. ეს ათროშანი თავის მხრივ, „მოქცევაი ქართლისაის“ და ლეონტი მროველის თხზულებაში დაცულ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ითრუშანას და ითრუჯანს უნდა ესადაგებოდეს.**

— არის თუ არა არტოზანში ძალიან ძველი ეკლესია?

— როგორ არა, — მპასუხობს ზაქარია, — აქედან დასავლეთით, ნახევარ კილომეტრშია, წმინდა თევდორე ჰქვია.

რუისპირის VI საუკუნის ამ ეკლესიის არსებობა კი ვიცოდი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი თუ ეს არტოზანის ტაძარი იქნებოდა.

„წმინდა თევდორე“ 3-ეკლესიანი საყდარია და სასაფლაოზე დგას. მართალია, მთლიანად არ არის მოღწეული, მაგრამ კარგადაა დაკონსერვებული. საყდრის გარე ზომები 12 X 11 მ-ია. ცენტრალური ეკლესია, ბუნებრივია, უფრო ფართო და მაღალია — კამარადან იატაკამდე 8 მეტრია. სამხრეთის ეკლესიიდან, აბსიდისა და კონქის ფრაგმენტის გარდა, არაფერია დარჩენილი. იგივე მდგომარეობაშია ჩრდილოეთის ეკლესია, რომელსაც ფლიგელის დასავლეთი მონაკვეთი ეკავა მხოლოდ. აღმოსავლეთი მონაკვეთი მთლიანადაა გადარჩენილი. იგი სამკვეთლო ყოფილა და აბსიდი არ აქვს. ტაძარი ნაგებია თანაბარი ზომის, ერთმანეთზე კარგად მორგებული რიყის ქვის ე.წ. უჯარმული წყობით. ტაძარში შევდივართ ცენტრალური ეკლესიის დასავლეთის კარით, საიდანაც სხვა სამლოცველოებში შეიძლებოდა გასვლა. კართაგან ერთი არქიტრავული, სამი კი ლუნეტურია. ლუნეტებსა და საკურთხევლის აბსიდს ნალისებრი მოყვანილობა აქვს. ცენტრალური ეკლესია 8 სარკმლით ნათდება. გიორგი ჩუბინაშვილი ამ ტაძარს ქვემო ბოლნისისას (ქაფანახჩის ტაძარს) ადარებს და 3-ეკლესიანი საყდრის ერთ-ერთ უადრეს ნიმუშად მიიჩნევს.

**რჩება ერთი შეკითხვა: რომელი ასურელი მამის, შიოს თუ ანტონის თაოსნობითაა აგებული არტოზნის ეს ტაძარი?** პლატონ იოსელიანის თხზულებიდან ცნობილია, რომ არტოზანში, ეკლესიასთან ახლოს, კლდეში ნაკვეთი ქვაბებიც ყოფილა, „წმინდა თევდორესთან“ ახლოს კი არც კლდეებია და არც ქვაბები. შეკითხვაზე პასუხის გაცემა მას შემდეგ გაგვიადვილდება, თუ „წმინდა თევდორედან“ დასავლეთით, იყალთოს მიმართულებით, 3 - 4 კილომატრში და ზღვის დონიდან გაცილებით მაღლა არსებულ სხვა სამონასტრო კომპლექსს ვნახავთ. იგი შიო მღვიმელის სახელითაა ცნობილი და შიოს მარნებსაც უწოდებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ სატრაპეზოში და ეზოს ტერიტორიაზე მრავალი ქვევრია, მაშინ ერთი სავარაუდო დასკვნის გამოტანაც შეიძლება: **ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში ულევი სასმელ-სანოვაგის სინონიმად დამკვიდრებული ხატოვანი გამოთქმა „შიოს მარანი“ აქედან უნდა მომდინარეობდეს.**

წმ. შიოს მონასტერი ტანაყრილი ტყის კორომში დგას. მისი უმთავრესი ნაგებობა აგურით ნაშენი XII-XIII საუკუნეების დარბაზული ეკლესიაა (შიდა ზომები — 14,5 X 8,5მ), რომელსაც ჩრდილოეთის მცირე ეგვტერი და სამხრეთის გახსნილი კარიბჭე აქვს. აღმოსავლეთით საყდარი 5-წახნაგა შვერილი აბსიდით სრულდება, რომელიც შიგნიდან ფრესკებითაა შემკული.

აგურის ეს ტაძარი აღმოსავლეთიდანაა მიდგმული ორად გაყოფილ 3-ნავიან ბაზილიკაზე. რომელსაც დასავლეთ მონაკვეთში უყელო, შეკიდულ-კამაროვანი გუმბათი აქვს შიგნიდან, ხოლო თავზე დამოუკიდებელი, სამრეკლოს მიმსგავსებული, ფანჩატური ადგას. დიდი, უხეშად გათლილი ქვის კვადრებით აგებული ეს ეკლესია, რომელსაც გვიანდელი შეკეთების კვალი ატყვია, რაღაცით ნეკრესის უადრეს და დაუხვეწავ 3-ნავიან ბაზილიკას მოგაგონებთ. ჩნდება ეჭვი, რომ წმ. შიოს სწორედ ქვის ეს ბაზილიკა უნდა აეგო, რადგან ტყით დაფარული მაღალი კლდეებიც აქვეა და ქვაბთა არსებობაც აქ უფროა სავარაუდო.

**ერთი სიტყვით, რჩება შთაბეჭდილება, რომ არტოზანში არსებული წმ.შიოს მონასტრის ქვის ეკლესია შიოს მიერაა აგებული, ხოლო მის ქვევით მდებარე „წმ. თევდორე“ — ანტონის მიერ.** თემას აქ არ ვასრულებთ, პლატონ იოსელიანი იმასაც წერს, რომ ნეტარი ანტონი ერთხანს ახმეტაშიც იყო დაყუდებული. გეზი ახმეტისკენ ავიღეთ და დანარჩენს მომდევნო წერილში გიამბობთ.

*ავტორის ფოტოები*




ადამაანთ კომპლექსის გარე და შიდა ხედები



სოლო
ადიოკი
ისარი
ანბანი
ბიბინა
რაგლი
სობმა
ნაზრაკა
მაჭერი
იკი
გურია
პაია ნიო
ბარომეა
სელა
არიუ ლაბი
ალანი
აკრე
ლარაპო
რომაკო
ნერბა ლასი
განინი
ბანი
მიშორო
ბოვინუ
ლახაბა
აკომა
ლანია
ადლია
მეკოსი
ღუალა
ბამა ნადი
ბუღსი
კეხი
მირზა
ვალე
ნუიდა
ული
აბკო
ბოი სეგი
რონობე
აგუნი
აბოლმო
ენდო
ბეილი



# ჰოროსკოპი – 12 დეკემბერი

ვერძი – დღის პირველ ნახევარში საკუთარ შესაძლებლობებს გადაჭარბებულად ნუ შეაფასებთ. გგონიათ, რომ ყველა საქმე გამოგივათ, მაგრამ ასე არ არის. ზედმეტად ოპტიმისტური ხართ ფინანსებთან დაკავშირებითაც და წვრილი სიამოვნებისთვის ხარჯავთ იმდენ ფულს, რასაც უკეთესი დანიშნულებით გამოიყენებდით. სასურველია, ამ დღეს თავი შეიკავოთ შორეული მგზავრობისა და უცხოელებთან კონტაქტისგან. სამაგიეროდ, დღის მეორე ნახევარი სასიკეთო იქნება თქვენთვის. ყველაფერი ადვილად გამოგივათ და თავს მშვენივრად გაართმევთ ყველა საქმეს, რასაც ხელს მოკიდებთ. არის შანსიც, რომ დიდი ხნის ოცნება აისრულოთ. დადგა შესაფერისი დღეც, რომ თავი შეახსენოთ ადამიანს, რომელიც ძალიან მოგენატრათ.

კურო – თქვენ შეგიძლიათ, საკუთარი ემოციები გააკონტროლოთ, რაც ძალიან კარგია, რადგან ეს დღეს ხელს შეგიშლიდათ. გარდა ამისა, მოზღვავებულ ენერგიას მშვიდობიან მიმართულებას მისცემთ, ეს კი ნიშნავს, რომ წარმატებაც შორს არ არის თქვენგან. დღეს განსაკუთრებით გამახვილებული გაქვთ ინტუიცია და ნებისმიერ რთულ სიტუაციაში უმალ იღებთ ერთადერთ, სწორ გადაწყვეტილებას. ეს დღე წარმატებულია საქმისთვის, რომელიც თვითგანვითარებასა და სულიერ ამაღლებას ემსახურება. სასურველია, დრო გამონახოთ ცხოველებსა და მცენარეებზე ზრუნვისთვის, რადგან ასეთი საქმიანობა ძალიან სასარგებლოა თქვენთვის. დღის ბოლოს, შესაძლოა, განწყობა შეგეცვალოთ – ეს დაღლილობის შედეგი იქნება. ცოტა დაისვენეთ და ყველაფერი დალაგდება.

ტყუპები – ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოხვალთ. ამ დღეს ტყუპების ბუნებრივი ნიჭი და უნარი საკმაოდ მკვეთრად გამოჩნდება. ეს თვისებები ამ ნიშნის წარმომადგენლებს გარშემომყოფებზე უდიდეს უპირატესობას ანიჭებს. შესაძლოა, მნიშვნელოვანი წარმატებები სამსახურში, არ არის გამორიცხული, მაცდუნებელი საქმიანი წინადადებებიც. დღე სასიკეთოა სპორტისა და ცეკვისთვის, ასევე ფიზიკური სამუშაოსთვის. წარმატებული დღეა ხელმძღვანელი ტყუპებისთვის, რიგით თანამშრომლებს კი, შესაძლოა, სამსახურში სერიოზული უთანხმოება ჰქონდეთ.

კირჩხიბი – იმედი ნუ გექნებათ, რომ წარმატებას ადვილად მიაღწევთ. გამარჯვება შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის უნდა გაისარჯოთ. დღეს თქვენ ჩვეულებრივზე ხშირად შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც საკუთარი ინტერესებისთვის თქვენს გამოყენებას შეეცდებიან და საამისოდ სხვადასხვა მანიპულაციებსა და ინტრიგებს არ მოერიდებიან. დღეს განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდება თქვენი ლიდერის თვისებები – ეს შეეხება როგორც პროფესიულ, ასევე პირად ურთიერთობებს. შესაძლოა, ტექნიკის გაფუჭება და რაიმე ფასეული ნივთის დაკარგვაც.

ლომი – ეს დღე მარტივად არ აეწყობა. სერიოზულ პრობლემებს შეიძლება გადააწყდნენ ის ლომები, ვინც რაიმე ერთობლივი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობს და მჭიდროდ თანამშრომლობს პარტნიორებთან. მათ ტაქტიკურობისა და დელიკატურობის სასწაული გამოვლინება მოუწევთ, კონსტრუქციული საქმიანი ურთიერთობა რომ შეინარჩუნონ და რაიმე შედეგს მიაღწიონ. დღეს ლომები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან, ეს კი გარშემომყოფებთან ართულებს ურთიერთობას, არ არის რეკომენდებული, ამ დღეს დაესწროთ რაიმე წვეულებას, იურთიერთოთ ჟურნალისტებთან და მონაწილეობა მიიღოთ სარეკლამო აქციაში.

ქალწული – ეს დღე ქალწულებისთვის წარმატებული იქნება, რადგან საკუთარ ენერგიას სწორ მიმართულებას აძლევთ. თქვენი ემოციები ძლიერია, მაგრამ მათ გაკონტროლებას მოახერხებთ. მკვეთრად იზრდება შემოქმედებითი პოტენციალი. გამოავლინეთ ინიციატივა როგორც პროფესიულ, ასევე პირად სფეროებშიც – დღეს ეს უადგილო კი არა, აუცილებელიც კი იქნება. კარგი დღეა ნებისმიერი მგზავრობისთვის, თუმცა, სირთულეებიც იქნება, მაგრამ ყველაფერი შედარებით ადვილად დაიძლევა.

სასწორი – ეს დღე რთული იქნება სასწორებისთვის. გიჭირთ საქმეზე კონცენტრირება, რადგან თავში სულ სხვა ფიქრები გიტრიალებთ. შეგიძლიათ რისკზე წასვლა, თუმცა ყოველთვის არ გიმართლებთ და შეიძლება, ის დაკარგოთ, რასაც ყველაზე მეტად უფრთხილდებით. თუმცა, უნდა გჯეროდეთ, რომ წარმატებას მიაღწევთ. თუ სამოქმედო გეგმას წინასწარ შეიმუშავებთ, კარგ შედეგებსაც მიაღწევთ. ამ დღეს საინტერესო იდეებიც მოგივათ, თუმცა, მათ რეალიზაციას ნუ იჩქარებთ. შესაძლოა, პატარა, მაგრამ დასანანი დანაკარგი.

ღრიანკალი – ამ დღეს ბევრი ფიქრი მოგიწევთ, მათ შორის, იმ საქმეზეც, რაც აქამდე თქვენ სულაც არ გეხებოდათ. მოგიწევთ რთულ სიტუაციებში გარკვევა და სწორედ თქვენი აზრი იქნება გადამწყვეტი. ძალიან ფრთხილი იყავით გავლენიან ადამიანებთან საუბარში – არის შანსი, რომ ხაფანგში აღმოჩნდეთ. დღის მეორე ნახევარი ღრიანკალებს დაღლილობის შეგრძნებას მოუტანს, ზოგი იმასაც იფიქრებს, რომ ზედმეტი ტვირთი აიღეს თავზე. ამ დღეს სხვისი მაგალითის, თუმცა, არა საუკეთესოს მიბაძვისკენ ხართ მიდრეკილი.

მშვილდოსანი – ეს დღე მაინცდამაინც საუკეთესოდ არ ჩაივლის. უამრავ შეცდომას მხოლოდ იმის გამო უშვებთ, რომ არ აქცევთ ყურადღებას, რაც აუცილებლად უნდა შეგენიშნათ. ამ ნიშნის ბევრი წარმომადგენელი ისეთ ადამიანებს ენდობა, ვინც საერთოდ არ იმსახურებს ამას და მათ ხელში მარიონეტად იქცევა. დღეს იდეებიც მოგივათ თავში, მაგრამ არც ისე კარგი იდეები. მოკლედ, ამ რთულ დღეს, სჯობს, სიჩქარეს ყველა საქმეში თავი აარიდოთ.

თხის რქა – დღე კარგად აეწყობა. საკუთარი ძალისხმევის შედეგი ყველა მოლოდინს გადააჭარბებს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საქმე გექნებათ, ყველაფერს თავს გაართმევთ და ახლობლებისა და მეგობრებისთვისაც მოიცლით. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა, არ არის გამორიცხული მოულოდნელი შეხვედრა ადამიანთან, რომლის მიმართაც გულგრილი არ ხართ. ამ დღეს დროულად მიიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომლის წყალობითაც სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. საუკეთესოა დღეს შორსმიმავალი გეგმების დაწყობისთვის როგორც პირად, ასევე პროფესიულ საქმეში.

მერწყული – ეს დღე მერწყულებისთვის საკმაოდ წარმატებული იქნება. მათ მხოლოდ უნდა ირწმუნონ საკუთარი თავის და ინტუიციას მიყვნენ. შეგიძლიათ მოვლენების განვითარებას მიენდოთ, ან ინიციატივა გამოიჩინოთ – განზრახულს ნებისმიერ შემთხვევაში მიაღწევთ. შესაძლოა, ძვირფასი საჩუქრები ან ხელსაყრელი საქმიანი წინადადებები მიიღოთ. მზად იყავით იმისთვის, რომ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ გარეგნობას, რადგან ახალი ნაცნობები ჩაცმულობით შეგაფასებენ.

თევზები – დღეს ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რა პოზიციას დაიკავებთ გარშემომყოფებთან. უადგილოა ეგოიზმისა და თვითკმაყოფილების გამოვლენა, სხვისი პრობლემების იგნორირება. ადამიანები, ვისთანაც დღეს ბედი შეგახვედრებთ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ თქვენს ცხოვრებაში. შეეცადეთ კარგი შთაბეჭდილება მოახდინოთ. თუმცა, ამ დღეს დიდია ალბათობა კონფლიქტისა ხელმძღვანელობასთან და გავლენიან ადამიანებთან.

## ამინდის პროგნოზი

| | ოთხშაბათი | ხუთშაბათი |
|---|---|---|
| თბილისი | +9 | +7 |
| ქუთაისი | +17 | +16 |
| ბათუმი | +19 | +17 |
| სოხუმი | +16 | +15 |

# მწვანე ფერი მხედველობას აუმჯობესებს



ჩვენს ცხოვრებაში მხედველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თვალის დახმარებით ინფორმაციის 80-85%-ს ვიღებთ. სამწუხაროდ, ბევრ ადამიანს მხედველობა ადრეული ასაკიდანვე უფუჭდება, მით უმეტეს, ჩვენს დროში — ინფორმაციული ტექნოლოგიების ხანაში, როცა პრაქტიკულად ყველა ადამიანი უკვე შეჩვეულია კომპიუტერს, ტელევიზორსა და თანამედროვე ტექნიკის მიღწევებსაც. ზოგს შვებულებაშიც თან მიაქვს ნოუთბუქი, უმრავლესობა კი, სამსახურში მთელ დღეს კომპიუტერთან ატარებს, სახლში დაბრუნებული კი კვლავ მას უნდა მიუჯდეს, ან მთელი საღამო ტელევიზორთან გაატაროს. მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ თვალები სრულფასოვანი ცხოვრების გატარებაში გვეხმარება და მათი გაფრთხილება გვმართებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მხედველობაზე საკმაოდ სასიკეთოდ მოქმედებს მწვანე ფერი. ის თვალს დაძაბულობის მოხსნაში და დამშვიდებაში ეხმარება, ხელს უწყობს გაღიზიანების მოხსნას. ალბათ ამიტომ ბევრი ფსიქოლოგი საკუთარ კაბინეტს სწორედ თბილ მწვანე ფერებში აწყობს — ეს ადამიანს საერთო დაძაბულობის მოხსნასა და სიმშვიდის მოპოვებაში ეხმარება.

რამდენიმე რჩევასაც მოგაწვდით, კარგი მხედველობა რომ შეინარჩუნოთ: ვისაც სურვილი არ აქვს, საკუთარი ოთახი მწვანე ფერებში მოაწყოს, იქ ამ ტონის რამე ელემენტები მაინც შეიტანეთ. მაგალითად, კედლის საათი ან ნახატი, რომელზეც მწვანე მდელო ან ტყე ინება გამოსახული. ოთახში რაც შეიძლება მეტი ცოცხალი მცენარე დადგით — ისინი არა მხოლოდ დაამშვიდებენ თქვენს თვალებს, არამედ, ჰაერსაც გაწმენდენ. თუ კომპიუტერთან მუშაობთ, აუცილებლად დაიდგით გვერდით ქოთნის მცენარე, მხოლოდ ისეთი, რომელიც ტექნიკასთან ძლებს და პერიოდულად, თვალი კომპიუტერის მონიტორიდან მასზე გადაიტანეთ ხოლმე. ეს ჯერ ერთი, თვალებს დაამშვიდებს და მეორეც — აგიმაღლებთ განწყობას, რადგან მცენარეების ცქერა სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. შეეცადეთ, გარეთ მეტი ისეირნოთ, განსაკუთრებით პარკებში, სადაც სიმწვანეა. მიიღეთ ესთეტიკური სიამოვნება და ამავდროულად, იცოდეთ, რომ ამით საკუთარ თვალებსაც ეხმარებით.

# კიბოს დიაგნოსტიკა ამონასუნთქითაც შესაძლებელია

ებრაელმა მეცნიერებმა ახალი მოწყობილობა შექმნეს, რომელსაც შეუძლია გვიჩვენოს, აქვს თუ არა სიმსივნე ადამიანს. ეგრეთ წოდებული, ელექტრონული ცხვირი ამონასუნთქს აანალიზებს და იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, აქვს თუ ადამიანს ყელის ან ხორხის კიბო. მეცნიერთა გამოგონება მიუთითებს ასევე, არის თუ არა სიმსივნური წარმონაქმნები თავსა და ფილტვებში. როგორც სპეციალისტები ამბობენ, „ელექტრონული ცხვირი" სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია ონკოლოგიაში, რადგან ის საშუალებას იძლევა, დაავადება ადრეულ სტადიაზევე აღმოვაჩინოთ. ებრაელი პროფესორის, მოწყობილობის ავტორის განცხადებით, კიბოს არსებობა თავსა და ყელში ძალიან მძიმეა და მისი გამოვლენა პირველ სტადიებზე საკმაოდ რთულია. გარდა ამისა, „ელექტრონული ცხვირი" სიმსივნის დიაგნოსტიკას უფრო სწრაფ და იაფ პროცედურად აქცევს.



# პარალიზებულებიც გაივლიან



იტალიელი მეცნიერები ახალ იმპლანტანტზე მუშაობენ, რომელიც დაზიანებულ ზურგის ტვინს აღადგენს. ცდები, რომლებიც მღრღნელებზე ჩატარდა, შესანიშნავი შედეგებით დასრულდა: პარალიზებულ ცხოველებს კიდურების შეგრძნება დაუბრუნდათ და მოძრაობა დაიწყეს. ამ იმპლანტანტებს — სპეციალურ ბიოდაშლად კარკასებს — პატარა მილების ფორმა აქვს. მათი სიგრძე 2-3 მილიმეტრია. იმპლანტანტების დიამეტრიც მცირეა და 0,5 მილიმეტრს აღწევს. მილების შიგნით სპეციალური გელია, რომელშიც ორგანიზმის უჯრედებს — ნერვულ ბოჭკოებს, სისხლძარღვებს შეუძლიათ ზრდა. იმპლანტანტებს ათავსებენ ზურგის ტვინის ნახვრეტში და ეს კარკასები ნერვული ბოჭკოებს საჭირო მიმართულებით ზრდის.

# კბილების უსუფთაობა იმპოტენციას იწვევს?



კბილებსა და პოტენციას შორის კავშირი თურქმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, ინიონიოს ინსტიტუტიდან. მათი დასკვნებით, მამაკაცებს, ვინც რეგულარულად არ იხეხავს კბილებს, ხშირად აქვთ ერექციასთან დაკავშირებული პრობლემები. ამის მიზეზი ბაქტერიაა, რომელიც ქრონიკული პაროდონტოზისას ღრძილების ანთებას იწვევს. ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს ბაქტერია ასევე იწვევს გულის იშემიურ დაავადებასაც. ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს პოტენციაზე. აქედან გამომდინარე, ვინც კბილებს რეგულარულად არ ისუფთავებს, არა მხოლოდ ჯანმრთელი კბილების, არამედ ხარისხიანი სექსის დაკარგვის რისკის წინაშეც დგანან. უნდა აღინიშნოს, რომ ერექციის პრობლემებსა და ქრონიკულ პაროდონტოზს ერთნაირი ფაქტორები იწვევს, როგორიც არის ასაკი, მოწევა, დიაბეტი და გულის პრობლემები, — აღნიშნავენ სპეციალისტები.

# ტელევიზორი და მობილური ერთად საშიშია



ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს ერთდროულად გამოყენება დეპრესიის განვითარებას იწვევს, — ასეთი დასკვნა დადეს ამერიკელმა მეცნიერებმა მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. არ ღირს, ერთდროულად კომპიუტერზეც მუშაობდეთ და თან, ტელევიზორიც გქონდეთ ჩართული, ან იმავდროულად, რადიოს უსმენდეთ. ამერიკელი სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ასეთი მრავალმხრივი ინფორმაცია, რომელიც ადამიანს ტვინს მიეწოდება, მის გადატვირთვას იწვევს და შფოთისა და დეპრესიის განვითარების რისკს ზრდის. კვლევების ავტორები თავადვე დარჩნენ გაოცებულები, როცა ასეთი დამოკიდებულება აღმოაჩინეს, თუმცა, მიზეზები სრულად ვერ გაარკვიეს. აღსანიშნავია, რომ შეერთებულ შტატებში, ახალგაზრდობას შორის მედიაწყაროების გამოყენება, ბოლო ათი წლის განმავლობაში 20%-მდე გაიზარდა, დროის ხანგრძლივობა კი, რასაც რამდენიმე წყაროდან ერთდროულად ინფორმაციის მიღებას უთმობენ, ამავე პერიოდში 120%-ით. სწავლულთა გამოკვლევებში 310 ახალგაზრდა მონაწილეობდა. ისინი გამოკითხეს, რა დროს უთმობენ ერთდროულად ტელევიზორს, მუსიკას, მობილურ ტელეფონს, კომპიუტერს, ინტერნეტსა და სხვას.

# შოკოლადი ქრონიკულ ხველას დაამარცხებს



ეს „ღმერთების საჭმელი", შესაძლოა, წამალი აღმოჩნდეს ქრონიკულ ხველასთან ბრძოლაში. ქიმიური ნაერთები, რომელიც კაკაოში აღმოაჩინეს, ამცირებს როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული ხველის სიმპტომებს. კლინიკურ ცდებში 300-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ბრიტანეთის 13 საავადმყოფოდან, რომელთაც ეს ქრონიკული სენი სტანჯავდა. ისინი დღეში ორჯერ იღებდნენ ნატურალურ ქიმიურ ნივთიერება ტეობრომინს, რომელიც შოკოლადის ნედლი ინგრედიენტისგან იყო მიღებული. ცდები ორ კვირას გრძელდებოდა. შედეგი კი ის იყო, რომ პაციენტებმა გარკვეული შვება იგრძნეს. სწავლულები აცხადებენ, რომ დღეში ერთი ფილა შავი შოკოლადი ორგანიზმს საკმარის აქტიურ ნაერთებს აწვდის ქრონიკულ ხველასთან საბრძოლველად. თუმცა, ეს პანაცეა არ აღმოჩნდა, რადგან როგორც კი მკურნალობა შეწყდა, დაავადების ყველა სიმპტომი აღდგა.

# ნივთიერებათა ცვლაზე „ტატუ" მოგაწვდით ინფორმაციას



კანადელმა მეცნიერებმა სპეციალური სენსორები შექმნეს, რომელთა დახმარებითაც ნივთიერებათა ცვლის რეგულირებაა შესაძლებელი. სენსორი გარეგნულად დროებით ტატუირებას ჰგავს და სხეულზე იმავე პრინციპით მაგრდება. მოწყობილობის დიზაინი, რომელიც ელეგანტური, დახვეწილი და მოქნილია, მაქსიმალურად ფარავს ელექტროდებს. ამ გამოგონებას შეუძლია ადამიანს სიგნალი მიაწოდოს, როცა ორგანიზმი ძლიერ გამოიფიტა ან გადაღლილია. ის განსაკუთრებით სასარგებლოა იმ დაავადებების დიაგნოსტიკისთვის, რომელიც ნივთიერებათა ცვლის დარღვევითაა გამოწვეული. მოწყობილობის გამოყენება სპორტსმენებსაც წაადგებათ ვარჯიშებისა და შეჯიბრებების დროს. კოსმეტოლოგიაში კი მას კანის სეკრეციის გამოსაკვლევადაც გამოიყენებენ. ადრე არსებული სენსორები გაცილებით დიდი ზომის იყო და კანზე მისი მიწებება შეუძლებელი გახლდათ. ახალი გამოგონება კი ნორმალურად მუშაობს იმ დროსაც, როცა ადამიანი აქტიური ფიზიკური ვარჯიშებითაა დაკავებული.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | 2 | 3 | | | | 8 |
| | 9 | | | | | | | |
| 1 | 8 | | 5 | | | | 6 | |
| 2 | | 9 | | 7 | 3 | | | |
| | | 4 | | | | 3 | | |
| | | | 8 | 4 | | 7 | | 5 |
| | 1 | | | | 8 | | 3 | 7 |
| | | | | | | | 1 | |
| 5 | | | | 1 | 7 | 4 | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 9 |
| | 8 | 4 | 3 | | | 7 | | |
| | | 2 | | 1 | 9 | | 6 | |
| | 6 | | | | 7 | 3 | 4 | 8 |
| | | | | | | | | |
| 8 | 9 | 7 | 5 | | | | 1 | |
| | 3 | | 9 | 8 | | 1 | | |
| | | 9 | | | 2 | 6 | 8 | |
| 4 | | | | | | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 3 | 9 | | | 5 | | 7 |
| | 9 | | | 1 | | | | |
| 5 | | | | | 4 | | | |
| 3 | | | | | 1 | 4 | | |
| 1 | | | | 9 | | | | 2 |
| | | 9 | 3 | | | | | 5 |
| | | | 5 | | | | | 1 |
| | | | | 6 | | | 3 | |
| 7 | | 2 | | | 8 | 9 | 5 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | 1 | | | | | 6 |
| | | 8 | 5 | | | 7 | | |
| | 6 | | | | 2 | | | |
| 6 | 4 | | | 1 | | | 7 | |
| | 1 | | 8 | | 6 | | 2 | |
| | 8 | | | 9 | | | 5 | 1 |
| | | | 7 | | | | 6 | |
| | | 9 | | | 5 | 2 | | |
| 2 | | | | | 1 | 8 | | |

## რას გვეუბნება თმის ფერი

ადამიანის თმა დიდი ენერგიის გამტარი და მატარებელია. ზოგიერთი მოსაზრებით, თავსაბურავი სწორედ ამ ენერგიის დასაცავად გამოიყენებოდა. ბიოენერგეტიკოსების აზრით, თმა არა მარტო ენერგიას, არამედ სტრესს და აგრესიასაც ინახავს და ამიტომ ადამიანებს, გაბრაზების შემდგომ, თმაზე გარკვეული სარელაქსაციო პროცედურის ჩატარებას ან შეჭრას ურჩევენ. თმა რომ დადებითი ენერგიით აივსოს, დავარცხნის ან დაბანის დროს საჭიროა, დადებითზე ვიფიქროთ. თმის ფერის ცვლილება ცვლის ენერგიასაც და სხვების დამოკიდებულებასაც თქვენს მიმართ. ამიტომ გარეგნობაში ამ ცვლილების შეტანისას საჭიროა ზოგიერთო რამის გათვალისწინება. სპეციალურად შეცვლილი თმის ფერი იმის მანიშნებელია, რა თვისების გაძლიერება უნდა ადამიანს საკუთარ თავში.

ოქროსფერი თმა ყოველთვის ითვლებოდა ზღაპრული პრინცესების მთავარ ატრიბუტად. ისინი შეიძლება მშვიდები ან კაპრიზულები, კეთილები ან ბოროტები იყვნენ, მაგრამ მათი გამაერთიანებელი თვისება მიუწვდომლობაა. წითელი ფერის თმა მათი მფლობელების დემონურ ტემპერამენტზე მიუთითებს. ასეთი ფერი მათ ფეთქებად და არახავერდოვან ხასიათზე მიანიშნებს. წითური თმა კი უძველესი დროიდან ჯადოქრებისა და ალების დამახასიათებელი ნიშანი იყო. თანამედროვე დროში კი წითურები ცბიერ და მომხიბვლელ ადამიანებად მიიჩნევიან, რომელთაც „ჯადოქრობის“ ნიჭიც „მოეპოვებათ“.

შავი თმა მის მფლობელს მკაცრ შესახედაობას ანიჭებს. შავთმიანი ძლიერ და მიზანმიმართულ ადამიანად ითვლება. ყავისფერი თმა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს აქვთ. ისინი კარგად ერკვევიან ფსიქოლოგიაში და ადვილად შეუძლიათ გარშემომყოფებში ავტორიტეტის მოხვეჭა. ქერა თმა თავდადებულ და გულუხვ ადამიანებს აქვთ, მათ არ უჭირთ გარშემომყოფების კეთილგანწყობის მოპოვება. მუქი ქერა თმის მფლობელი კი მაღალი ინტელექტის მატარებელია, განსაკუთრებული ნიჭი აქვთ საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებში, მათ ასევე ადვილად შეუძლიათ სხვების გასულელება.



## ჭორები ოფისისთვის საჭიროა

ჭორები სასარგებლოა ოფისის ფუნქციონირებისთვის. კერძოდ, ის შეიძლება იმ კოლეგების გასაფრთხილებლად გამოიყენო, რომლებიც ვერ უძლვებიან დაკისრებულ მოვალეობას. ამსტერდამის უნივერსიტეტის მკვლევარებმა უარყვეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამსახურში ჭორები მხოლოდ თანამშრომლების მანიპულირებისკენაა მიმართული და ზიანის მომტანია. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ჭორები ყოველთვის ნეგატივი არ არის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ეს საშუალებას აძლევს ადამიანებს, მოაგროვონ და შეამოწმონ ინფორმაცია, გაერთონ ერთმანეთთან ლაპარაკით და ასევე დაიცვან საკუთარი ჯგუფი, — ამბობენ სწავლულები. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ევოლუციის პროცესში ჭორები მნიშვნელოვან სოციალურ როლს ასრულებს. ერთ ადამიანს არ შეუძლია, დათვს გაუმკლავდეს ან მამონტი დაიჭიროს, ჯგუფს კი შეუძლია, — ხსნიან მეცნიერები. ჯგუფის სარგებელი აშკარაა, მაგრამ ყოველთვის არის საშიშროება, რომ ზოგიერთი „ხალტურშიკი“ ცუდად შეასრულებს თავის ფუნქციას. შედეგად კაცობრიობამ განავითარა ქცევის აუცილებელი სტანდარტები და მეტყველების ძალა საშუალებას გვაძლევს, სხვები გავაფრთხილოთ: ეს ადამიანი ცუდად მუშაობს.



## კუბოთერაპია — მკურნალობის ახალი მეთოდი ფსიქოლოგიაში?

უკრაინის ერთ-ერთი რიტუალური ფირმის მფლობელს საკმაოდ ორიგინალური იდეა დაებადა. მან ფსიქოლოგიური თერაპიის ახალი მეთოდი მოიფიქრა, რომლითაც ადამიანებს სიკვდილის გარდაუვალობის აზრს შეაჩვევს. სულ რაღაც 25 დოლარად ტრუსკოვიცეში მდებარე ბატონ პირიანიკის სახელოსნოში, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, საკუთარი გემოვნებით აარჩიოს სასახლე, ჩაწვეს მასში და თან იფიქროს ამქვეყნიურ ცხოვრებაზე. თავად პირიანიკი ამ პროცესს აღსარებას ადარებს და ამბობს, რომ ამ სახით ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა, თვალი გადაავლოს საკუთარ ცხოვრებას. სალონის კლიენტებს კუბოების დიდი არჩევანი აქვთ, თუმცა ყველა მოდელი შიგნიდან მაქმანებით არის გაწყობილი და აბრეშუმის ბალიშები აქვს. ზოგიერთი ადამიანი ფსიქოთერაპიის ამ ახალ მეთოდს დადებითად აფასებს და ამბობს, რომ ამით საკუთარ ცხოვრებაზე სხვა მხრიდან შეხედვის შანსი ეძლევა, სხვები კი ამ „თერაპიას“ გამაოგნებელსა და შოკში ჩამგდებს უწოდებენ.



## №141(748) „ვერსიის“ სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 6 | 9 | 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 7 | 8 | 5 | 1 | 4 | 6 | 3 | 2 | 9 |
| 8 | 7 | 9 | 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 6 |
| 5 | 1 | 6 | 2 | 9 | 8 | 7 | 4 | 3 |
| 4 | 2 | 3 | 7 | 6 | 1 | 5 | 9 | 8 |
| 3 | 5 | 8 | 6 | 1 | 4 | 9 | 7 | 2 |
| 1 | 6 | 7 | 8 | 2 | 9 | 4 | 3 | 5 |
| 9 | 4 | 2 | 3 | 7 | 5 | 8 | 6 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 1 | 3 | 8 | 7 | 2 | 5 | 9 |
| 7 | 5 | 2 | 1 | 6 | 9 | 3 | 8 | 4 |
| 9 | 3 | 8 | 5 | 4 | 2 | 1 | 7 | 6 |
| 8 | 9 | 7 | 2 | 3 | 1 | 6 | 4 | 5 |
| 2 | 6 | 5 | 9 | 7 | 4 | 8 | 1 | 3 |
| 4 | 1 | 3 | 8 | 5 | 6 | 9 | 2 | 7 |
| 5 | 2 | 9 | 4 | 1 | 3 | 7 | 6 | 8 |
| 3 | 8 | 6 | 7 | 2 | 5 | 4 | 9 | 1 |
| 1 | 7 | 4 | 6 | 9 | 8 | 5 | 3 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 1 | 2 | 4 | 7 | 3 | 6 | 5 |
| 5 | 7 | 6 | 1 | 3 | 9 | 8 | 4 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 8 | 6 | 5 | 7 | 1 | 9 |
| 3 | 6 | 9 | 7 | 5 | 2 | 4 | 8 | 1 |
| 2 | 1 | 8 | 4 | 9 | 6 | 5 | 3 | 7 |
| 7 | 5 | 4 | 3 | 1 | 8 | 9 | 2 | 6 |
| 1 | 2 | 7 | 9 | 8 | 4 | 6 | 5 | 3 |
| 8 | 9 | 5 | 6 | 2 | 3 | 1 | 7 | 4 |
| 6 | 4 | 3 | 5 | 7 | 1 | 2 | 9 | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 8 | 1 | 4 | 9 | 6 | 5 | 3 |
| 6 | 5 | 1 | 2 | 3 | 8 | 7 | 4 | 9 |
| 9 | 4 | 3 | 7 | 6 | 5 | 1 | 8 | 2 |
| 8 | 6 | 2 | 9 | 7 | 4 | 5 | 3 | 1 |
| 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 6 | 8 |
| 1 | 3 | 9 | 8 | 5 | 6 | 4 | 2 | 7 |
| 4 | 8 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 9 | 5 |
| 3 | 1 | 6 | 5 | 9 | 2 | 8 | 7 | 4 |
| 2 | 9 | 5 | 4 | 8 | 7 | 3 | 1 | 6 |

## ფეხმძიმობა გადამდებია?

მეცნიერთა ჯგუფმა ქალაქ ბამბერგიდან გამოკვლევა ჩაატარა, რომლის დროსაც გაირკვა, რომ ფეხმძიმობა შესაძლოა, „გადამდები“ იყოს. გამოკვლევები 1993-2007 წლებში მიმდინარეობდა და მასში 42 ათასი ქალი მონაწილეობდა. მიღებული შედეგების მიხედვით ცხადი გახდა, რომ ფეხმძიმობით შეიძლება „დაინფიცირდე“, თუ ვინმეს მაგალითს დაინახავ. სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომელთა კოლეგებმაც ბავშვი გააჩინეს, ასეთ სერიოზულ ნაბიჯს ცხოვრებაში ორჯერ უფრო ხშირად დგამდნენ. განსაკუთრებით აქტუალური ეს საკითხი კოლეგის მშობიარობიდან ერთი წლის განმავლობაშია. ეფექტი შესაძლოა მეორე წელსაც გამოვლინდეს, მაგრამ უფრო ნაკლები ხარისხით. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მანდილოსნის მიერ ბავშვის გაჩენამ შესაძლოა, ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს. განსაკუთრებით ხშირად ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ კოლეგებს შორის ასაკობრივი სხვაობა ორ წელზე მეტი არ არის. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კვლევები სიახლე არ არის. უფრო ადრე გერმანელმა სწავლულებმა წარმოადგინეს ამგვარი სამუშაოს შედეგები, მხოლოდ გამოკვლევის მონაწილეები კოლეგები კი არა, დები იყვნენ.



# ჰოროსკოპი – 13 დეკემბერი

***ვერძი*** – ამ დღეს არაფერი მნიშვნელოვანი არ დაგეგმოთ – ეს არასასიკეთო დღე, სჯობს, მშვიდ ვითარებაში გაატაროთ, თუ უსაქმურობის დრო არ არის, შეეცადეთ, მხოლოდ მიმდინარე საქმით დაკავდეთ. დღის მეორე ნახევარი შედარებით მეტ შესაძლებლობებს გაძლევთ. თქვენი გამჭრიახობის წყალობით, უამრავ პრობლემას გადაჭრით, თანაც არა მხოლოდ თქვენსას. გარშემომყოფები მადლიერები იქნებიან დახმარებისთვის. ისარგებლეთ ხელსაყრელი მომენტით, რომ გაახმოვანოთ თქვენი სურვილები.

***კურო*** – თქვენ იშვიათი მიზანდასახულობით გამოირჩევით. სწორედ სასურველისკენ სწრაფვა გაიძულებთ, მოსაწყენი საქმე აკეთოთ, ყველაფერი მეორეხარისხოვანი დაივიწყოთ და ემოციები მკაცრად აკონტროლოთ. გარედან ისე ჩანს, თითქოს ცივსისხლიანი ადამიანი, ლამის რობოტი ხართ, რომელსაც გრძნობები არ გააჩნია. სინამდვილეში კი, მთელი დღის განმავლობაში საკუთარ თავს ეომებით. ჩვეულებრივ, ეს „საქმიანობა" დამღლელი და უშედეგოა, მაგრამ არა დღეს: ეს დღე სერიოზული შეცდომებისგან თავის არიდებაში დაგეხმარებათ.

***ტყუპები*** – ეს დღე ნაყოფიერი ტყუპებისთვის. წარმატების მისაღწევად რაც მეტ ძალისხმევას გაიღებთ, მით უფრო უმნიშვნელოა შედეგები. არ არის სასურველი ახალი საქმის წამოწყება. უკეთესია, მშვიდად აკეთოთ უკვე დაწყებული, შეძლებისდაგვარად, არ მოადუნოთ ყურადღება. ახლობლებთან ურთიერთობები რთულ ფაზაში გადადის. გრძნობთ, რომ დაძაბულობა მატულობს და კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად სულ უფრო მეტ დათმობაზე მიდიხართ. თუმცა, აქაც თავს იჩენს უკვე ხსენებული პარადოქსი – რაც მეტს ცდილობთ, უფრო ცუდად მიდის საქმე.

***კირჩხიბი*** – რაც უნდა აკეთოთ, საქმე არ გამოგდით. თავს ნუ დაიდანაშაულებთ სირთულეებსა და წარუმატებლობაში, რადგან დღეს თქვენზე ცოტა რამ არის დამოკიდებული. ყველაზე კარგი, რაც შეიძლება გააკეთოთ, მნიშვნელოვანი, რთული და სერიოზული საქმის გადადება ან სხვებისთვის გადაბარებაა. რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, ეს რომანტიკულ პაემანზე წასვლაა. მართალია, მას თავბრუდამხვევი გაგრძელება არ ექნება, მაგრამ დროს კარგად გაატარებთ. დაოჯახებული კირჩხიბებისთვის ოჯახსა და ბავშვებთან ყოფნა სჯობს.

***ლომი*** – ყველა მნიშვნელოვანი საქმე ლომებმა დღის პირველ ნახევარში მოამთავრეთ. ამ პერიოდისთვის დაგეგმეთ ასევე თქვენთვის ცოტათი მაინც მნიშვნელოვანი შეხვედრები. შესაძლოა, ლოკალურ ცაიტნოტში აღმოჩნდეთ, მაგრამ მოგვიანებით, საქმიანი აქტიურობა მოიკლებს და ძალების აღდგენასაც შეძლებთ. ძალიან ძნელია, მაგრამ შეეცადეთ, არ იკამათოთ მეგობრებთან, მოკავშირეებთან, ახლობლებთან. კონფლიქტი შესაძლოა, არაფრისგან წარმოიქმნას. თქვენი ამოცანაა, განმუხტოთ ვითარება.

***ქალწული*** – სასიკეთო დღეა ნებისმიერი ერთობლივი საქმიანობისთვის. მხარდაჭერას ბევრი ადამიანისგან მიიღებთ. ლაგდება ურთიერთობები უფროსობასთანაც და არის შანსი, რომ მატერიალური წახალისებაც მიიღოთ. გამოავლინეთ ინიციატივა, იყავით გაბედული და არ მოგერიდოთ ყურადღების მიპყრობა, როცა გამართლებული გამოხვალთ. ეს დღე კარგია პირადი ხასიათის საკითხების გადასაჭრელადაც. ადვილად მოახერხებთ კარგისა თუ ცუდის გარჩევას და ერთადერთ, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ.

***სასწორი*** – ამ დღეს განსაკუთრებით იგრძნობთ, რომ გინდათ, ვინმემ თქვენზე იზრუნოს. სამწუხაროდ, მოხალისეები არ გამოჩნდებიან და ვერც ვინმეს დაავალებთ. ასე რომ, დამოუკიდებლად მოგიხდებათ მოქმედება, რასაც წარმატებით გაართმევთ თავს. სასურველია, დღეს იმ საქმეებს მიხედოთ, რაც შემოქმედებით მიდგომას და არასტანდარტულ გადაწყვეტას ითხოვს. შესაძლოა, დღე წარუმატებელი იყოს პირად ცხოვრებაში და რაღაც ილუზიებიც დაგემსხვრეთ. რეალობასთან პირისპირ აღმოჩენა უმტკივნეულო არ იქნება, მაგრამ მოგვიანებით, ვარსკვლავები სასიამოვნო სიურპრიზით გაგაოცებენ.

***ღრიანკალი*** – შესაფერისი დღეა იმისთვის, რომ რთული და საინტერესო საქმე წამოიწყოთ – თქვენ მას ბრწყინვალედ გაუმკლავდებით. რაც უფრო რთულია ამოცანა, მით მეტი ენთუზიაზმით შეუდგებით მის გადაჭრას. მიღწეული წარმატება არ დარჩება შეუმჩნეველი და შესაძლოა, ჯილდოც დაიმსახუროთ. ეს დღე ასევე კარგია წარსულის გასაანალიზებლად. თანაგრძნობას გამოიჩენთ იმ ადამიანების მიმართ, ვინც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, დაეხმარებით გაჭირვებულებს.

***მშვილდოსანი*** – ამ დღეს თავში უცნაური იდეები მოგდით. ზოგს შესაძლოა, ეს გაბედულ და ორიგინალურ იდეად მოეჩვენოს, მაგრამ ჯანსაღად მოაზროვნეები ჩანაფიქრს ძნელად შესასრულებლად მიიჩნევენ. თუმცა, ეს ხელს არ შეგიშლით. გეგმები განახორციელოთ. თქვენი ძალისხმევის შედეგები კი მოულოდნელი იქნება. დღეს არ არის სასურველი გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება. რაც უფრო ნაკლებად ექსტრავაგანტული იქნება დღეს თქვენი ნაბიჯები, მით თავდაჯერებული იქნებით მომდევნო დღეებში. შესაძლოა, რაიმე გაგიტყდეთ ან ღირებული ნივთი დაკარგოთ.

***თხის რქა*** – შესაფერისი დღეა დიდი ხნის გეგმების განსახორციელებლად, რაც თქვენს პროფესიულ საქმიანობას ეხება. სავარაუდოა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, ძველი ვალების დაბრუნება. არ არის გამორიცხული, შეხვედრა ადამიანებთან, ვინც ერთ დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თქვენს ცხოვრებაში. გაქვთ შანსი ამ ურთიერთობის აღდგენისა, თუკი ამას საჭიროდ ჩათვლით. ამ დღეს შეგიძლიათ მსხვილი შენაძენი გააკეთოთ, შეიძინოთ ისეთი ნივთი, რომელსაც ოჯახის წევრებთან ერთად მოიხმართ. შესაძლოა, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოთ ოჯახის ახლობელზე.

***მერწყული*** – მერწყულებისთვის დღე სასიკეთო ემოციური ფონით გამოირჩევა. ეს კი ნიშნავს, რომ განწყობას ვერაფერი გაგიფუჭებთ. მომხიბვლელი და მიმზიდველი ხართ, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები უყურადღებოდ არ დაგტოვებენ. შეგიძლიათ, უბრალო ფლირტი, ან სერიოზული რომანტიკული ურთიერთობები წამოიწყოთ – ყველაფერი მხოლოდ თქვენს სურვილზეა დამოკიდებული. დღე სასიკეთოა ფინანსური თვალსაზრისითაც, შეგიძლიათ, მსხვილი შენაძენის უფლება მისცეთ თავს. წარმატებული მომენტია საიუველირო ნაწარმის, ანტიკვარიატის შესაძენად. დიდია ალბათობა ძვირფასი საჩუქრის მიღებისაც.

***თევზები*** – დღეს წარმატებას რთულად მიაღწევთ, რადგან ვისაც არ ეზარება, ყველა გზას გიღობავთ. მეგობრები და თანამოაზრეები კი საკუთარი საქმით არიან დაკავებულნი. თქვენს პროფესიულ და პირად საქმეშიც დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან ადამიანები, ვისაც მხოლოდ საკუთარი ინტერესი ამოძრავებს. ასე რომ, საქმე შესაძლოა, სერიოზულ კონფლიქტამდე მივიდეს. დღის მეორე ნახევარში სასურველია კონტაქტების შეზღუდვა. დასვენება და ძალების აღდგენა გჭირდებათ, საამისოდ კი მარტო დარჩენა საუკეთესო საშუალებაა.

## შენდობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**




**ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.**

**რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

იკითხეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net; dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com
Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით